ეროვნული
ბიბლიოთეკა

№285
(12 355)

6 დეკემბერი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ამერმა თამაში ჩაშალა

მორიგი სკანდალი ქართულ ფეხბურთში

ლევან ჯანეზაშვილი

მატჩის 53-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა **ზაზა სახოკია ზურაბ ქვაჩახიასთან** პირისპირ გავიდა. "ამერის" გოლკიპერმა დარტყმული მოიგერია, ბურთი კი მისგან ასხლეტით ხარიხას მოხვდა. სახოკია დამატებას აპირებდა, მაგრამ იმავე ქვაჩახიასთან კონტაქტისას დაეცა. არბიტრმა ხელი თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ გაიშვირა. ქვაჩახიას ნერვებმა უმტყუნა, პროტესტი გადამეტებული ფორმებით გამოხატა, რისთვისაც **ლევან კვარაცხელიასგან** ჯერ ყვითელი, რამდენიმე წამში კი წითელი ბარათი მიიღო.

ემოციები მალე ჩაცხრა, ამერელები ბედს შეეგუენ, **გიორგი მელქაძემ** სარეზერვო მეკარე **ლადო ნადირაშვილის** კარში პენალტი აუღელვებლად გაიტანა და ის ის იყო, მასპინძლებმა თამაში ცენტრიდან განაახლეს, რომ უკვე **გიორგი ელბაქიძეს** უმტყუნა ნერვებმა. არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა ამჯერად მან მიაყენა და კვარაცხელიამ ისიც გასახდელის გზას გაუყენა.

აქ კი მოვლენები უმართავი გახდა. "ამერი" სრული შემადგენლობით მსაჯებს გამოენთო (საბედნიეროდ, ფიზიკურ შეურაცხყოფამდე საქმე არ მისულა). თავი ვერც კლუბის ხელმძღვანელობამ შეიკავა და მალე "ამერის" პრეზიდენტმა **ზურაბ ფოცხვერიამ** გუნდის მოედნიდან გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო.

ეს გუშინ გლდანში განვითარებული მოვლენების მშრალი ქრონოლოგიაა, თორემ ისეთი პრეცენდენტი მოხდა, კიდევ კარგა ხანს რომ იქნება სალაპარაკო. იმის მიუხედავად, სწორად განსაჯა თუ არა მსაჯმა ესა თუ ის სადავო ეპიზოდი (თუმცა კვარაცხელიას ბრიგადის ქმედება დამკვირვებლისგან დადებითად ფასდება, ამაზე ქვემოთ), ცალსახად შეიძლება იმის თქმა, რომ თამაშის მიტოვება უკიდურესი ნაბიჯია, რომელსაც ვერავინ გაამართლებს. ...

რა მოხდა გლდანში?

2-3

გუშინ გლდანში. ამერის მეკარე ზურაბ ქვაჩახია გვერდით მსაჯს კისერში სწვდა...

ნუგზარ სუარიძის ფოტო

დღეს, შემოდგომის ჩემპიონობისთვის
დინამო vs ზესტაფონი
ეროვნული სტადიონი. 14:00

კიდევ ერთი ქართველი გერმანიაში

5

მჭედლიძე გაზით დააძინეს და გაქურდეს

ალბანეთის ნაკრებმა შესარჩევი მატჩები გაყიდა?

ხელს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტისკენ იშვერენ

10

პლატინიმ საფეხბურთო მაფიას ომი გამოუცხადა

www.kazbegi.com

გაზსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XI (გადადებული) ტური

ამერი რეალობას გაექცა

ამერი-ვიტ ჯორჯია

0:1

05.12. თბილისი. ამერი
700 მაყურებელი

55-ე წუთზე მატჩი შეწყდა

0:1 მელქაძე (54. პენ.)

ამერი: ქვაჩახია – მესხი, კაკაშვილი, ჩიკვილაძე, ელბაქიძე – დოლიძე, დიდავა, დეკანოსიძე, ჯელაძე – ტატანაშვილი (53. ნადირაშვილი), რ. გოცირიძე

სათადარიგოები: კობაური, ბერიანიძე, ა. ალავიძე, ვარდოსანიძე, შალამბერიძე, ცხადაძე

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი – პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე – გ. დათუნაიშვილი, ინჯგია, კლიმიაშვილი – მელქაძე, გელაშვილი (43. ღუჭაშვილი), სახოკია

სათადარიგოები: ღურბელეიშვილი, ადამაძე, კაიშაური, ბეჭვაია, მაისაშვილი, ლიპარტია

გაფრთხილება: კაკაშვილი (19), გელაშვილი (32), ქვაჩახია (52), დეკანოსიძე (53), ელბაქიძე (55)

გაძევება: ქვაჩახია (52), ელბაქიძე (55)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

პენალტი ამერის კარში, რომელმაც თამაში არია

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

პირველი გვერდიდან

პროფესიული ფეხბურთის ლიგა "ამერის" მიმართ უდავოდ მკაცრ ზომებს გაატარებს. ბუნებრივია, საკუთარი არგუმენტები "ამერის" მესვეურებსაც ექნებათ. გლდანელთა მინიმალური სასჯელი ტექნიკური 0:3 უდავოდ იქნება და ალბათ, დისციპლინარები ამასაც არ დასჯერდებიან. მოკლედ, პირველი წრე უსკანდალოდ ვერ დამთავრდა, თუმცა ეს ფაქტი ამ სეზონში აქამდე დაფიქსირებულ ყველა ხმაურიან ამბავს გვარიანად ჩრდილავს. საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში აქამდე თვითნებურად გუნდს თამაში არ ჩაუშლია. თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ აქ მაყურებელთა უსაქციელობას ადგილი არ ჰქონია, ტრიბუნიდან მოედანზე კლუბების წარმომადგენელთა გარდა, არავინ ჩასულა.

გუშინდელ ამბავზე წერა კიდევ კარგა ხანს მოგვიწევს და მანამდე კლუბებისა და პროფლიგის წარმომადგენელთა კომენტარებს შემოგთავაზებთ.

ზურაბ ფოცხვერია (ამერის პრეზიდენტი): *"რა თქმა უნდა, თამაშის მიტოვება ცუდი ნაბიჯია, მაგრამ სამწუხაროდ, შექმნილი სიტუაციიდან უკეთესი გამოსავალი ვერ დავინახე. შესაძლებელი იყო, არბიტრის პროვოკაციული ქმედებებს მატჩის დარჩენილ ნანილში სიტუაცია უმართავი გაეხადა. ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილებაზე მე ვიღებ პასუხისმგებლობას".*

ნესტორ მუმლაძე (ვიტ ჯორჯიას მთავარი მწვრთნელი): *"არბიტრის გადაწყვეტილება ყველამ უსიტყვოდ უნდა მიიღოს, არ მაქვს იმის თქმის საფუძველი, რომ კვარაცხელიამ შეცდომები დაუშვა".*

პაატა ბურჯალიანი (პროფლიგის გენერალური მდივანი): *"ამერის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ჩემთვის ძალიან გასაკვირია. მატჩის თვითნებურად მიტოვება დიდი დარღვევაა და უახლოეს დღეებში სადისციპლინო კომიტეტი ამის თაობაზე შესაბამის გადაწყვეტილებას გამოიტანს. მსაჯობას რაც შეეხება, ვესაუბრე დამკვირვებელს და მისი თქმით, არბიტრმა უშეცდომოდ იმუშავა".*

ტექნიკური 0:3-ის შემთხვევაში, გუშინდელი შეხვედრის ოქმიც დაკარგავს მნიშვნელობას და პერიპეტიებიც, მაგრამ სკანდალამდე მომხდარი ამბები მოკლედ მაინც აღვწეროთ.

"ამერი" მოედანზე შეთხელებული შემადგენლობით გავიდა. ტრავმირებული **სულიკო დავითაშვილის** გარდა, გლდანელებმა დისკვალიფიცირებული, **დავით ბოლქვაძე** და კაპიტანი **გიორგი დავითნიძე** მოისაკლისეს. თასის მფლობელებს **გიორგი დეკანოსიძემ** უკაპიტნა. "ამერი" 4-4-2-ს დაუბრუნდა და როგორც იქნა, ძირითადში **დიმიტრი ტატანაშვილისთვისაც** გამოინახა ადგილი. ეს უკანასკნელი თანაგუნდელთა შორის გუშინაც გამოირჩეოდა. "ვიტ ჯორჯიასაც" სამი დისკვალიფიცირებული ჰყავდა, მაგრამ მათგან ძირითადის წევრი მხოლოდ **ლუკა რაზმაძე** იყო. ვეტერნიარებმა ჩვეულ სტილში, მწყობრად და სწრაფი იერიშებით ითამაშეს.

ბრძოლა საკმაოდ ხისტი, ეპიზოდებში კი უხეში იყო. მომენტების შექმნა ორივე გუნდს უჭირდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მატჩი მეტად სანახაობრივი იყო. პირველ ტაიმში ნაღდი საგოლე ეპიზოდი ფაქტობრივად, არ ყოფილა, ნახევრადმომენტები კი სტუმართაგან **მელქაძეს, ლომაიასა** და **კლიმიაშვილს** ჰქონდათ, მასპინძელთაგან კი დეკანოსიძეს.

საერთო ჯამში, ბრძოლა თანაბარი იყო, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ვეტერინართა დაწინაურება თამაშის ლოგიკიდან ამოვარდნილი იყო. "ჯორჯიას" გოლის შემდეგ კი 55-ე წუთი სულ მალე დადგა...

შეხვედრის არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ ამერის სტადიონი საკუთარი მანქანით დატოვა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ზესტაფონი	12	11	1	0	26-4	34
2. დინამო	12	11	0	1	33-4	33
3. ვიტ ჯორჯია*	12	9	1	2	22-8	28
4. გორჯომი	13	7	4	2	17-9	25
5. ოლიმპი	13	7	3	3	13-8	24
6. ამერი*	12	7	0	5	21-13	21
7. მესხეთი	13	6	2	5	15-17	20
8. მგლები	12	5	0	7	13-16	15
9. სიონი	12	3	3	6	13-16	12
10. სპარტაკი	13	3	3	7	5-14	12
11. ლოკომოტივი	13	3	0	10	8-21	9
12. მერანი	12	2	1	9	6-23	7
13. დილა	12	1	3	8	7-23	6
14. ბათუმი	13	1	1	11	5-28	4

ბომბარდირები

ხუციშვილი (დინამო)	9
გ. მერებაშვილი (დინამო)	8
გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი)	8
გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	7
აკირემი (დინამო)	6
სპასოვიჩი (დინამო)	6
რ. ჯიქია (ოლიმპი)	6
ჭედია (მგლები)	6
შ. ჯიქია (გორჯომი)	6
ტატანაშვილი (ამერი)	5

დარჩენილი მაჩხები

დღეს

14:00	სიონი-მგლები
14:00	მერანი-დილა
14:00	დინამო-ზესტაფონი

შენიშვნა: სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებამდე „ამერი"-"ვიტ ჯორჯიას" მატჩის შედეგი ცხრილში გათვალისწინებული არ არის

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

სპარტაკი სულ უფრო იზრდება

სპარტაკი-ლოკომოტივი

2:0

05.12. გორი. ქართლი
50 მაყურებელი

1:0 ჩირიკაშვილი (27. პენ.), 2:0 ჯანელიძე (42)

სპარტაკი: ქვილითაია - ბახტურიძე, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი - ავალიანი (75. დათუნაშვილი), ძარია, ჩირიკაშვილი, ივანაშვილი – ხიდეშელი (71. ტატავევი), ჯანელიძე (46. კუპრეიშვილი)

სათადარიგოში: კოდალაევი, თექთურმანიძე, თარხნიშვილი, მედოევი

ლოკომოტივი: გვარამაძე - კობიაშვილი, ფოფხაძე, კვახაძე, ქუხილავა - ბერიძე (55. ჩაგელიშვილი), მალიჩავა, ლაღაძე (55. ბახტაძე), გულორდავა (70. ბუდაღაშვილი), სამხარაძე - იმედაძე

სათადარიგოში: ცერცვაძე, ქურდაძე

გაფრთხილება: ავალიანი (63)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

17. გულორდავამ თავი კარგად ვერ დაუხვედრა თანაგუნდელის ჩამოწოდებულ ბურთს და ახლოდან ააცილა კარს.

18. ჩირიკაშვილის შორეული დარტყმა გვარამაძემ მოიგერია.

27. 1:0 - მამუკაშვილმა ინდივიდუალური რვიდით ლამის ნახევარი მოედანი გაიარა, გზად ოთხი მოწინააღმდეგე მოატყუა, საჯარიმოში შესული კი ნააქციეს. პენალტი ჩირიკაშვილმა უნაკლოდ შეასრულა.

30. ავალიანის კარის გასწვრივ ჩაწოდებულს ჯანელიძე ვერ შენვდა და საგოლე მომენტი ქარს გაატანა.

39. ისევ ავალიანის ზუსტი პასი და ჯანელიძემ ათიოდ მეტრიდან ცუდად დაარტყა.

42. 2:0 - ბახტურიძე შეიჭრა საჯარიმოში, მისი დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა, დამატებაზე კი ჯანელიძემ ითამაშა კარგად.

78. ჩირიკაშვილის ათიოდ მეტრიდან დარტყმული გვარამაძემ მოიგერია, მანვე არ გაატანინა ივანაშვილს დამატებაზე.

უჭუალო კონკურენტებმა, როგორც იტყვიან ექვს ქულიანი თამაში ჩაატარეს და „სპარტაკმა" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მზარდი გუნდია. ცხინვალელები ცხრილში აღმასვლას იწყებენ, „ლოკომოტივი" კი დამაჯერებლად მოძრაობს ცხრილის ფსკერისკენ. ვფიქრობთ ვერანაირი ფეხბურთელების დანაკლისი და სხვა მიზეზები ვერ გაამართლებს ამ გუნდის უსუსურ თამაშს „ქართლზე". თბილისელებმა მთელი მატჩის განმავლობაში ღირებული ვერაფერი შექმნეს. ერთადერთი სახიფათო მომენტი, რომლის ჩანიშვნაც შეიძლებოდა, **გულორდავას** უხეიროდ დარტყმული თავური იყო. მასპინძელი მცველები და მეკარე საკუთარი გარჯიდან გამომდინარე ყველა პირობას იძლეოდნენ კარის მშრალად შენახვისა. შესანიშნავად ირჯებოდა ცხინვალელთა შუა ხაზი, განსაკუთრებით **ირაკლი ძარია** და კიდევ უფრო უკეთ **ირაკლი ჩირიკაშვილი** - თამაშის სადავეებს ფლობდნენ. „ლოკომოტივის" ერთადერთი თავდამსხმელი **გია იმედაძე** ისე თამაშობდა, რომ ვფიქრობთ სტუმართა მწვრთნელს **გიორგი კიკნაძეს** მცირე იმედიც არ ჰქონია, თუ იგი ამ შეხვედრაში გატანას მოახერხებდა. პირველად ამ მატჩში ვნახეთ „სპარტაკის" ორი გამოკვეთილი მოიერიშე - **დავით ჯანელიძე** და მეორე, აქამდე ფლანგელ ნახევარმცველად მოთამაშე **გიორგი ხიდეშელი**. პირველმა მათგანმა გატანა კი შეძლო, მაგრამ არაერთი მომენტი გააფუჭა, ხოლო ხიდეშელი ჩვენი აზრით ძველ ამპლუაში უფრო პროდუქტიული იყო.

„სპარტაკი" განსაკუთრებით პირველ ტაიმში დომინირებდა. საწყისი 15 წუთის მერე სახიფათო მომენტები ერთმანეთის მიყოლებით იქმნებოდა სტუმართა კართან. გვარამაძეს ამ დროის მანძილზე საინერვიულო არ მოკლებია და ლოგიკური იყო, „სპარტაკი" შესვენებაზე ორბურთიანი უპირატესობით რომ გავიდა.

მეორე ტაიმში ჟორჟიკაშვილმა ერთი თავდამსხმელი მოხსნა თამაშიდან და კარის უსაფრთოებაზე დაიწყო ზრუნვა. ამის ფონზე მეორე ნახევრის გარკვეული პერიოდი სტუმართა მცირე ტერიტორიული უპირატესობა ლოგიკურად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა უპირატესობას ხომ გამოყენება უნდა? თუმცა მომენტების გამოუყენებლობაზე სასაყვედურო, ალბა, ისევ მასპინძელთა მწვრთნელს ჰქონდა თავის დამოძღვილებთან. „სპარტაკის" ფეხბურთელებს კონტრშეტევებზე რომ კარგად ემოქმედათ, მესამე ბურთის გატანასაც მოახერხებდნენ, არადა დღემდე ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებში ცხინვალელებს მხოლოდ სამჯერ ჰქონდათ გატანილი.

რჩეული

ირაკლი ჩირიკაშვილი

მთელი მატჩის განმავლობაში ყველაზე უკეთ სწორედ იგი ირჯებოდა. საკუთარი გუნდის შეტევათა უმრავლესობა მისი წამოწყებული იყო, რომელთაგან არაერთი თავადვე დაასრულა.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ბედი უნდა ყველაფერს

ბათუმი-მესხეთი

1:2

05.12. ბათუმი. აღელი
500 მაყურებელი

0:1 ღონღაძე (12), 0:2 კ. მახარაძე (25), 1:2 ზ. ჩხეტიანი (27)

ბათუმი: მამინაშვილი — კუნჭულია, გალოგრე, თედორაძე, მარკარიანი — დემურაძე, კ. მახარაძე, დარჩიძე, ოქრუაშვილი (62. ბეჟანიძე) — კაკალაძე (73. ტუღუში), ბაციკაძე.

სათადარიგოები: თოთლაძე, ბაჯელიძე, ლ. მახარაძე, ბ. მახარაძე, ცანავა.

მესხეთი: ძამუნაშვილი — ვ. აკოფიანი, კობესაშვილი, ძამსაშვილი, ქოჩარაშვილი — გვირჯიშვილი, ზ. ჩხეტიანი, ინასარიძე, თურმანიძე — გ. სუდაძე (73. კევლიშვილი), ღონღაძე (88. აფრიამაშვილი).

სათადარიგოები: სომხიშვილი, ზ. სულაძე, ჰ. აკოფიანი.

გაფრთხილება: ჩხეტიანი (9), კობესაშვილი (29), გ. სუდაძე (59), ოქრუაშვილი (60), ძამუნაშვილი (69), კახა მახარაძე (80)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

გასულ ტურში მოგებული მატჩის შემდეგ ბათუმელები მოედანზე შემართულები, საბრძოლო განწყობით გავიდნენ და ეს განწყობა პირველივე წუთებზე გამოჩნდა. თამაში სწრაფ ტემპში დაწყო. საწყისი 10 წუთის განმავლობაში მოედანზე მასპინძლები დომინირებდნენ, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გოლი საპირისპირო კარში გავიდა. ეს კი, პირველ რიგში, ბათუმელთა მცველის **დავით გალოგრესა** და მეკარე **მამინაშვილის** შეუთანხმებელი მოქმედების შედეგად მოხდა. საჯარიმოსკენ წასულ ბურთს გალოგრე შეეგება პირველი, **მამინაშვილიც** დაძრული იყო ბურთისკენ და „გაატარეო" მცველს გვიან დაუძახა. გალოგრემ თავით კი დაუგდო მეკარეს, მაგრამ წინ გამოსული ბათუმელთა კიპერი მას ვეღარ დაეწია, ამით კი **ღონღაძემ** ისარგებლა და ანგარიში აუღელვებლად გახსნა. გოლის შემდეგ მასპინძლები აირეკნენ და შეცდომებს უმატეს, „მესხეთმა" კი თამაში დაალაგა და დომინანტის როლშიც მოგვეელინა. თუმცა... 25-ე წუთზე **ბაციკაძემ** რბილად აუგდო ბურთი **კაკალაძეს**, მან უკან მდგომ **მახარაძეს** დაუბრუნა, რომელმაც სტუმართა საჯარიმოს მისადგომებიდან სუსტად, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ზუსტად დარტყა. **ძამუნაშვილს** ბურთი ხელებშუა გაუძვრა და ანგარიშიც გათანაბრდა. სამწუხაროდ, მასპინძლებს სიხარული დიდხანს არ დასცალდათ. ზუსტად ორ წუთში მათ მეორე გოლიც მიიღეს - მცველთა მიერ მოგერიებული ბურთი მოედნის ცენტრთან ახლოს ეშვებოდა, როდესაც **ჩხეტიანმა** ძირსდაუშვებლად დაახვედრა ფეხი და ძლიერადაც დაარტყა. მეკარე წინ იყო გამოსული და ბურთი თავზე გადაეკარა. ამის შემდეგ კი ბათუმელებისთვის უიღბლობის კასკადი დაიწყო. ჯერ იყო და კაკალაძე—**დემურაძე**—ბაციკაძის კომბინაცია ამ უკანასკნელის მიერ ცარიელ კარში ვერგატანით დასრულდა. ტაიმის მინურულს კი ჯერ **დარჩიძეს** გაუცუდდა თავური, შემდეგ კი კვლავ ბაციკაძემ ააცილა ხელსაყრელი პოზიციიდან.

მატჩის მეორე ნახევარში ვითარება მოედანზე არ შეცვლილა. თამაში სწრაფ ტემპში გრძელდებოდა. „ბათუმმა" აშკარად დაჯაბნა მეტოქე და თითქმის მთელი 45 წუთი მის ნახევარზე გაატარა, „მესხეთი" მხოლოდ კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას. მასპინძლებმა არაერთი მომენტი გაუშვეს ხელიდან. მათგან კი ყველაზე მეტად 82-ე წუთზე **ბაციკაძემ** რბილად აუგდო ბურთი **კაკალაძეს**, მან უკან მდგომ **მახარაძეს** დაუბრუნა, რომელმაც სტუმართა საჯარიმოს მისადგომებიდან სუსტად, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ზუსტად დარტყა. **ძამუნაშვილს** ბურთი ხელებშუა გაუძვრა და ანგარიშიც გათანაბრდა. სამწუხაროდ, მასპინძლებს სიხარული დიდხანს არ დასცალდათ. ზუსტად ორ წუთში მათ მეორე გოლიც მიიღეს - მცველთა მიერ მოგერიებული ბურთი მოედნის ცენტრთან ახლოს ეშვებოდა, როდესაც **ჩხეტიანმა** ძირსდაუშვებლად დაახვედრა ფეხი და ძლიერადაც დაარტყა. მეკარე წინ იყო გამოსული და ბურთი თავზე გადაეკარა. ამის შემდეგ კი ბათუმელებისთვის უიღბლობის კასკადი დაიწყო. ჯერ იყო და კაკალაძე—**დემურაძე**—ბაციკაძის კომბინაცია ამ უკანასკნელის მიერ ცარიელ კარში ვერგატანით დასრულდა. ტაიმის მინურულს კი ჯერ **დარჩიძეს** გაუცუდდა თავური, შემდეგ კი კვლავ ბაციკაძემ ააცილა ხელსაყრელი პოზიციიდან.

მატჩის მეორე ნახევარში ვითარება მოედანზე არ შეცვლილა. თამაში სწრაფ ტემპში გრძელდებოდა. „ბათუმმა" აშკარად დაჯაბნა მეტოქე და თითქმის მთელი 45 წუთი მის ნახევარზე გაატარა, „მესხეთი" მხოლოდ კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას. მასპინძლებმა არაერთი მომენტი გაუშვეს ხელიდან. მათგან კი ყველაზე მეტად 82-ე წუთზე **ბაციკაძემ** რბილად აუგდო ბურთი **კაკალაძეს**, მან უკან მდგომ **მახარაძეს** დაუბრუნა, რომელმაც სტუმართა საჯარიმოს მისადგომებიდან სუსტად, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ზუსტად დარტყა. **ძამუნაშვილს** ბურთი ხელებშუა გაუძვრა და ანგარიშიც გათანაბრდა. სამწუხაროდ, მასპინძლებს სიხარული დიდხანს არ დასცალდათ. ზუსტად ორ წუთში მათ მეორე გოლიც მიიღეს - მცველთა მიერ მოგერიებული ბურთი მოედნის ცენტრთან ახლოს ეშვებოდა, როდესაც **ჩხეტიანმა** ძირსდაუშვებლად დაახვედრა ფეხი და ძლიერადაც დაარტყა. მეკარე წინ იყო გამოსული და ბურთი თავზე გადაეკარა. ამის შემდეგ კი ბათუმელებისთვის უიღბლობის კასკადი დაიწყო. ჯერ იყო და კაკალაძე—**დემურაძე**—ბაციკაძის კომბინაცია ამ უკანასკნელის მიერ ცარიელ კარში ვერგატანით დასრულდა. ტაიმის მინურულს კი ჯერ **დარჩიძეს** გაუცუდდა თავური, შემდეგ კი კვლავ ბაციკაძემ ააცილა ხელსაყრელი პოზიციიდან.

გურამ ტურაშვილის ფოტო

გორჯომი-ოლიმპი

0:0

05.12. გორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
500 მაყურებელი

გორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, ლ. ჭელიძე, ლ. მერებაშვილი, თ. ღონღაძე, მემარნიშვილი, კ. ხანიშვილი (74. ყველაშვილი), ნერგაძე, ბაბუნაშვილი, შ. ჯიქია, გრიგალაშვილი

სათადარიგოები: გლუნჩაძე, ლომიძე, დევიძე, თედიაშვილი

ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, აკუასაგა, ნავალოვსკი, სილაგაძე, მახვილაძე, გეწაძე, დევდარიანი (86. მოდებაძე), კახელიშვილი (87. მგელაძე), დვალიშვილი (89. კოშკაძე), რ. ჯიქია

სათადარიგოები: ალავიძე, გ. ჩივაძე, ქებაძე, ყრუაშვილი

გაფრთხილება: შ. ჯიქია (5), ბაბუნაშვილი (28), მემარნიშვილი (57), ორბელაძე (65)

არბიტრი: ჰ. დოგრაშვილი

8. შოთა ჯიქიამ ითამაშა კარგად საჯარიმოში, ბაბუნაშვილიც კარგად მოძებნა, მაგრამ მისი დარტყმული ცოტათი აცდა კარს.

13. მცველთა შეცდომით (თამაშგარე ეგონათ) ისარგებლა რეზო ჯიქიამ, პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ შეყრილაძემ იმარჯვა.

23. შ. ჯიქიას მერლანმა არ გაატანინა.

25. გეწაძემ შორიდან დაარტყა, პენალტის ნიშნულთან მდგომი შეყრილაძე მოულოდნელად წაიქცა, ბურთი კი სულ მცირედით აცდა კარს.

28. გრიგალაშვილმა საჯარიმოს წინ ითამაშა მშვენივრად, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ მერლანმა გადაარჩინა თავისიანები.

34. შეყრილაძემ ამჯერად გეწაძის დარტყმული მოიგერია.

41. საჯარიმოში მყოფ კობა ხანიშვილს უკეთ რომ დაერტყა, შესაძლოა ანგარიში გახსნილიყო.

72. ოლიმპის სახიფათო შეტევა დვალიშვილმა ვერ დაგვირგვინა.

82. გრიგალაშვილი ბოლო მომენტში ვეღარ მიწვდა მემარნიშვილის მიერ მიწოდებულ ბურთს და საგოლე მოშენტიც გაანიავა.

ჩემპიონს ბორჯომში ადგილი არ შეაცვლევინეს

მშვენიერი საფეხბურთო ამინდით და ასევე კარგ მდგომარეობაში მყოფი საფარით დაუხვდა „ბორჯომი" ცხრილის მეზობლების პაექრობას. ორივე გუნდმა თითქმის საბრძოლო შემადგენლობა დააყენა, გამონაკლისი მხოლოდ წინა მატჩში „გაწითლებული" მასპინძელი **აკობია** იყო.

მსაჯის სასტვენისთანავე სწრაფი თამაში გაჩაღდა და მომენტებიც მრავლად შეიქმნა. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს, მერე კი რუსთაველთა ნახევარდაცვა გააქტიურდა და **შეყრილაძეს** მოუხდა თამაში ჩართვა რამდენჯერმე. ტაიმის ბოლოს მეტოქეებმა თითო-თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს.

მეორე ტაიმის ოცმა წუთმა ორმხრივ პოზიციურ ბრძოლაში ჩაიარა, სადაც მცველები ჯობდნენ თავდამსხმელებს და ყველა შეტევამ საჯარიმოს ხაზთან პოვა დასასრული. მერე კი „ოლიმპი" გააქტიურდა და 67-ე და 72-ე წუთებზე გატანაც შეეძლო. პირველად **რეზო ჯიქიამ** ააცილა კარს ხელსაყრელი მდგომარეობიდან, მერე კი **კახელიშვილის** გამჭოლ პასს ვეღარ მიწვდა **დვალიშვილი,** თორემ ანგარიში უთუოდ გაიხსნებოდა. ამას **შოთა ჯიქიას** პასუხი მოყვა, თუმცა მისი დარტყმული მეკარემ აიღო. მატჩის ბოლოს **ღონღაძე** მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, გზად სამ კაცს გაცდა და სტუმარმა მცველმა ვარდნაში შეაჩერა. მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა. საბოლოოდ ფრე დაფიქსირდა, რამაც მეტოქეებს მეორე წრისთვის იგივე ადგილები შეუნარჩუნა, სატურნირო ცხრილში.

მაჯჩის შემდეგ

ანატოლი პისკოვეცი (ოლიმპი): *„ბორჯომი" ძლიერი გუნდია და ვფიქრობთ, მათ წინააღმდეგ ჩვენ ცუდად არ გვითამაშია. გვქონდა რამდენიმე საგოლე მომენტი, რომელიც სამწუხაროდ ვერ გამოვიყენეთ. ისე კი მთლიანობაში ძალიან კარგი და სანახაობრივი ფეხბურთი იყო. მემგონი მაყურებელმა ისიამოვნა დღეს. რაც შეეხება თავად ქალაქს, ძალიან მომეწონა, პირველი შთაბეჭდილება ძალიან კარგი მიმყვება".*

ვლადიმერ ხაჩიძე (ბორჯომი): *„ჩემპიონის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის ძნელია, ასე იყო დღესაც. ორივე გუნდს შეეძლო მოგებაც და წაგებაც. მთლიანობაში კი შეხვედრა სანახაობრივად კარგი გამოდგა. თუ ეს გუნდი შევინარჩუნეთ, მეორე წრეში, ალბათ, სამეულისთვის ბრძოლას შევძლებთ.*

რჩეული

დავით დევდარიანი

ძალიან კარგად მოძრაობდა მინდორზე მთელი მატჩის განმავლობაში და არაერთი ჩინებული პასიც გაუკეთა თანაგუნდელებს. შეტევებში დროულად ერთვებოდა და უკანაც ასევე პროდუქტიულად მუშაობდა.

მერაბ გრძელიძე
ბორჯომიდან

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

კაიზერსლაუტერნს მენთეშაშვილიც უნდა

ცქიტიშვილის ტრანსფერზე დღეს დაილაპარაკებენ

ზურაბ მენთეშაშვილი (18)

გუშინ ვწერდით, მეორე ბუნდესლიგის "კაიზერსლაუტერნს" **ლევან ცქიტიშვილის** გარდა, საქართველოს ნაკრების კიდევ კიდევ ერთი ფეხბურთელის გადაბირება რომ სურს. გერმანული წყაროს ცნობით ეს სამარის "კრილიას" ნახევარმცველი **დავით მუჯირი** უნდა ყოფილიყო. თუმცა ცნობა არ დასტურდება. თავად დავით მუჯირმაც გვითხრა, რომ მას არც "ლაუტერენდან" დაკავშირებია ვინმე და არც კლაუს ტომიოლერს დაურეკავს მისთვის. ის კი ნამდვილია, რომ "კაიზერსლაუტერნს" კიდევ უნდა ერთი ქართველი ფეხბურთელის დამატება სურს. ჩვენი ინფორმაციით სასურველი ფეხბურთელი **ზურაბ მენთეშაშვილია**, რომელმაც გასული სეზონი ლატვიურ "ვენტსპილსში" ჩაამთავრა. ინფორმაციის გაგებისთანავე მენთეშაშვილთან ლატვიაში დაკავშირება გადავწყვიტეთ. თუმცა ეს არ მოხერხდა. ამის მერე ლატვიაში მოღვაწე ქართველ აგენტ **მიხეილ ძოძუაშვილს** შევეხმიანეთ.

"კაიზერსლაუტერნს" მართლაც სურს ზურაბ მენთეშაშვილის გადაბირება.

ვნახოთ რამდენად მორიგდებიან რუსებთან. ზურა კონტრაქტით იარო[illegible] ლავილის "შინიკს" ეკუთვნის და "ვენტსპილსში" ივჯარის წესით თამაშობდა. ლატვიელებთან მას უკვე დაუსრულდა საიჯარო ხელშეკრულება და ახლა ისევ "შინიკის" უფლებებშია. სხვათა შორის, "ვენტსპილსსაც" სურს მენთეშაშვილის შენარჩუნება, მაგრამ საბოლოო სიტყვა "შინიკზეა", - გვითხრა მიხეილ ძოძუშვილმა.

დაბოლოს, ლევან ცქიტიშვილი დღეს კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდება და ტრანსფერზე საბოლოო მოლაპარაკებაც შედგება.

დავით ცაბაძე

კლაუს ტომიოლერი

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩები

თებერვალში თურქეთში და მარტში მაკედონიაში?

მაისში ჰოლანდიასთან ან საფრანგეთთან

ეროვნული ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე ფედერაცია ჰოლანდიასთან, საფრანგეთთან, თურქეთთან და მაკედონიასთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. როგორც ითქვა თებერვალსა და მარტში თურქეთთან და მაკედონიასთან მატჩების გამართვა განიხილება. მაისში კი საფრანგეთთან და ჰოლანდიასთან.

"6 თებერვლის თარიღზე თურქეთთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ალბათ, თებერვალში თურქეთში წავალთ. ეს საკითხი საბოლოოდ მომდევნო კვირაში გადაწყდება.

მარტისთვის კი მაკედონიასთან გვაქვს მოლაპარაკება. ამ ქვეყნის ნაკრებთან 26 მარტს გვინდა თამაში, ასეთია სამწვრთნელო შტაბის აზრი. მაკედონიასთანაც სავარაუდოდ სტუმრად ვითამაშებთ.

ჩვენი ჩანაფიქრია ეროვნულ გუნდს მაისში სავარაუდოდ 6-8 დღიანი მოსამზადებელი შეკრება მოვუწყოთ ევროპაში. ამ ხნის განმავლობაში კი ევრო 2008-ის მონაწილეებთან, საფრანგეთთან და ჰოლანდიასთან გვინდა ამხანაგური მატჩების გამართვა. ამაზე მოლაპარაკებას ორივე ქვეყნის ფედერაციასთან ვაწარმოებთ", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ.**

დავით ცაბაძე

ლეგიონერი

მჭედლიძე გაზით დააძინეს და გაქურდეს

იტალიური გაზეთი „რეპუბლიკა" არასასიამოვნო ამბავს იუწყება. კვირა საღამოს საქართველოს ნაკრებისა და „ემპოლის" თავდამსხმელის, **ლევან მჭედლიძის** სახლი იტალიაში გაქურდეს.

გაზეთის ინფორმაციით 17 წლის ქართველს საყოფაცხოვრებო ტექნიკა, კომპიუტერი, პასპორტი და 200 ევრო მოპარეს. „რეპუბლიკა" ამტკიცებს, რომ ქურდებმა ლევანი დასაძინებელი გაზის საშუალებით გაანეიტრალეს.

„გოლი" წერს: „ეს ისეთი სიუჟეტია, ნებისმიერი ფილმის რეჟისორი რომ ინატრებდა. ლევან მჭედლიძემ იგუმანა, რომ მისი სახლის ფანჯარასთან ვიღაც საეჭვოდ მოძრაობდა და ამ დროს შეასხურეს გაზი. ასეთი რამ მასტროიანის გმირებისთვისაც მეტისმეტი გმირობა იქნებოდა.

ასეთ არაორდინალურ ქურდს საკუთარ პროფესიაში „ოსკარი" ეკუთვნის. ქურდობის შემდეგ, დანაყრება გადაწყვიტეს, დალიეს, მიირთვეს და სახლი კმაყოფილებმა დატოვეს" - წერს ინტერნეტ-გაზეთი.

„რეპუბლიკის" ინფორმაციით, ქურდებმა მჭედლიძის სახლი არიეს და მშვიდად წავიდნენ. თავად ფეხბურთელი არ დაზიანებულა. მან მხოლოდ დილით გაიღვიძა და მიხვდა, რაც შეემთხვა.

მერაბ მამულაშვილი

ფოლკსვაგენის თასი

გორის, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი

9 დეკემბერი 2007

ოლიმპი

ამერი

pfl.ge

დასაწყისი: 13:00

ფოლკსვაგენი VOLKSWAGEN

ჯეოსელი GEOCELL

აქსისი

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

საინფორმაციო მხარდაჭერა

სარგებელი ოლიმპი

თანამეგობრობას ოლიმპი გახსნის

ბელგრადი, დორდოი, ვენტსპილსი, მერე?

ერთ თვეში სანკტ-პეტერბურგში თანამეგობრობის და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მორიგი გათამაშება დაიწყება. ტურნირზე ჩვენ ქვეყანას, მოქმედი ჩემპიონი რუსთავის "ოლიმპი" ნარადგენს. სხვათაშორის სწორედ საქართველოს ჩემპიონი იქნება ტურნირის პირველი მატჩის მონაწილე - **ანატოლი პისკოვეცის** გუნდს სერბულ "ოფკ-ბელგრადთან" მოუწევს დაპირისპირება. მომდევნო მატჩებს კი ქართველები ყირგიზულ "დორდოი-დინამოსთან" და ლატვიის ჩემპიონ "ვენტსპილსთან" გამართავენ.

ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე გამოაქვეყნა მთელი ტურნირის კალენდარი. გათამაშებაში, ქართველი ლეგიონერების გუნდებიც მონაწილეობენ და ამიტომაც ჯგუფებსა და თამაშების კალენდარს სრულად გთავაზობთ.

A ჯგუფში: 1. "ზენიტი" (რუსეთი), 2. "აშხაბადი" (თურქმენეთი), 3. "შერიფი" (მოლდოვა), 4. "ლევადია" (ესტონეთი).

B ჯგუფში: 1. "ხაზარი" (აზერბაიჯანი), 2. "აქტობე" (ყაზახეთი), 3. "კაუნასი" (ლიტვა), 4. "რეგარ ტადაზი" (ტაჯიკეთი).

C ჯგუფში: 1. "ვენტსპილსი" (ლატვია), 2. "ოლიმპი" (საქართველო), 3 "ოფკ ბელგრადი" (სერბეთი), 4. "დორდოი-დინამო" (ყირგიზეთი).

D ჯგუფში: 1. "ფახთაქორი" (უზბეკეთი), 2. "ბატე" (ბელარუსი), 3. "დინამო" კიევი (უკრაინა), 4. "ბანანცი" (სომხეთი).

19 იანვარი

1. ოფკ - ოლიმპი, 13:00, სპორტკომპლექსი "პეტერბურგსკი"
2. ვენტსპილსი - დორდოი
3. ხაზარი-კაუნასი
4. აქტობე - ტადაზი
5. ფახთაქორი - დინამო
6. ბანანცი - ბატე
7. ზენიტი - შერიფი
8. ლევადია - აშხაბადი
9. ვენტსპილსი - ბელგრადი

20 იანვარი

10. დორდოი - ოლიმპი, 13:00, „ზენიტი"
11. კაუნასი - აქტობე
12. ტადაზი - ხაზარი
13. დინამო - ბატე
14. ფახთაქორი - ბანანცი
15. აშხაბადი - ზენიტი
16. შერიფი - ლევადია

22 იანვარი

17. ოლიმპი - ვენტსპილსი, 13:00, "პეტერბურგსკი"
18. ბელგრადი - დორდოი
19. აქტობე - ხაზარი
20. კაუნასი - ტადაზი
21. ბატე - ფახთაქორი
22. დინამო - ბანანცი
23. ზენიტი - ლევადია
24. აშხაბადი - შერიფი

23 იანვარი 1\4 ფინალები

25. C1 - D2
26. D1 - C2
27. B1 - A2
28. A1 - B2

25 იანვარს ნახევარფინალები, ხოლო 27 იანვარს ფინალი გაიმართება. სამივე მატჩი სპორტკომპლექს „პეტერბურგსკიში" ჩატარდება.

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ ჯაბა კანკავასთან

უკანასკნელი გმირი

დნეპრს უკვე გავუშინაურდი

კარგა ხანია უკრაინული „სპორტ-ექსპრესი“ ქვეყნის ჩემპიონატში ტურის გმირს ავლენს. ასეთი პატივი დღემდე არც ერთ ქართველს არ ღირსებია. პირველი მათგანი **ჯაბა კანკავა** გახდა, რომელმაც საშემოდგომო ეტაპის ბოლო ტურის გმირობა მოიპოვა 414 ქულით. ის დონეცკში „მეტალურგთან“ მატჩში გამოირჩა. მეორეზე გასულ ლეონიდ კოველს ქართველმა საკმაო უპირატესობით გაუსწრო

„მეორე მატჩია კანკავა ჩინებულად თამაშობს. მისმა წარმატებულმა გამოსვლამ ლეპა სათადარიგოებში გადაისროლა და ოლეგ პროტასოვი არ შემცდარა მას რომ ენდო“ - წერს უკრაინული სპორტ-ექსპრესი“, - „... ჯაბა „დნეპრის“ ძირითადში მალევე დამკვიდრდა. ბაზაფხულზე თამამმა დებიუტანტმა უკრაინის ნაკრების წევრს და „დნეპრის“ კაპიტან შელაევსაც წაართვა ადგილი.

მის კარიერაში გადამწყვეტი „დინამოსთან“ შეხვედრა აღმოჩნდა. კანკავამ ეხეშად მოცელა კიეველი ფეხბურთელი და გააძევეს. ყოველთვის თავშეკავებულმა ოლეგ პროტასოვმაც ვერ მოითმინა და მატჩის შემდეგ გააკრიტიკა ფეხბურთელი. მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა, ქართველი ხშირად რჩებოდა უთამაშებელი.

შემთხვევა დაეხმარა. „ხარკოვთან“ ვერ ითამაშეს ნაზარენკომ და კრავჩენკომ, პროტასოვმაც ძირითადში კანკავა დააყენა. შედეგად ის მატჩის საუკეთესო მოთამაშე და გოლის ავტორი გახდა. შემდეგში უკვე სკამზე მაყურებლის სიმპათია, ლეპა აღმოჩნდა. ვინ იტყვის, რომ პროტასოვი არჩევანში შეცდა? კანკავა მოედანზე კვლავ საუკეთესო გახლდათ“ - ასე ასაბუთებს უკრაინული „სპორტ-ექსპრესი“ კანკავას გმირად დასახელებას.

უკანასკნელი გმირი დღეს ჩვენს კითხვებს პასუხობს. უკრაინის ჩემპიონატი უცნაური სისტემით ტარდება. მეორე წრის რამდენიმე ტური შემოდგომაზე ტარდება. ამდენად, ძნელი გასაგებია, საშემოდგომო ეტაპი როდის მთავრდება. ჯაბას უკრაინაში ვუკავშირდებოდით და მოულოდნელად ის თბილისში აღმოვაჩინეთ:

- 18 ტურის შემდეგ ჩემპიონატში შესვენება გამოცხადდა და მეც ჩამოვედი.

- „დნეპრმა“ შესვენებამდე კარგად ითამაშა და ჩემპიონატს ლიდერობს. შენ რას ფიქრობ, დონეცკის „შახტართან“ და კიევის „დინამოსთან“ რეალური ბრძოლის უნარი გაგაჩნიათ?

- მგონია, პირველ ადგილზე უნდა გავიდეთ. ასეთი შანსი „დნეპრს“ აქამდე არ ჰქონია და ის ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

- შენი აზრით, „დნეპრი“ გაძლიერდა თუ ეს ორი უკრაინული გრანდია კრიზისში?

- კიევის „დინამოს“ ნაღდად გაუჭირდა, ხომ ხედავთ, ჩემპიოთნა ლიგაში რა საშინლად თამაშობს. თუმცა უკრაინის ჩემპიონატში ჩვეულებრივად გამოიყურება, პატარ-პატარა ჩავარდნები თუ აქვს.

დონეცკის „შახტარზე“ კი იგივეს ვერ ვიტყვი. ლიგაშიც არ თამაშობს ურიგოდ და ჩემპიონატში ხომ გაცილებით უკეთ.

საერთოდ, ამ ორს შორის, დონეცკელებს გაცილებით ძლიერი გუნდი ჰყავთ. კიეველების ფონზე, უფრო ლამაზ ფეხბურთსაც თამაშობენ.

- უკრაინაში მხოლოდ ბოლო ორ ტურში ათამაშდი. „არსენალიდან“ „დნეპრში“ დიდი ხანია გადახვედი და გვიან გაიხსენი. რატომ ასეთი დაგვიანებული რეაქცია?

- ჩემიონატი რომ დაინყო, ოლეგ პროტასოვი ძირითად შემადგენლობაშიც მაყენებდა, ფორმასაც არ ვუჩიოდი. მერე დავშავდი. რა თქმა უნდა, ამან პრობლემები შემიქმნა. სანამ მოვმჯობინდი და ფორმა აღვიდგინე, „დნეპრმა“ თამაშები მოიგო და მწვრთნელი შემადგენლობას ვერ შეცვლიდა. ბოლოს ისე მოხდა, ნაზარენკომ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, კრავჩენკო დაშავდა და პროტასოვმაც მათამაშა. ეტყობა, ცუდად არ მითამაშია, ბოლო ტურშიც დამაყენა და ისევ სიმბოლურში დამასახელეს.

- შენი აზრით, ეს მეორე წრეში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის გარანტია გახდება?

- გამორიცხულია. „დნეპრში“ 14-15 მოთამაშეს ძირითადში მოხვედრის პრეტენზია გაგვაჩნია. მწვრთნელი ყველას ვერ გვათამაშებს. ყოველ ტურში უნდა ვამტკიცო, რომ ძირითადში მოხვედრას ვიმსახურებ.

- ალბათ, „დნეპრთან“ ადაპტაცია გაგიჭირდა.

- დიახ, ერთი წელი გავიდა და გუნდს საბოლოოდ მხოლოდ ახლა გავუშინაურდი. ახალ გუნდთან უცებ შეგუება წარმოუდგენელიც არის. უნდა გაიცნო თანაგუნდელები, შეეჩვიო, გაუგო და აჯობო კონკურენტს, რომლისთვისაც ეს ყველაფერი უკვე განვლილი ეტაპია. თუმცა ვიმეორებ, „დნეპრს“ უკვე გავუშინაურდი.

- საქართველოს ნაკრების გარეშე ინტერვიუს ვერ დავასრულებთ. შინ ლიტვასთან წავაგეთ. რა იყო ეს, შოტლანდიასთან მოგებამ გულარხეინობა გაგიჩინათ თუ ზედმეტად თავდაჯერებულად ითამაშეთ?

- ზედმეტი თავდაჯერება არაფერ შუაშია. ზედმეტად თავდაჯერებული ისეთი მონდომებით ვერ ვითამაშებდით, არც გვითამაშია ცუდად, თუმცა რად გინდა, რამდენიმე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ესაა წაგების მიზეზი და არაფერი სხვა.

მერაბ მამულაშვილი

ჯაბა კანკავა

ალექსანდრე გოგობერიშვილი

ჩემპიონატის პირველი წრე ჩამთავრდა აზერბაიჯანში და იქ მოთამაშე ქართველები შვებულებას შინ ატარებენ. „ამერი“-„ვიტ ჯორჯიის“ გუშინდელ სკანდალურ მატჩს რამდენიმე მათგანი დაესწრო. „ბაკის“ ნახევარმცველ ალექსანდრე გოგიბერიშვილს მეზობელი ქვეყნის საფეხბურთო ამბები გამოვკითხეთ.

- აზერბაიჯანული კლუბის ინვესტირება უნინდელი მასშტაბებით მიდის თუ რამე ცვლილებებია?

- ყოველ წელს უფრო მეტი ფული უჩნდებათ აზერბაიჯანულ კლუბებს და ისე ჩანს, რომ მომავალშიც ასე იქნება.

- მაშ, რატომ არ ეტყობა პროგრესი აზერბაიჯანულ ფეხბურთს, მის ჩემპიონატს?

- მასეა, მიუხედავად სოლიდური ფინანსებისა, აზერბაიჯანულ ფეხბურთს დიდი პროგრესი არ აქვს, მაგრამ ჩემპიონატი უფრო საინტერესო გახდა.

- ანუ, რომ არა ლეგიონერები, სხვანაირად ფინანსები საქმეს ნინ ვერ წანევდა?

- აზერბაიჯანში კვლავ პრობლემატურია ხარისხიანი მოედნების საკითხი, რის გამოც აქცენტი ძალისმიერ, ხანდახან უხეშ თამაშზეც კეთდება. თუმცა ლეგიონერების რაოდენობის ზრდამ ჩემპიონატს ინტერესი გაუღვივა. აზერბაიჯანში უკვე უცხოელი მწვრთნელებიც მიდიან.

ინტერვიუ ალექსანდრე გოგობერიშვილთან

ფული მოდის, ხარისხი იგვიანებს

ბაკის მწვრთნელს დოლიძე მოეწონა

- ალბათ მოულოდნელობად შეფასდა, რომ პირველი წრის შემდეგ პირველ ადგილზე ბაქოს „ოლიმპიკია“.

- ამ გუნდისგან ასეთ შედეგს არავინ ელოდა, ეს ყველასთვის სიურპრიზი გამოდა. ფინანსურად „ოლიმპიკი“ მნიშვნელოვნად ჩამორჩება „ხაზარს“, „ნეფთჩის“ და კიდევ რამდენიმე გუნდს.

- „ბაკი“ რომ ცხრილის შუაშია, ამას რას დააბრალებდი?

- ახალი მწვრთნელი გვყავს, არასტაბილურად ვთამაშობთ, ბევრი ქულა დავკარგეთ სუსტ მეტოქეებთან, ბევრი ფრე ვითამაშეთ, სამაგიეროდ „ნეფთჩის“ 5:1 მოვუგეთ.

- აზერბაიჯანში ქართველი ფეხბურთელების მიმართ ინტერესი განელდა?

- არა, ამ სეზონში ყველაზე მეტი ქართველი ლეგიონერი „გილანს“ ჰყავს - ზურაბ მამალაძე, გიორგი გაბიდაური, გიორგი ვაშაკიძე და თორნიკე ერისთავი. ოთხივე ჩვენებური კარგად თამაშობს.

- სექტემბერში აზერბაიჯანი-საქართველოს ამხანაგური მატჩის შემდეგ აზერბაიჯანელებს ყველაზე მეტად რომელი ჩვენებური მოეწონათ?

- მაგალითად, „ბაკის“ მაკედონიელ მწვრთნელ გოიკო ხაჯიევსკი ძალიან მოეწონა ლევან ცქიტიშვილი და მალხაზ ასათიანი, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ნაკრებელებიდან კი გრიგოლ დოლიძე.

- ერთ-ერთ აზერბაიჯანულ ვებ-გვერდზე დაიწერა, „ბაკის“ ისეთი ფინანსური პრობლემები აქვს, ფეხბურთელები თვეობით ვერ იღებენ ხელფასსო...

- მსგავსი არაფერი მომხდარა, ხელფასი ხანდახან რამდენიმე დღით თუ გვიანდება.

- საქართველოს ჩემპიონატში არც თუ ცოტა გოლი გაგქონდა, აზერბაიჯანში კი გოლებს ძალიან მოუკელი...

- „ბაკიში“ ახლაც ისეთ ცენტრალურ ნახევარმცველად მათამაშებენ, ვინც უფრო დაცვით ფუნქციებს ასრულებს. ამ ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ ერთი გოლი გავიტანე, მაგრამ ის გოლი რამდენიმე გოლს უდრიდა - პირველ ტურში, ახალი მწვრთნელის ხელში პირველ თამაშში - მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე შევაგდე ეფექტური გოლი და 2:1 მოვიგეთ.

დავით თავართქილაძე

საფეხბურთო კლუბი გორის „დილა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კლუბის ყოფილი ფეხბურთელი

როინ მარლიშვილი

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

მოგაგაზოგთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 755 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA ISP ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსწრაფესი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა ხანგრძლივად გაუჭიანურებლად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბიო კაპელომ „დეილი მირორს“ სენსაციური ინფორმაცია გაუმხილა. ის აცხადებს, რომ გასულ კვირაში „ლივერპულის“ ბოსები დაუკავშირდნენ და **რაფა ბენიტესის** ადგილი შესთავაზეს. კაპელოს არაფერი უთქვამს იმაზე, თუ რით უპასუხა სარფიან შეთავაზებას. ჯერჯერობით, ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ „წითლების“ მფლობელებს, **ტომ ჰიკსაა** და **ჯორჯ უილეტს**, ესპანელ სპეციალისტთან ურთიერთობა გაუფუჭდათ. ბუნებრივია, რომ ისინი უკვე მუშაობენ ალტერნატიულ ვარიანტზე და კაპელოსთან დაკავშირებასაც სწორედ ეს ამბები უდევს საფუძვლად. დიდი მაესტროს აღიარება განგაშის მაუწყებელი უნდა იყოს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციისთვისაც, რომელიც კაპელოს ნაკრებში დანიშვნას უპირებს. როგორც იცით, ამ პერსპექტივას თავად კაპელოც ენთუზიაზმით უყურებს. დღეს მას უფრო მეტი შანსი აქვს, ვიდრე **ჟოზე მოურინიოს**, რომელიც ასევე ფიქრობს ინგლისურ მომავალზე...

...მაგრამ დავუბრუნდეთ „ლივერპულს“. მიუხედავად იმისა, რომ კლუბის მეპატრონეებმა ბენიტესთან დროებითი ზავი დადეს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მწვრთნელს აღარაფერი ემუქრება. თუ „წითლები“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ვერ გავლენ, შეიძლება დიდი ალბათობით ითქვას, რომ ბენიტესს ჩემოდნების ჩალაგება მოუწევს. ამ შემთხვევაში, კაპელო რეალურად დადგება არჩევანის წინაშე - „ლივერპული“ თუ ინგლისის ნაკრები?

შემდეგ ინფორმაციას კი უკვე „დეილი სტარი“ ავრცელებს. აქედან ვიგებთ, რომ კაპელოზე პრეტენზიას, თურმე, „ნიუკასლიც“ აცხადებს. თავად „ჯორდების“ მწვრთნელი **სემ ელერდაისიც** აღიარებს, რომ გადაყენების პირასაა. ბოლო ხუთ ტურში „ახალციხელები“ მხოლოდ ერთ ქულას გამორჩნენ. „ნიუკასლის“ დირექტორატი ელერდაისის გათავისუფლებას ითხოვს. თუმცა კლუბის მეპატრონე **მაიკ ეშლი** იმის მომხრეა, რომ მწვრთნელს შობამდე მისცეს სიტუაციის გამოსწორების შანსი. ელერდაისს მხარდაჭერას უცხადებენ ინგლისის ნაკრების ყოფილი მოთამაშეები, **კრის უოდლი** და **პიტერ ბერდსლი**. მაგალითად, უოდლი ამბობს: *„ჩვენ ვიცით, რაც უნდათ „ნიუკასლის“ ფანებს - ლამაზი ფეხბურთი და გამარჯვებები, მაგრამ ეს გამარჯვებები მწვრთნელთა ხშირი ცვლით არ მოდის. სასაცილოა უბრალოდ“...*

დაახლოებით ამასვე ბრძანებს ბერდსლიც: *„როგორ შეიძლება, მწვრთნელის ავ-კარგზე იმსჯელო 14 მატჩით, განსაკუთრებით იმის შემხედვარე, თუ რას მიაღწია ელერდაისმა თავის ყოფილ კლუბთან ერთად“.*

...რკინის ლოგიკაა. შეგახსენებთ, რომ ელერდაისი „ნიუკასლში“ გასულ ზაფხულს, „ბოლტონიდან“ მივიდა. კარგი სტარტის შემდეგ, „ჯორდებმა“ პოზიციები დათმეს. თუმც მწვრთნელი დარწმუნებულია, რომ ეს დროებითია, მაგრამ მან ისიც იცის, რომ მუდმივი არაფერია, მათ შორის, მწვრთნელის სამსახურიც...

მოსალოდნელი დანიშვნა

კაპელო: თუ ინგლისი არა, მაშინ ლივერპული... ან თუნდაც ნიუკასლი

ვარაუდი

მარჩელო ბარსაში?

ლიპის მეხანძრის როლი არ აწყობს. რატომ გააკრიტიკა მაესტრომ რიიკაარდი?

მარჩელო ლიპის უმუშევრობას, ჯერჯერობით, ბოლო არ უჩანს. ერთი მხრივ, ეს არის მწვრთნელი, რომელსაც ნებისმიერი კლუბი თუ ნაკრები ინატრებდა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ დღესდღეობით, ამ სფეროში ვაკანსიები, ფაქტობრივად, არ არის. დიდ კლუბებსა თუ ნაკრებებში სერიოზული მწვრთნელები მუშაობენ. ესეც არ იყოს, ახლა შუა სეზონია და ლიპის დარი თავმოყვარე სპეციალისტი „მეხანძრის“ სტატუსით მუშაობას არ დათანხმდება. რაც შეეხებათ ნაკრებებს, ინგლისის ეროვნული გუნდის გარდა, აქაც სტაბილური ვითარებაა და სამწვრთნელო კატაკლიზმები მოსალოდნელი არ არის. მით უმეტეს, წინ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპია.

ახლა, მწვრთნელს სწორედ ინგლისელები ეძებენ, თანაც დიდ მწვრთნელს და ბუნებრივია, ასეც უნდა იყოს. ეს პროცესი საერთო-სახალხო საქმედ იქცა. საფეხბურთო ასოციაციამ მოუწოდა ქვეყნის ავტორიტეტულ საფეხბურთო მოღვაწეებს - ახალი დამრიგებლის შერჩევაში დაგვეხმარეთო. სახელდება რამდენიმე კანდიდატურა, რომელთა შორის ლიპი, რატომღაც, არ ფიგურირებს. თუმცა ეს უკანასკნელი ყოველთვის ადასტურებდა ალბიონური ბურთაობის მიმართ სიმპათიებს. შეიძლება, აქ ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი იყოს ენობრივი ბარიერი. ეტყობა, ამას ინგლისური ასოციაციაც ითვალისწინებს.



ლიპი თებერვალში ან მარტში იტყვის...

...მაგრამ ლიპი მაინც დაბრუნდება. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში 59 წლის მაესტრო ამბობს, რომ გადაწყვეტილებას თებერვალ-მარტში მიიღებს: *„ძალიან მინდა ფეხბურთში დაბრუნება. შვებულება მეტად ხანგრძლივი გამომივიდა. თუმც შუა სეზონში მუშაობის დაწყება არ მსურს. ეს ყოველთვის პრობლემებთანაა დაკავშირებული. ასე რომ, მომავალი სეზონის სტარტისთვის უნდა მელოდოთ“* - ამბობს ლიპი „პრიმოკანალესთან“ ინტერვიუში.

ამასობაში, სპეკულაციებიც გახურდა. მაგრამ მანამდე, საინტერესოა ლიპის კომენტარი „ბარსელონასთან“ დაკავშირებით. „სტამპასთან“ ინტერვიუში სინიორ მარჩელომ კატალონიური გრანდის პრობლემებზე ისაუბრა. აშკარად ჩანს, რომ ის ამ პრობლემებში **ფრანკ რიიკაარდს** ადანაშაულებს. იტალიური წყაროები ვარაუდობენ, რომ სეზონის ბოლოს ჰოლანდიელი პოსტს დატოვებს და მის ადგილს სწორედ ლიპი დაიკავებს. ანალოგიური მოსაზრება ბოლოხანს ესპანურ პრესაშიც გაჩნდა. ძველ ინტერვიუებს თუ გავიხსენებთ, ლიპი ესპანეთში მუშაობასაც მუდამ პოზიტიურად უყურებდა. ამიტომ, ეს ვარაუდი რეალობისგან შორს არ უნდა იყოს.

რიიკაარდს ძამბროტა თვალში აღარ მოსდის

მიმომხილველები ჯანლუკა ძამბროტას „მილანში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. დაინტერესება, პირველ რიგში, კლუბისგან მოდის, თუმც „ბარსელონისა“ და იტალიის ნაკრების განაპირა მცველიც ენთუზიაზმით უყურებს მსგავს პერსპექტივას. „როსონერის“ საამისოდ წონადი არგუმენტი აქვს: ამ ამპლუაში **კარლო ანჩელოტის** სუპერკლასის ფიგურა არ ჰყავს. მარჯვნივ არიან **მასიმო ოდო** და **მარკუშ კაფუ**. ეს უკანასკნელი უკვე ასაკშია და შესაბამისად, მისდამი ნდობაც ნაკლებია. ოდო კი მთელ სეზონს მარტო ვერ გასწვდება. რა ხდება მარცხენა ფლანგზე? აქ სიტუაცია კიდევ უფრო რთულადაა: **პაოლო მალდინი** გაზაფხულზე კარიერას ასრულებს, **ჯუზეპე ფავალისაც** თითქოს პენსიისკენ უჭირავს თვალი, **სერჟინიოს** კი ორი წელია ტრავმები სტანჯავს და შესაბამისად, არასტაბილურია. ამიტომაც, ანჩელოტი აქცენტს აკეთებს **მარეკ იანკულოვსკიზე**, თუმც ისიც უკვე კარგა ხანია ტრავმას მკურნალობს. ადრე იყო ასეთი ვარაუდიც, რომ თუ „მილანი“ ძამბროტას გადაიბირებდა, საჭიროების შემთხვევაში კარლეტო იანკულოვსკის საყრდენად გაამწესებდა. მაგრამ დღეს ამაზე საუბარი აღარ არის...

არგუმენტები თავად ძამბროტას მილანურ ენთუზიაზმსაც აქვს. ჯერ ერთი, რომ ის 30 წლისაა და სამ-ოთხ სეზონს კიდევ გაუძლებს. „ბარსელონაში“ მან ფეხი ვერ მოიკიდა. „ელ მუნდო დეპორტივო“ წერს, რომ იტალიელი ვარსკვლავი გაწბილებულია სათამაშო პრაქტიკის კატასტროფული ნაკლებობით. გუშინ ვწერდით, რომ კატალონიური გრანდი ინციდენტებმა წალეკა და რა გასაკვირია, რომ ამა თუ იმ ფეხბურთელს გარემოს გამოცვლა უნდოდეს. „ელ მუნდოს“ მოჰყავს ძამბროტას სიტყვებიც, რომელშიც ფეხბურთელი სრულიად დასაშვებად მიიჩნევს, რომ იანვარში „მილანს“ მიაშუროს. და რა არის საჭირო ამისთვის? გაზეთი დარწმუნებულია, რომ იტალიურ გრანდს მსოფლიო ჩემპიონის დახსნა სულ რაღაც 3 მილიონ გირვანქად შეუძლია. **ფრანკ რიიკაარდი** ამ საკითხს, ალბათ, ვერ გადაწყვეტს, რადგან თავადაც ჩემოდნებზე ზის...

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ძამბროტა „ბარსელონაში“ 2006 წლის ზაფხულში გადავიდა, როცა „კალჩოპოლის“ სკანდალის გამო, „იუვენტუსს“ სერია B-ში უკრეს თავი. ამ ხნის განმავლობაში, მან მხოლოდ 46 პრემიერადივიზიონურ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ძამბროტა, მილანი და იანვარი

ექსიუვენტუსელი კამპ ნოუზე ველარ ძლებს

მოსალოდნელი ტრანსფერი

ტრანსფერი

ლუკარელი ჭორინოსკენ?

კრისტიანს ლივორნოც ელოდებაო...

როგორც ჩანს, **კრისტიანო ლუკარელი** და დონეცკის „შახტარი“ იყრებიან. გასულ ზაფხულს ტრანსფერს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ლუკარელის გადაწყვეტილების მართებულობა მიმომხილველებმა დიდი ეჭვის ქვეშ დააყენეს. მაგრამ აქ მთავარი როლი ითამაშა უკრაინისთვის უპრეცედენტო ხელფასმა, რომელიც „შახტარის“ ბოსმა **რინატ ახმეტოვმა** უშურველად გაიღო. კონტრაქტის მთავარი პირობა დონბასური კლუბის საჩემპიონთალიგო წარმატება უნდა ყოფილიყო. ახმეტოვმა გუნდს მინიმუმ (!) პლეიოფში გასვლა დაუსახა მიზნად. კარგი სტარტის მიუხედავად, „შახტარი“ ჩაფლავდა. ბუნებრივია, ამ სიტუაციაში დონეცკელებისთვის ლუკარელის მსუყე ხელფასი ინტერესს კარგავს. ესეც არ იყოს, თავად იტალიელ ფორვარდსაც აღარ სურს მხოლოდ უკრაინის ჩემპიონატით დაკმაყოფილება...

„ტუტოსპორტის“ ინფორმაციით, 32 წლის თავდამსხმელს „ტორინო“ ეპატიჟება. „გრანატას“ წინა ხაზზე ძალიან უჭირს. **ალვარო რეკობა** პანაცეად ვერ იქცა. ლუკარელი კი ქარიზმატული ფიგურაცაა. მას შეუძლია გუნდის დარაზმვა, რასაც თავის დროზე „ლივორნოში“ წარმატებით ართმევდა თავს. „ტუტოსპორტი“ ლუკარელის აგენტის **კარლო პალავიჩინოს** კომენტარს ავრცელებს:

„უახლოეს დღეებში ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონით. ჯერჯერობით, უკრაინული კლუბის დირექტორებთან არ გვისაუბრია. პოზიციები უნდა შევაჯეროთ. „შახტარი“ ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა, უკრაინული პირველობა კი მარტამდე არ განახლდება. თუ რომელიმე იტალიური კლუბი დაინტერესდება, წინადადებას აუცილებლად განვიხილავთ“.

სხვათა შორის, საუბარია „ლივორნოში“ დაბრუნებაზეც. ტოსკანური კლუბის პრეზიდენტმა **ალდო სპინელიმ** ამაზე ერთხელ უკვე თქვა - მიუხედავად ყველაფრისა, კრისტიანოს გაშლილი ხელებით ველითო. მოგეხსენებათ, გასული სეზონის ბოლოს ფეხბურთელსა და კლუბს შორის კონფლიქტი მოხდა, პლუს ამას, ლუკარელის შეხლა-შემოხლა მოუვიდა ფანების ერთ ჯგუფთანაც. საგულისხმოა, რომ „ლივორნოსთვის“ რთულ დღეებში დაბრუნებას არც ფეხბურთელი გამორიცხავდა, თუმც ახალი მწვრთნელი **ჯანკარლო კამოლეზე** ამ თემას დახურულად მიიჩნევს, შეიძლება, იმიტომაც, რომ ლუკარელი რთული ტიპია. უფრო სავარაუდოა, რომ ვეტერანმა ფორვარდმა გადაწყვეტილება „ტორინოს“ სასარგებლოდ მიიღოს. იქ ხომ მისი ძმა **ალესანდრო** თამაშობს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. დაპირისპირება

ვინ ებრძვის კატალონიურ გრანდს?

რონალდინიო კამპ ნოუდან მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა, თუ მის გაყიდვას კლუბი მოისურვებს

„დიარიო მარკა" თავისას არ იშლის და **რონალდინიოს** „ბარსელონიდან" მოსალოდნელი ნასვლის თემას კიდევ ერთხელ შეეხო. მადრიდულმა გაზეთმა ამჯერად ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საქმე იმაშია, რომ ჟურნალისტები სრული სერიოზულობით ამტკიცებენ, გაუჩომ „ჩელსისთან" საბოლოო შეთანხმებას მიაღწია და იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნისთანავე „სტემფორდ ბრიჯზე" გადაბარგდებაო. ითქვა იმ თანხის შესახებაც, რომელსაც თითქოს **რომან აბრამოვიჩი** ბრაზილიელ ვარსკვლავს წლიური გასამრჯელოს სახით გადაუხდის. იმავე „დიარიო მარკას" ინფორმაციით ეს თანხა არც მეტი, არც ნაკლები 10 მილიონი ფუნტია. სტატიის დამაჯერებლობის გასამყარებლად ესპანელმა კორესპონდენტმა ლონდონური კლუბის ერთ-ერთი თანამშრომლის განცხადება მოიშველია. აღსანიშნავია, რომ „დიარიო მარკამ" მისი ვინაობის გამხელა არ ისურვა. არგუმენტად კი ის მოიყვანა, რომ იდენტიფიცირება თავად ბრიტანელს არ ნდომებია. მოკლედ, „ჩელსის" ინკოგნიტო მესვეური რონალდინიოსთან შეთანხმების ფაქტს ადასტურებს და აცხადებს, რომ გაუჩო ახალი წლის ღამეს ლონდონის რომელიმე ყველაზე მდიდრულ სასტუმროში გაატარებს, პირველ იანვარს კი კონტრაქტს გააფორმებს.

დაგვეთანხმებით, ასეთი ხმაურიანი სტატია გამოხმაურების გარეშე არ დარჩენოდა. რონალდინიოზე შეყვარებულმა „ბარსელონას" ინჰასებმა დიდი ხმაური ატეხეს. ისინი „კამპ ნოუზე" მივიდნენ და კატალონიური გრანდის საზოგადოებასთან უერთიერთობის მენეჯერთან შეხვედრა მოითხოვეს. ხალხს აინტერესებდა, მართლა მიდის თუ არა რონალდინიო. კლუბის ოფისთან იმდენი ადამიანი მივიდა, რომ მათ დაშოშმინებას დაბალი რანგის ჩინოვნიკი ვერ შეძლებდა. ამიტომ, ქომაგებს **ჩიკი ბეგირისტაინი** შეხვდა და განუცხადა, რომ „დიარიო მარკას" ლუბლიკაცია „ბარსელონის" წინააღმდეგ დაგეგმილი მორიგი პროვოკაციაა და სხვა არაფერი. გენერალურმა დირექტორმა განმარტა, რომ „ჩელსისთან" მას მოლაპარაკებები არ უწარმოებია. არავის უთქვამს, ტრანსფერის გაჩარხვის შემთხვევაში „ბარსელონა" რა თანხას მიიღებს. სხვათა შორის, ამის შესახებ მადრიდული გაზეთის ფურცლებზეც არაფერი დაწერილა. მოკლედ, ბეგირისტაინმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ფანები დაეშვიდებინა. რონალდინიოზე შეყვარებულმა გულშემატკივრებდა გუშინ საღამოს შვებით ამოისუნთქეს...

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კატალონიის ულამაზეს დედაქალაქში რონალდინიოს ძმა, **რობერტო დე ასისი** ჩავიდა. „დიარიო მარკამ" მისი ვიზიტის შესახებ ერთ-ერთმა პირველმა შეიტყო და ვებგვერდზე ახალი ამბავი გამოაქვეყნა - გაუჩოს მენეჯერი ძმა „ბარსას" ოფისში იმისთვის მივიდა, რომ ტრანსფერის ბოლო დეტალები შეათანხმოს და საქმე დაამთავროსო. მალე გაირკვა, რომ ამ ინფორმაციას სიმართლესთან არანაირი კავშირი არ ქონდა. რობერტო დე ასისმა ვითარებაში სიცხადის შეტანის მიზნით „კამპ ნოუს" აღმოსავლეთ ტრიბუნასთან სახელდახელო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა: „ახლა მეგობარმა დამირეკა და ისეთი რამ მითხრა, პირლია დავრჩი. „დიარიო მარკას" საიტზე დაწერილა, რობერტო დე ასისი იმისთვის ჩამოვიდა, რომ საკუთარი ძმა „ჩელსიში" წაიყვანოსო. დიდი ხანია, ასეთი ტყუილი არ გამიგია. მართალია, მე მისი მენეჯერი ვარ, მაგრამ მსურს ყველამ იცოდეს, რომ რონალდინიოთი დაინტერესებული კლუბები წინადადებებით „ბარსელონას" მიმართავენ და არა მე. შეუძლებელია, ჩემმა ძმამ რაიმე დამიმალოს. მინიმალური შანსიც არ არსებობს იმისა, რომ „ჩელსისთან" ჩემს გარეშე დაემყარებინა კავშირი. როგორც ჩანს, ჩემი ვიზიტი გარკვეულმა ადამიანებმა თავიანთი მიზნების მისაღწევად გამოიყენეს. ვიმეორებ, ერთ-ერთ გაზეთში ეწერა, თითქოს რონალდინიო ლონდონში უნდა წავიყვანო. რა სისულელეა! კატალონიაში იმიტომ ჩამოვედი, რომ ოჯახის წევრები მენახა. ძმა ძალიან მომენატრა. თავისუფალი დრო გამომიჩნდა და ვესტუმრე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, სატრანსფერო მოლაპარაკებები არავისთან მიწარმოებია, არც "ჩელსის" მესვეურებს შევხვედრივარ და არც რომელიმე სხვა გრანდის. რონალდინიოს „ბარსასთან" 2010 წლამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ 2,5 წლის განმავლობაში მის ინტერესებს უნდა ემსახუროს. ბუნებრივია, სათადარიგოთა სკამდე ჯდომა რონალდინიოს გეგმებში არ შედის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი ძმა პოზიციებს მალე დაიბრუნებს. მანაც მითხრა და თავადაც დავრწმუნდი, რომ აქ ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს, კატალონიელები მას აღმერთებენ და ისე ეპყრობიან, როგორც ნაციონალურ გმირს. „ბარსასთან" ერთად არაერთი ტიტული მოიპოვა. მოკლედ, ძალიან ბევრი მიზეზი არსებობს იმისა, რომ რონალდინიომ კვლავ „ბარსელონაში" გააგრძელოს კარიერა. ჩემი ძმა ძალიან მშვიდადაა, არაფერზე ნერვიულობს და ეჭვი ოდნავადაც არ ეპარება, რომ „კამპ ნოუზე" მომავალშიც უდიდეს წარმატებებს მიაღწევს. მოკლედ, ახლა აქვ ვარ, თქვენს წინაშე და ვამბობ, რომ „ჩელსიში" არ მივდიოართ. შემიძლია, „დიარიო მარკას" კორესპონდენტებს ამის შესახებ ინდივიდუალურადაც მოვახსენო. ერთი სიტყვით, თემა ამონურულია. რონალდინიო კატალონიას მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ მის გაშვებას „ბარსელონის" ხელმძღვანელობა მოისურვებს."

იმავე წამს გაირკვა, რომ დირექტორატს ასეთი რამ არც კი უფიქრია. ბეგირისტაინმა **რობერტო დე ასისისგან** ესტაფეთა გადაიბარა და პრესკონფერენცია გააგრძელეს: „ჩვენც სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ გაუჩოს გაყიდვაზე არც ერთი წუთი არ გვიმუშავია. საამისო შესაძლებლობასაც კი არ განვიხილავთ. გულშემატკივრები მშვიდად უნდა იყვნენ, რონალდინიო არ იყიდება. უკვე დავიღალე კიდეც ამ თემაზე საუბრით, მაგრამ ვალდებული ვარ მადრიდული გაზეთის მორიგ პროვოკაციას ვუპასუხო და მათი სტატიის წყალობით გავრცელებული ჭორები უარვყო. ეს ძველი მეთოდებია. მადრიდული პრესა წინა საუკუნიდან მოყოლებული ცდილობს, პრობლემები შეგვიქმნას და თავი აგვატკივოს. შეჩვეულები ვართ, მაგრამ ინერტულობას არ დავუშვებთ. არ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ახალი არაფერია და ხელი არ გავანძრიოთ. ნურას უკაცრავად, ნებისმიერ პროვოკაციას შესაბამისი პასუხი უნდა გავცეთ. სასიხარულოა, რომ რობერტო დე ასისი ახლა თქვენს წინაშეა და ყველაფერზე თავად ისაუბრა. საინტერესოა, ახლა რაღას იტყვიან ღრმად პატივცემული „დიარიო ასის" თანამშრომლები?"

მათ მაინც არ დაიხიეს უკან და ვებ გვერდზე კიდევ ერთხელ დაწერეს, რომ რონალდინიოს „ჩელსიში" გადასვლა გადაწყვეტილი საქმეა, რომ „ბარსელონის" მესვეურები და ფეხბურთელის ძმა აჟიოტაჟის თავიდან აცილების მიზნით, ლონდონელებთან შეთანხმებით ინფორმაციას მალავენ. კატალონიურ გრანდთან დაპირისპირების გაღრმავებას ემსახურება ის წერილიც, რომელიც გუშინ გვიან ღამით ასევე ინტერნეტ გვერდზე გამოჩნდა. ვფიქრობთ, არ იქნება ურიგო, თუ ამ სტატიას სტილის დაცვით შემგთავაზებთ:

„რონალდინიოსა და „ბარსელონის" განქორწინების მიზეზი წარსულში უნდა ვეძიოთ. განქორწინებისა, რომლის სიმწარეც „ბლაუგრანას" არაერთმა ვარსკვლავმა იგემა. რამდენიც არ უნდა ისაუბრონ, ვერავინ უარყოფს, რომ მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეები ამ გუნდის სხვადასხვა ხელისუფლებამ უკანა კარიდან გაისტუმრა. თუნდაც რომარიო, რონალდო, რივალდო და ფიგუ გავიხსენოთ. თითოეულმა მათგანმა „კამპ ნოუზე" საკუთარი ეპოქა შექმნა, მაგრამ ოთხივე ისე მოიცილეს თავიდან, როგორც უვარგისი, უმაქნისი მუქთახორები. სიყვარულის სიძულვილში გადაზრდის პირველი ყველაზე ნათელი მაგალითი რომარიო და სოუზა ფარიასის ისტორია გახლდათ. ბრაზილიელს კატალონიელი ინჩასები უბრალოდ აღმერთებდნენ, მაგრამ დადგა დღე, როცა ის უცერემონიოდ გააგდეს და მადლობაც კი არ უთხრეს. კაცი, რომელმაც პრემერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული, ფიფას საუკეთესო მოთამაშის წოდება და 1994 წლის მუნდიალის ოქროს მედალი მოიპოვა ათენში ფაბიო კაპელოს „მილანთან" განცდილი კატასტროფული მარცხის (0:4) გამო მოიძულეს და ფიასკოს მთავარ მიზეზად შერაცხეს. „ბარსელონის" მაშინდელი ხელმძღვანელების შეფასებები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს იმ მოსაზრებებს, რომლებიც ამჟამად რონალდინიოს მისამართით გამოითქმის. ამბობდნენ, რომარიოს ღამის ცხოვრება იტაცებდა. ბარებში ალკოჰოლით იჭყიპებოდა და სახლში გამთენიისას ბრუნდებოდა. ბრაზილიელის წინააღმდეგ მიზანმიმართული პროპაგანდა მიმდინარეობდა და ეს ყველაფერი ლოგიკურ შედეგამდე მივიდა. „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალთან" განცდილი შეურაცხმყოფელი მარცხის (0:5) შემდეგ რომარიოს პირდაპირ უთხრეს, რომ გუნდში სიტუაციას ურევდა და „ბარსელონა" უნდა დაეტოვებინა. განა, რონალდინიოსაც ასევე არ ეპყრობიან? მართალია, ოფიციალური პირები არ ამბობენ, რომ გაუჩო ბარებს ხშირად სტუმრობს და დისციპლინას არღვევს, მაგრამ სათქმელს ისინი ირიბად, მეორე პირების დახმარებით ყოველთვის ამბობენ. შეუძლებელია, ედმილსონის ამასწინანდელი პრესკონფერენცია არ გავიხსენოთ. ბრაზილიელმა ღიად განაცხადა, ჩვენს გუნდში ცალკეული ფეხბურთელები უდიდესი პრივილეგიებით სარგებლობენ. მათ ისეთ რამეს პატიობენ, რისთვისაც სხვა ნებისმიერს გააგდებდნენო. წარმოუდგენელია, რომ ედმილსონს ამ პრესკონფერენციის წინ „ბარსას" დირექტორატის რომელიმე მაღალჩინოსანი არ შეხვედროდა. დარწმუნებული ვართ, რონალდინიოს გაყიდიან და ამ ნაბიჯს სწორედ ბრაზილიელის თავზეხელაღებული ცხოვრებით გაამართლებენ. იტყვიან, გაუჩომ ვარჯიშს უკლო და მთელ დროს გართობას ახმარდაო. კიდევ ერთი მსგავსება, რომარიოს კრუიფმა დაუფარავად დაუწყო ლანძღვა. სენიორ იოჰანი შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებს, რონალდინიოც დააკნინოს. ფაქტობრივად ყველა საგაზეთო სვეტს ის ბრაზილიელის ლანძღვა-გინებას უთმობს...

რონალდოც გავიხსენოთ. მაშინ ის ფენომენალურ ფორმაში იყო და მსოფლიო საფეხბურთო საზოგადოებამ მეტსახელად „ფენომენი" შეარქვა. „ბარსელონამ" ღვთიური ნიჭით დაჯილდოვებული გენიოსი მხოლოდ ერთი წელი აიტანა და მასაც კარისკენ მიუთითა. არადა, სპეციალისტებს შესანიშნავად ესმოდათ, რომ რონალდოს „ბარსასთვის" უამრავი სიკეთის მოტანა შეეძლო. „ფენომენმა" ევროპის თასების მფლობელთა თასი, ესპანეთის სამეფო თასი, პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული, ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება და „ოქროს ბურთი" მოიპოვა, მაგრამ იმდროინდელმა პრეზიდენტმა ჟოზეპ ლუის ნუნიესმა ეს ყველაფერი არაფრად ჩაგდო და სამხრეთამერიკელი იტალიაში გაყიდა. მრავლისმეტყველი გახლდათ ის სიტყვები, რომლებიც რონალდომ კატალონიიდან ბარგების დღეს გააკეთა: „ბარსელონის" სახელის გაგონებაც კი აღარ მსურს. ვერ წარმომიდგენია, ვის რა დავუშავე. უკანასკნელ მაწანწალასაც არ მოეპყრობოდნენ ასე. თავმოყვარეობა შემილახეს. ცხოვრებაში რაც არ უნდა მოხდეს, „ბარსელონაში" აღარასოდეს ვითამაშებ."

აბსოლუტურად იდენტური ამბავი გადახდათ რივალდოსა და ფიგუს. მათ „ბარსას" კეთილდღეობას მთელი ცოდნა და გამოცდილება მოახმარეს, მაგრამ არავინ იფიქრა ბიჭების შენარჩუნებაზე.პირიქით, ბრაზილიელი და პორტუგალიელი გუნიდან გააგდეს. „კამპ ნოუზე" დაბრუნებულ ფიგუს „კამპ ნოუმ" ჯოჯოხეთური აგრესია დაატეხა თავს. ყველას გვახსოვს, მაშინ ლუიშს ტრიბუნიდან ღორის თავი ესროლეს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კატალონიური გრანდის ხელმძღვანელებს ვარსკვლავების მოფრთხილება არ ახასიათებთ. ისინი მეტისმეტად ამბიციურები და დაუნდობლები არიან. რონალდინიო დაუნდობლობის ტრადიციის მსახვრელ ხელს მალე დაინახავს."

„ბარსელონაზე" საუბარს უახლესი ამბით დავასრულებთ. გუშინ **ჯანლუკა ძამბროტას** მენეჯერმა განაცხადა, ჩემი კლიენტი „კამპ ნოუდან" არსადაც არ წავაო. სასაცილოა, მაგრამ იტალიელმა **მარჩელო ბონეტომაც** მადრიდული პრესის წინააღმდეგ გაილაშქრა: „მადრიდული გაზეთები სიცრუის გავრცელებით არიან დაკავებულები. ასეთი რამ სხვაგან არსად მინახავს. რამდენიმე დღის წინ დაწერეს, ძამბროტა „მილანში" გადადისო. საიდან მოიტანეს ეს ინფორმაცია? „როსონერის" ბოსებს ჩემს ნაცვლად მოელაპარაკენენ? „სან სიროზე" გადაბარგებასთან დაკავშირებული შეთანხმება ბუნებაში არ არსებობს. ჯანლუკა „ბარსელონაში" ძალიან კარგად გრძნობს თავს. ხელმძღვანელობაც კმაყოფილია. ასე რომ, ჩემი კლიენტი კატალონიაში სულ მცირე, კონტრაქტის ვადის ამონურვამდე დარჩება."

რეალი. ტრანსფერები

მალუდა დრენჭეში გაიცვლება?

დუდეკს უთამაშებლობა ყელში ამოუვიდა და ბერნაბეუდან წასვლას ცდილობს

როგორც ჩანს, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას „გათავისუფლების" დიდი ოპერაცია მართლაც დაგეგმილი აქვს. „დიარიო მარკა" ჯერ კიდევ 27 ნოემბერს იუწყებოდა, რომ „რეალს" იანვარში ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი დატოვებს. გუშინ **რონალდო დრენტესა** და **რობერტო სოლდადოს** შესაძლო წასვლაზე ვსაუბრობდით. ახალგაზრდა ჰოლანდიელთან დაკავშირებულ სიახლეს დღესაც გაგაცნობთ, თუმცა მანამდე გეტყვით, რომ „სანტიაგო ბერნაბეუს" დატოვების სურვილი **იკერ კასილიასის** დუბლიორმა, **იერჟი დუდეკმა** გამოთქვა. აღსანიშნავია, რომ „დიარიო მარკას" პუბლიკაციაში მისი გვარიც ფუგურირებდა. გუშინ პოლონელმა მეკარემ „რადიო მარკას" ნტერვიუ მისცა და განაცხადა, რომ უთამაშებლობით ძალიან დაიღალა და „რეალის" დატოვებაზე" ოცნებობს. მისი თქმით, სათადარიგოთა სკამზე სისტემატურად ჯდომა ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის შანსს უკარგავს.

სავარაუდოა, რომ დუდეკი იანვარში რომელიმე კლუბში იჯარის წესით გადაბარგდება. ზაფხულში კი „რეალი" მის სატრანსფერო უფლებებსაც შეელევა, რა თქმა უნდა, გარკვეული თანხის სანაცვლოდ.

ამასობაში, ბრიტანულ „სანში" სენსაციური ინფორმაცია გამოქვეყნდა. თითქოს, „ჩელსისა" და „რეალის" მესვეურები **ფლორან მალუდასა** და დრენტეს გაცვლის შესახებ თათბირობენ. ცნობილია, რომ ფრანგმა ნახევარმცველმა რამდენიმე დღის წინ საკუთარი კლუბი, პრემიერლიგა და ზოგადად ინგლისური ფეხბურთი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. მალუდას თქმით, ბრიტანეთში ფეხბურთელები არა გონებით, არამედ ინსტინქტით ასპარეზობენ და მას ამგვარი თამაში სასტიკად არ მოსწონს. ჰოდა, ახლა „სანი" ამტკიცებს, რომ ფლორანი ამ სიტყვების გამო მოიძულეს და მისი თავიდან მოცილება განიზრახეს. „ჩელსის" შეფებმა შესანიშნავად იციან, რომ „რეალი" დრენტეს გაშვებაზე მუშაობს. ალბათ, ამიტომ „არისტოკრატებმა" ესპანეთის დედაქალაქს საგანგებო ემისარი მიავლინეს. ვიცით, რომ სამეფო კლუბსა და „ჩელსის" ერთმანეთის მიმართ სხვა დაინტერესებაც ამოძრავებთ, მაგრამ ხსენებულ ემისარს, ამ საქმეებში ჩარევა არ მოეთხოვება. მისი ერთადერთი მიზანი მალუდასა და დრენტეს გაცვლის დაჩქარებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. D ჯგუფი. VI ტური

ინძაგიმ ისტორია შექმნა

გერდ მიულერის ევროპული რეკორდი წარსულში დარჩა, შახტარის ორივე შანსი ძარმა წაიღო...

მილანი-სელტიკი 1:0

მილანი: კალაჩი, კაფუ, ბონერა, შიმიჩი (30. კალაძე), ფავალი, გატუზო, პირლო (74. ბროკი), ამბროზინი, ზეედორფი (69. გურკუფი), კაკა, ინძაგი.

სელტიკი: ბორუცი, კოლდუელი, მაკმანუსი, პრესლი, ო'დეა, ჰარტლი, იაროშიკი (78. ჟურავსკი), მაკგიდი, დონატი (71. სნო), ბრაუნი, მაკდონალდი (65. ვენეგოორ ოფ ჰესელინკი).

გოლი: 1:0 ინძაგი (70)

მაყურებელი: 48 546

არბიტრი: ტომ ჰენინგი (ნორვეგია)

შახტარი-ბენფიკა 1:2

შახტარი: პიატოვი, სრნა, კუჩერი, ჩიგრინსკი, რაცი, ილსინიო (67. უილიამი), ლევანდოვსკი (57. ჰიუბშმანი), ფერნანდინიო, ჟადსონი, ბრანდაუ, ლუკარელი (74. გლადკი).

ბენფიკა: კუიმი, ნელსონი, ლუიზაო, ლუიზი, ლეო, კაცურანისი, პეტიტი, პერეირა (83. ფელიპე), რუი კოშტა, დი მარია (67. ნუნუ ასისი), კარდოსო (90. ნუნუ გომეში).

გოლები: 0:1 კარდოსო (6), 0:2 კარდოსო (22), 1:2 ლუკარელი (30-პენ)

მაყურებელი: 28 000

არბიტრი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

1. მილანი	6	4	1	1	12-5	13
2. სელტიკი	6	3	0	3	5-6	9
3. ბენფიკა	6	2	1	3	5-6	7
4. შახტარი	6	2	0	4	6-11	6

„მილანმა" „სელტიკს" მინიმალური ანგარიშით მოუგო. იმ საღამოს კლუბის გამარჯვებაზე უფრო მნიშვნელოვანი **ფილიპო ინძაგის** პირადი მიღწევა გახლდათ. ვეტერანმა თავდამსხმელმა ევროტურნირებზე 63-ე გოლი შეაგდო. მან ლეგენდარული გერმანელი ფორვარდის, **გერდ მიულერის** შედეგი გააუმჯობესა და რეკორდსმენი გახდა. მარცხის მიუხედავად, მერვედვინალში თამაშის უფლება მოიპოვა „სელტიკმაც". მან დონეცკის „შახტარის" წაგებით ისარგებდა. უკრაინელებს შინ „ბენფიკა" რომ დაემარცხებინათ, ჩემპიონთა ლიგაში გაადგრძელებდნენ ასპარეზობას. ასე კი უეფას თასის საგზურიც ქარს გაატანეს. მესამე ადგილი პორტუგალიელებს ერგოთ.

დავბრუნდეთ მილანში. შეხვედრის პირველ ნახევარს ძნელად თუ გაარჩევდით ვარჯიშისაგან. ტემპი საოცრად დაბალი იყო. შესვენების შემდეგ გუნდები ოდნავ გამოცოცხლდნენ და რამდენიმე მომენტი შექმნეს, მათ შორის იყო ის მომენტიც, რომელსაც ისტორიული გოლი მოჰყვა. თამაშის დასრულებამდე ოცი წუთი იყო დარჩენილი. **კაკამ** შეტევა მარჯვენა ფლანგიდან წამოიწყო. მან ბურთი თანამემამულე **მარკოს კაფუს** მიაწოდა. კაფუმ ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოში ჩაჰკიდა. იქ კი ინძაგი იყო ჩასაფრებული და ერთი შეხებით შეაგდო.

თამაშის წინ „მილანის" თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** განაცხადა, საუკეთესო შემადგენლობას გამოვიყვანო. სინამდვილეში თითქმის ნახევარი გუნდი შეცვალა. კარლეტომ წამყვანი ფეხბურთელები დაასვენა. ამ პირობებშიც კი „როსონერის" შემადგენლობას ძნელად თუ დავარქმევდით შესუსტებულს. შავ-წითელი მაისურებით მინდორზე მსოფლიოს ექვსი ჩემპიონი გამოვიდა.

ფრე ორივე გუნდს აძლევდა ხელს. უსახური პირველი ნახევარი მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას. მეტოქეები თავდასხმაზე არ ფიქრობდნენ. ერთ ეპიზოდში გლაზგოელთა მარჯვენა მცველმა **გარი კოლდველმა** ცენტრის ხაზი გადაკვეთა და „მილანის" კარისაკენ დაიძრა. მას წინ დიდი სივრცე ჰქონდა. მონდომების შემთხვევაში, ვითარებასაც აუცილებლად გაამწვავებდა, მაგრამ შეჩერდა, მოტრიალდა და ბურთიანად საკუთარ ნახევარს მიაშურა.

მეორე ტაიმის დასაწყისში „მილანმა" ორი სახიფათო მომენტი შექმნა. „სელტიკის" კარს ანდრეა პირლომ და ინძაგიმ შეუტიეს. „როსონერი" სტუმართა საჯარიმოს შემოეწყო. კოლდველი **კლარენს ზეედორფის** ძლიერ დარტყმას გადაეღობა. ერთ წუთში პიპოს კურიოზი შეემთხვა. მან **ჯუზეპე ფავალის** პასი მიიღო. თავდამსხმელი ცარიელი კარის წინ აღმოჩნდა. ინძაგი „სელტიკის" კართან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე სტუმართა გოლკიპერი **არტურ ბორუცი**. მაგრამ პიპომ ბურთი მეკარეს ხელებში მიანოდა. რამდენიმე წუთში მან დანაშაული გამოისყიდა. მილანელთა სათადარიგო მეკარემ **ჟელკო კალაჩმა** „სელტიკის" სახიფათო იერიში მოიგერია. კაკას კი შეცვლაზე შესულმა **ევანდერ სნომ** დაუფარა. „სელტიკი" ზედიზედ მეორე გავიდა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში, მაგრამ გუნდს სავალალო გასვლითი სტატისტიკა აქვს - 15 მარცხი სტუმრად ჩატარებული 16 მატჩიდან...

ჯგუფის მეორე მატჩი დონეცკში გაიმართა. „შახტარმა" თამაში აქტიურად დაიწყო, მაგრამ მეექვსე წუთზე პირველი გოლი გაუტანეს. ბურთი პარაგვაელმა თავდამსხმელმა **ოსკარ კარდოსომ** ჩაიწერა აქტივში. 22-ე წუთზე იმავე კარდოსომ დუბლი შეასრულა. სტუმრებმა მეტოქე კონტრშეტევაზე გამოიჭირეს. უკრაინელებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. დონეცკელებმა ერთი ბურთი პირველსავე ნახევარში გაქვითეს. იტალიელმა თავდამსხმელმა **კრისტიანო ლუკარელიმ** პენალტი გაიტანა. 11-მეტრიანი მისივე წაქცევისათვის დაინიშნა. ტაიმის მიწურულს **ჟადსონს** ანგარიშის გათანაბრება მართებდა. ის **კუიმ სილვასთან** პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი მეკარეს გაარტყა.

„შახტარს" არც შესვენების შემდეგ შეუწყვეტია აქტიურობა, მაგრამ „ბენფიკაც" საკმაოდ მშვიდად და გააზრებულად მოქმედებდა. მისი თამაშს გამოცდილი **მანუელ რუი კოშტა** დირიჟორობდა. მატჩის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე პორტუგალიელთა კართან კუთხური დაინიშნა. ბურთი **ვილიანმა** ჩაანოდა. **დარიო სრნა** ყველაზე მაღლა ახტა და თავით ძლიერად დაარტყა. მაყურებლის სამწუხაროდ, ბურთი ძელმა აისხლიტა. „ბენფიკამ" უეფას თასის საგზური გაიფორმა. „შახტარი" კი ახალი ევროპული სეზონისათვის მოემზადება.

ინტერვიუ ფილიპო ინძაგისთან

ბომასონს რომც არ წაეკრა ფეხი, ის ბურთი მაინც გამქონდა

პიპოს 63 ევროგოლი: ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე დაუჯერებელი, ყველაზე ლამაზი...

„სელტიკთან" გუშინწინდელ მატჩში ფილიპო ინძაგიმ ევროთასებზე 63-ე გოლი გაიტანა და ლეგენდარულ გერდ მიულერს გაუსწრო. ინტერვიუ, რომელიც „კორიერე დელო სპორტმა" დაბეჭდა, შოტლანდიელებთან მატჩამდეა ჩაწერილი. ჟურნალისტი, თითქოს ელოდაო რეკორდის დამხობას, ფეხბურთელთან საუბარი ძირითადად ამ თემაზე და საერთოდ, პიპოს გოლებზე ააგო...

მილანი-სელტიკი. ფილიპო ინძაგის უცნაური თაური

- პიპო, მოდი გავიხსენოთ რამდენიმე გოლი იმ 62-დან, რომელიც შენთვის განსაკუთრებული იყო. რომლით დავიწყოთ?

- რა თქმა უნდა, პირველით. ის არ დამავიწყდება იმიტომაც, რომ ძალიან დიდხანს ველოდი. მაშინ „პარმაში" ვთამაშობდი... სხვათა შორის, ამ გუნდში მქონდა სწორედ დებიუტი სერია A-ში.

- და პირველი მსხვერპლი იყო ალბანური „ტეუტა"...

- უეფას თასის 1/16-ფინალური მატჩი იყო. სტუმრად ვთამაშობდით და 2:0 მოვიგეთ. ძალიან მინდოდა, საპასუხო შეხვედრაში გამეტანა. მინდოდა და მოვახერხე კიდეც, უკანასკნელ წამებზე. ეს იყო მეორე გოლი, რომელსაც შემდეგ ეტაპზე გასასვლელად არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ, ჩემთვის იყოს საჭირო...

- როგორ კლასიფიკაციას გაუკეთებდი შენს გოლებს?

- ცხადია, ათენურ ფინალში „ლივერპულისთვის" გატანილი ორი გოლიდან ერთი ვერცხლისაა, მეორე კი ოქროსი. ხოლო ბრინჯაოს მედალს მივანიჭებდი გოლს, რომელიც „სევილიას" სუპერთასზე გავუტანე. ეს ის გოლებია, რომელმაც ჩემს „მილანს" ორი ტიტული მოუტანა...

- რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი?

- ასეთი ერთბაშად ოთხია: დუბლები „ლიბერეცთან" და „ცრვენა ზვეზდასთან" მატჩებში.

- მაგრამ შენ იხსენებ მხოლოდ იმ გოლებს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გაიტანე. ნუთუ ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?

- ჰო, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ სწორედ ამ გოლებმა დაუდო სათავე „მილანის" ტრიუმფალურ სვლას ჯერ ფინალამდე და მერე საბოლოო გამარჯვებამდეც.

- და მაინც, რომელი გოლი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი?

- ტკბილად მაგონდება ჰეთ-თრიკი „დეპორტივოსთან" გასვლით მატჩში, რომელშიც „მილანმა" 4:0 მოიგო. სხვათა შორის, ამ ჰეთ-თრიკით გავუსწარი სანდრო ალტობელის, რომელიც 39 გოლით იმ მომენტისთვის ყველაზე შედეგიანი იტალიელი იყო ევროტურნირებზე.

- ყველაზე დაუჯერებელი გოლი?

- ოთხი თუ ხუთი წლის წინ, ამსტერდამში „აიაქსს" 3:2 მოვუგეთ. მაშინ, ბოლო გოლი, ტომასონმა რომ წაკრა ფეხი, მას ჩაუთვალეს და ასეც უნდა იყო, მაგრამ კარგად გაიხსენეთ, ჩემი დარტყმის შემდეგ ბურთი მაინც გადიოდა კარში. ტიფოზები დღესაც მადლობას მიხდიან იმ გოლისთვის.

- რომელი იყო ის გოლი, ნებისმიერ ფასად რომ გინდოდა გატანა?

- წელან „დეპორტივოსთან" ჰეთ-თრიკი გავიხსენე და, ძალიან მინდოდა მეოთხე გოლის გატანაც, რადგან „პოკერით" ბევრი ფორვარდი ვერ დაიტრაბახებს... ახლოსაც ვიყავი მიზანთან, მაგრამ ბურთი ხარიხას მოვარტყი...

- და ყველაზე ლამაზი?

- სტუმრად, „ბაიერნთან". ჩვენ მაშინ 2:1 მოვიგეთ. ორივე ბურთი მე გავიტანე. მეორე გოლი მართლაც ბრწყინვალე იყო: სერჟინიომ მარცხენა ფლანგიდან ჩაანოდა და თავით ეფექტურად შევაგდე.

- რით ახსნი ამგვარ პარადოქსს: სერია A-ს ბომბარდირი მხოლოდ ერთხელ, 1996/97 წლების სეზონში გახდი, როცა „ატალანტაში" თამაშობდი. სხვათა შორის, ეს ერთადერთი სეზონი იყო, როცა ევროტურნირებში არ მონაწილეობდი...

- მართალი ხართ, უცნაური ამბავია. თუმცა ყოველთვის ვცდილობ, დავიჭირო ჩემი თამაში და თავი არ დავზოგო, ბოლომდე ვიბრძოლო...

- ოთხიდან სამი ჰეთ-თრიკი და ათიდან ხუთი დუბლი გასვლით შეხვედრებში გაიფორმე. ევროპაში მოგზაურობა სხვა აღმფრენაა?

- შესაძლოა, ეს მეტოქის ტაქტიკიდან გამომდინარე ხდება. საშინაო შეხვედრებში მონინააღმდეგე ნაკლებად ხსნის თამაშს, მეტია წნეხი და ასე შემდეგ...

- ვინ იყო შენი კუმირი?

- ...იყო და დღესაც რჩება პაოლო როსი. ყოველთვის მინდოდა, მისთვის მიმებაძა. ჩვენ ბევრ კომპონენტში ვგავართ კიდეც ერთმანეთს.

- გასულ შაბათს „იუვენტუსის" კარშიც შეგეძლო გატანა და არც ეს იქნებოდა უმნიშვნელო გოლი...

- იმ მატჩში მხოლოდ ორჯერ მქონდა შანსი, რომ კარში უპრობლემოდ დამერტა. პირველ შემთხვევაში მეტოქე ბუფონა იხსნა. ის განუმეორებელია, პოზიციის საოცარი გრძნობა აქვს... მეორე დარტყმაც ამიღო... მაგრამ მანამდე, ლაინსმენმა საეჭვო თამაშგარე დააფიქსირა.

- ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდი ვერა და ვერ იგებს სერია A-ს საშინაო მატჩებს. ხომ არ შიშობ, რომ ამ ჩემპიონატში „მილანი" ჩაფლავდება?

- სამწუხაროდ, „სან სიროზე" არ გვიმართლებს. მაგრამ ჯერ კიდევ გვაქვს დროს საიმისოდ, რათა ყველაფერი გამოვასწოროთ. არ გახსოვთ, რამხელა ჰანდიკაპი შევამცირეთ შარშანდელ სეზონში? თან იმ პირობებში, როცა ქულები დაგვაკლეს...

- ალბათ, მეოთხე ადგილით მოგინევთ დაკმაყოფილება. ეს ხომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გარანტიაა?

- ეს ჩვენი პროგრამა-მინიმუმია. იანვრიდან, სერიოზულად შევუდგებით ქულათა სხვაობის ლიკვიდაციას. დარწმუნებული ვარ, ამ ამოცანას იოლად გავუმკლავდებით.

- ვნახავთ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში იმ „მილანს", რომელიც დამაჯერებლად თამაშობს ჩემპიონთა ლიგაში?

- ახლა, მთლიანად ამ ტურნირზე ვართ კონცენტრირებულნი. ძალიან გვინდა, საკონტინენტთაშორისო თასი „მილანის" ოფისში, ტურატის ქუჩაზე მივიტანოთ.

- რას ნიშნავს შენთვის გერდ მიულერის რეკორდის დამხობა?

- რეკორდი კარგი იქნება, მაგრამ მთავარი გუნდური წარმატებაა. ისე, რაც შეეხება ევროთასებზე გატანილი გოლების თვლას, გეტყვით, რომ „მილანი" მონაწილეობს მრავალ ტურნირში, რომელსაც უეფა არ სცნობს. ასე რომ, ესეც გაითვალისწინეთ.

- როგორ გგონია, ვინ შეიძლება იყოს „ახალი ინძაგი"?

- „მილანის" საკუთრებაში რამდენიმე საინტერესო ფეხბურთელია, მაგალითად, მატრი და პოცო, რომლებიც ახლა სხვა კლუბებში თამაშობენ. ალბათ, აკვირდებით პაცინისა და აკვაფრესკასაც, რომლებიც ამ სეზონში უკვე გამოიჩინეს თავი. როგორი საქმე იყო „ფიორენტინაში" ტონის, ხოლო „კალიარიში" სუასოს შეცვლა? მოკლედ, საინტერესო ახალგაზრდები მოდიან და ისინი ნამდვილად იმსახურებენ ყურადღებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდრიგო ტადეი

ИТАЛИИС ЕАКРЕБИ

უნდა თუ არა ბადეის...

ბრაზილიელი სკუადრა აძურაში?

ИТАЛИУРИ პრესა ვარაუდობს, რომ „რომას“ ბრაზილიელი გარემარბი **როდრიგო ტადეი** ევრო 2008-ზე „სკუადრა აძურის“ მაისურას მოირგებს. ტადეი 27 წლისაა. ის სან პაულოშია დაბადებული, მაგრამ იტალიის პასპორტსაც ფლობს. ბრაზილიის ეროვნულ გუნდში ის არასოდეს გამოუძახიათ, ამიტომ, სრული უფლება აქვს, **რობერტო დონადონის** ზარს დასტური უთხრას. თუმცა ისიც ცნობილია, რომ ტადეის ჯერ არ დაუკარგავს „სელესაოში“ მოხვედრის იმედი. ის **კარლოს დუნგას** აზრსაც მოისმენს და არჩევანს მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთებს. ამ თემაზე პრესას განმარტება მისცა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სანაკრებო საქმეთა კურატორმა **ჯიჯი რივამ**:

„ჩვენი დაკვირვების ქვეშ არიან იტალიელი ფეხბურთელები და საერთოდ, ყველა ის მოთამაშე, რომელიც ჩვენს ჩემპიონატში ასპარეზობს. დღეს არ შეიძლება იმაზე მარჩიელობა, თუ რომელ ფეხბურთელებს ვიხილავთ ევრო 2008-ის განაცხადში. მაგრამ თუ ტადეი გადაწყვეტს, არაფერს გამოვრიცხავ“ - აცხადებს ლეგენდარული ფეხბურთელი.

შალკეს ლაზარეთი ცარიელდება

„შალკეს“ მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** სულ მალე შვებით ამოისუნთქებს – გელზენკირხენულ კლუბს ტრავმირებული ფეხბურთელები ნელ-ნელა ლაზარეთიდან უბრუნდებიან. ასე, მაგალითად უკვე გამოჯანმრთელდა მარცხენა მცველი **კრისტიან პანდერი**, რომელიც "შალკეს" ერთ-ერთი ლიდერია. დიდი შანსია, რომ პანდერმა ბუნდესლიგის მომდევნო ტურში (აინტრახტთან) ითამაშოს. მის გარდა, სრული დატვირთვით ვარჯიში **ლევან კობიაშვილმა** (გუშინდელ ნომერში ვნერდით) და **სიორენ ლარსენმაც** განაახლეს. „კიკერის“ ცნობით, კობი სლომკას განკარგულებაში პირველი წრის ბოლო მატჩისთვის იქნება (15 დეკემბერს, „ნიურნბერგთან“).

კარლსრუე: მილერმა ვარჯიში განაახლა

მას მერე, რაც „კარლსრუეს“ მეკარე **მარკუს მილერმა** ჯვარედინი მყესები გაინყვიტა, 40 დღე გავიდა. ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ 25 წლის მეკარეს გამოჯანმრთელება მოესწრო – არადა, ექიმები ამბობდნენ, იანვრის ბოლომდე ვერ ითამაშებსო. მილერი გუშინ გუნდს შეუერთდა და სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა. დიდი შანსია, რომ ბუნდესლიგის მომდევნო ტურში **ალექსანდრე იაშვილის** გუნდის კარი ისევ მან დაიცვას. ასეთ შემთხვევაში, **ჟან-ფრანსუა კორნეტაცი** ისევ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს.

ГЕРМАНИИС ЕАКРЕБИ

ბოლოს ენკე გაიცინებს?

რომელი ფეხბურთელები დაიცავენ ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ლირსებას?

გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე იენს ლემანი ლონდონის „არსენალში“ სათადარიგოთა სკამსაა მიჯაჭვული. ბუნდესგუნდის კარის მეორე დარაჯი ტიმო ჰილდებრანდი კი, სკამს „ვალენსიაში“ ხეხავს. ორივე მათგანს სათამაშო პრაქტიკა აკლია, რაც გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იოახიმ ლიოვის შეშფოთებას ინვევს. ცხადია, იოგი ევროპის ჩემპიონატზე ვერ ათამაშებს მეკარეს, რომელმაც მთელი სეზონი სკამზე გაატარა. ევრო 2008-ის დაწყებამდე 184 დღეა დარჩენილი, ლემანისა და ჰილდებრანდის მდგომარეობა კი უკეთესობისკენ არ იცვლება. შესაბამისად, ეს ყველაფერი ლიოვს დიდ თავსატეხს უქმნის.

იოახიმ ლიოვი რობერტ ენკეზე სერიოზულად ფიქრობს

„თუკი ლემანი და ჰილდებრანდი ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ დაიმკვიდრებენ და სათამაშო პრაქტიკა არ ექნებათ, ცხადია, სერიოზულად მოგვიწევს იმაზე დაფიქრება, რომ ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე სხვა უნდა იყოს,“ – აცხადებს ლიოვი.

რა პერსპექტივა აქვს ლემანს „არსენალში“? ფაქტობრივად არანაირი, რადგან დიდად საეჭვოა, რომ **არსენ ვენგერი** მისკენ შემობრუნდეს. ამას წინათ ლემანმა თქვა, მეორე ბუნდესლიგაშიც კი სიამოვნებით ვითამაშებდიო, მაგრამ მას პირველი ბუნდესლიგის ვარიანტიც გამოუჩნდა. „ვოლფსბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** თქვა, არ გამოვრიცხავ, რომ ლემანს დავუკავშირდეო. თანაც, „დესპოტ ფელიქსს“ გუნდის შეფის, „ფოლკსვაგენის“ პრეზიდენტ **მარტინ ვინტერკორნის** თანხმობაც მიღებული აქვს. ამ უკანასკნელმა თქვა, ლემანი კარგი ვარიანტიაო. როგორც იცით, „ვოლფსბურგის“ მეკარე **სიმონ იენტცში** კრიზისშია (ამას წინათ ვწერდით). თუკი ლემანი „ვოლფსბურგში“ გადავა, ლიოვს ყოველგვარი პრობლემა მოეხსენება და ბუნდესგუნდის კარს ევრო 2008-ზე სწორედ იენსი დაიცავს.

რაც შეეხება ჰილდებრანდს: ლიოვი იმედოვნებდა, რომ ტიმო **რონალდ კუმანის** ხელში გუნდის პირველი გოლკიპერი გახდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა – კუმანი კვლავინდებურად 37 წლის **სანტიაგო კანისარესს** ენდობა. *„სიმართლე გითხრათ, გაკვირვებული და იმედგაცრუებული ვარ, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ კუმანი ჰილდებრანდს ათამაშებდა. ვფიქრობ, ტიმო დღესდღეობით კანისარესზე უკეთესი მეკარეა,“* – აცხადებს ბუნდესმწვრთნელი. მისივე თქმით, იანვარში ის და მისი ასისტენტი **ფლიკი** იანვარში ლემანს და ჰილდებრანდს ადგილზე მოინახულებენ და მათ მწვრთნელებს გაესაუბრებიან.

ერთი სიტყვით, დიდი შანსია, რომ ბედმა საბოლოოდ „ჰანოვერის“ კარის დარაჯ **რობერტ ენკეს** გაუღიმოს, რომელიც დღესდღეობით ბუნდესნაკრების მესამე მეკარეა. *„ენკემ პირველი წრე სტაბილურად ჩაატარა, საკმაოდ კარგ ფორმაშია და ცხადია, ის ლემანსა და ჰილდებრანდის პირველი ალტერნატივაა,“* – ეს გერმანიის ნაკრების მეკარეების მწვრთნელის, **ანდრეას კიოპკეს** სიტყვებია. არის თუ არა ენკეს თამაში ევროპის ჩემპიონატზე გარკვეული რისკი? „ჰანოვერის“ სპორტული დირექტორის, **კრისტიან ჰოხშტეტერის** თქმით, დღესდღეობით ბუნდესგუნდის კარის დაცვას ყველაზე მეტად სწორედ ენკე იმსახურებს...

ᲛᲝᲓᲘᲗ, სხვა პოზიციებსაც გადავხედოთ. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ გერმანიის ნაკრებში ევრო 2008-ზე გასამგზავრებელი ადგილების დიდი ნაწილი უკვე დაკავებულია. თუკი წამყვანი მოთამაშეები ზაფხულამდე ჯანმრთელად იქნებიან, ლიოვს მხოლოდ რამდენიმე მოთამაშეზე მოუწევს დაფიქრება. მართალია, იოგი ჯერ კიდევ ამბობს, რომ კონკურენცია უდიდესია და რომ ევროპის ჩემპიონატის 23 კაციან განაცხადში მოხვედრა ბევრს არა აქვს განაღდებული, მაგრამ ფაქტია, რომ გერმანიის ნაკრების ძირითადი ბირთვი უკვე სახეზეა.

„რამდენიმე პოზიციაზე ჯერ კიდევ არაფერი არაა გარკვეული და კანდიდატებს შორის უდიდესი კონკურენცია იქნება,“ – ამბობს ლიოვი, მაგრამ ფაქტია, რომ მაგალითად ლუკას პოდოლსკი ევროპის ჩემპიონატს მიღმა მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ ტრავმას მიიღებს – მიუხედავად იმისა, რომ პოლდი „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება ხოლმე. ბუნდესმწვრთნელს საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს – მას დაახლოებით 40 კანდიდატი ჰყავს. *„მიმაჩნია, რომ ეს ძალიან კარგია. როცა მწვრთნელს 30-ზე მეტ მოთამაშეს შორის უწევს არჩევა, ეს მხოლოდ და მხოლოდ დადებითი მომენტია,“* – ამბობს ბუნდესგუნდის მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი**.

„ჩვენ ძალიან ბევრი ახალგაზრდა და პერსპექტიული ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ ძირითადი ბირთვი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატ ზეც გვასახელა, არ შეიცვლება,“ – ეს ლიოვის სიტყვებია. ამრიგად, მუნდიალის მონაწილეებს გარკვეული უპირატესობა აქვთ, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი.

ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ სამი ადგილია თავისუფალი: მარჯვენა მცველის, მარცხენა ნახევარმცველისა და ერთი თავდამსხმელის. დაცვაში **კრისტოფ მეტცელდერს, პერ მერტეზაკერს** და **ფილიპ ლამს** ადგილები განაღდებული აქვთ, ნახევარდაცვაში **ტორსტენ ფრინგსს, მიხაელ ბალაკს** და **ბერნდ შნაიდერის**, თავდასხმაში კი, პირველი არჩევანი **მირო კლოზეა**.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ლიოვი ევროპის ჩემპიონატზე სამ მეკარესთან ერთად ფლანგის 4 მცველს, 3 ცენტრალურ მცველს (**არნე ფრიდრიხს**, რომელიც ფლანგის მცველებში მოვიაზრეთ, ცენტრშიც შეუძლია თამაში), 8 ნახევარმცველს და 5 თავდამსხმელს წაიყვანს. 14 მოთამაშეს ავსტრია/შვეიცარიის საგზური განაღდებული აქვს (იხილეთ ჩამონათვალი) და მათთან ერთად 5 ფეხბურთელს მცირე კითხვის ნიშნები აქვთ – ესენი არიან **მანუელ ფრიდრიხი, მარსელ იანსენი, კლემენს ფრიტცი, მარიო გომესი** და პოდოლსკი. თუმცა შანსი იმისა, რომ ლიოვმა ეს ხუთეული სახლში დატოვოს, ძალიან მცირეა. ამის ფონზე ნახევარდაცვაში მხოლოდ 3, თავდასხმაში კი ერთი ადგილი რჩება.

ბალაკი და ფრინგსი ამ სეზონში ტრავმებმა გატანჯეს და იმ შემთხვევაში, თუ ეს ფეხბურთელები ევრო 2008-მდე სრულად გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებენ, იოგის მათი შემცვლელების ძებნა მოუწევს. ლიოვი: *„ცხადია, ძალიან მიხარია ის, რომ ბალაკი ბრუნდება, მაგრამ ისიც ფაქტია, ფეხბურთელი, რომელსაც 8 თვიანი პაუზა ჰქონდა, ფორმის აღდგენას დიდ დროს მოანდომებს.“*

უკვე ცნობილია, რომ იოგი 23 კაციან სიას 17 მაისს, ბუნდესლიგის ბოლო ტურის შემდეგ გამოაცხადებს. მანამდე ბუნდესგუნდს პროგრამაში ორი ამხანაგური თამაში აქვს მასპინძლებთან: 6 თებერვალს ვენაში ავსტრიასთან, 26 მარტს კი შვეიცარიის წინააღმდეგ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ, რომლებსაც ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა განაღდებული აქვთ (14): **იენს ლემანი, ტიმო ჰილდებრანდი, რობერტ ენკე, არნე ფრიდრიხი, პერ მერტეზაკერი, კრისტოფ მეტცელდერი, ფილიპ ლამი, მიხაელ ბალაკი, ტორსტენ ფრინგსი, ბერნდ შნაიდერი, ბასტიან შვაინშტაიგერი, თომას ჰიტცლშპერგერი, მიროსლავ კლოზე, კევინ კურანი.**

კარგი შანსი აქვთ (5): **მანუელ ფრიდრიხი, მარსელ იანსენი, კლემენს ფრიტცი, მარიო გომესი, ლუკას პოდოლსკი.**

კანდიდატები (10): **გონსალო კასტრო, კრისტიან პანდერი, ტიმ ბოროვსკი, რობერტო ჰილბერტი, სიმონ როლფესი, პიოტრ ტროხოვსკი, ოლივერ ნოვილი, მაიკ ჰანკე, პატრიკ ჰელმესი, შტეფან კისლინგი.**

შეუძლიათ იოცნებონ (9): **მანუელ ნოიერი, სერდარ ტასკი, ალექსანდერ მადლუნგი, სამი ხედირა, სებასტიან კელი, ჯერმეინ ჯონსი, ჯერალდ ასამოა, დავიდ ოდონკორი, იან შლაუდრაფი.**

გოტფრიდ ლენცი

დაარტყა თუ არა ამანატიდისმა მერიმას?

ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘᲡ „აინტრახტისა“ და საბერძნეთის ნაკრების თავდამსხმელი **იოანის ამანატიდისი** სკანდალში გაეხვა. ფრანკფურტის პოლიციაში 26 წლის ფორვარდზე საჩივარია შეტანილი და მეტიც, ამანატიდისს უკვე ბრალდებულის სტატუსი აქვს. ბერძენს მაკედონიელი ქალი, 33 წლის **მერიმა კ.** უჩივის, რომელიც ამტკიცებს, რომ „აინტრახტის“ ფეხბურთელმა მას და მის მამას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. შემთხვევა ფრანკფურტის ცენტრში, გუშინწინ ნაშუადღევს მოხდა.

მერიმას ქუჩის განაპირას პარკინგზე შესვლა უნდოდა, მაგრამ რაკი ავტომობილის გასაჩერებელი ადგილი არ იყო, ძალიან ნელა მოძრაობდა და ხშირად ჩერდებოდა. ისე მოხდა, რომ მისი მანქანის უკან საცობი შეიქმნა – მერიმამ მოძრაობა შეაფერხა. მის უკან კი სწორედ ამანატიდისის მანქანა იდგა, რომელიც ქალის დაბნეულობამ აღაშფოთა და წყობიდან გამოიყვანა. მერიმა ამბობს, ჯიპის მძღოლს ვანიშნე, ცოტა ხანს მოეთმინა, მაგრამ გინებით ამიკლოო. ამის შემდეგ კი, ბერძენი ფეხბურთელი მანქანიდან გადმოვიდა და მერიმას უკვე „ახლო მანძილიდან“ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

„ყვიროდა და ცემით მემუქრებოდა, თან უშვერი სიტყვებით მლანძღავდა. გვერდით მამა მეჯდა, რომელიც ამ ფაქტმა აღაშფოთა. მამაჩემი მანქანიდან გადმოვიდა და მისი დამშვიდება სცადა, მაგრამ ამანატიდისმა მას ხელი ჰკრა. მე მათ შორის ჩავდექი და ამ დროს ამანატიდისმა მარცხენა ლოყაში მთელი ძალით სილა გამარტყა. უცებ თვალთ დამიბნელდა და ძალიან ცუდად გავხდი,“ – იხსენებს დაზარალებული.

მერიმამ მაშინვე პოლიციას გამოუძახა, თუმცა როცა სამართალდამცავები მოვიდნენ, ამანატიდისი იქ უკვე აღარ იყო. შესაბამისად, დაზარალებულმა მოგვიანებით პოლიციაში საჩივარი შეიტანა. ფრანკფურტის პოლიციაში ამ ფაქტს ადასტურებენ: *„დიახ, ამანატიდისზე საჩივარია. ის ბრალდებულია და მალე სასამართლოში მოსვლა მოუწევს. მან უკვე წარმოადგინა მოწმე, ეს არის მანდილოსანი ბერძნული გვარით, საკარაუდოდ მისი საცოლე, რომელიც მანქანაში მასთან ერთად იჯდა.“* მოწმე მართლაც იოანისის საცოლეა: ბერძენი მომღერალი **მარო ლიტრა**.

და რას ამბობს თვითონ ფეხბურთელი? *„ის ქალი ძალიან ნერვიული იყო, ნერვიული და დაბნეული. ქუჩაში ისტერიკა მოაწყო და ნამდვილი კონცერტი გამართა, არადა, რაც მოხდა, მისი ბრალი იყო. ხედავდა, რომ პარკინგზე ადგილი არ იყო და მაინც გაჩერდა, რის გამოც მოძრაობა შეაფერხცა. რამდენიმე უშვერი სიტყვა ვუთხარი, მაგრამ ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. ადვოკატი უკვე ავიყვანე,“* – აცხადებს „აინტრახტის“ თავდამსხმელი.

სამედიცინო შემოწმებამ ცხადყო, რომ მერიმას მართლაც დაარტყეს. დაზარალებული ამბობს: *„ჩემთვის გაუგებარი და დაუშვებელია ის, რომ მამაკაცმა ჯერ მოხუც კაცს დაარტყას და მერე ქალს. ეს შემთხვევა არასდროს დამავიწყდება და ამ ფეხბურთელს, რა თქმა უნდა, არაფერს ვაპატიებ!“*

მტყუან-მართალს სასამართლო გაარკვევს...

გოტფრიდ ლენცი

СКАНДАЛИ

ამანატიდისი მოძალადე?

დაარტყა თუ არა აინტრახტის გოლეადორმა ქალს და მოხუც კაცს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

ჰიონესის რევოლუცია გაგრძელდება

სანიოლის და ისმაელის წასვლა თითქმის გადაწყვეტილია. როგორც ამბობენ, წამსვლელთა სიაში შლაუდრაფი, ვან ბუიტენი, შვაინშტაიგერი და პოდოლსკიც მოხვდებიან

ული ჰიონესი თავის სტიქიაში

ზაფხულში, როცა „ბაიერნმა“ **ლუკა ტონი, ფრანკ რიბერი** და **მიროსლავ კლოზე** იყიდა, მიუნხენური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** თქვა, შემოდგომის მიწურულს ჩვენს მდევრებს სატურნირო ცხრილში „ბაიერნის“ დასანახად დურბინდი დასჭირდებათო. შემოდგომა უკვე გავიდა და როგორც ხედავთ, მეორე ადგილზე მყოფ „ვერდერს“ „ბაიერნის“ დანახვა არ უჭირს, რადგან ბრემენელები რეკორდმაისტერს სულ რაღაც 1 ქულით ჩამორჩებიან. შესაბამისად, ჰიონესის წინასწარმეტყველება არ გამართლდა და არცაა გასაკვირი, ენაჭარტალა ული ზაფხულში დაწყებული რევოლუციის გაგრძელებას რომ აპირებს.

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ „ბაიერნის“ შეფები ახალი გუნდის მშენებლობას ზამთარშივე გააგრძელებენ და მომავალ ზაფხულს კიდევ რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელს შეიძენენ. ფაქტი ის გახლავთ, რომ ჰიონესს წარმატებები სურს – წარმატებები ყველაფრის ფასად და მზადაა, ფულის ხარჯვა განაგრძოს. მოკლედ, „ბაიერნის“ სტრატეგია ცნობილია.

„ჩვენ მზად ვართ, კარგ ფეხბურთელებში დიდი თანხები გადავიხადოთ, ოღონდ მხოლოდ კარგ მოთამაშეებში და არა ისეთებში, რომლებიც იმედებს ვერ ამართლებენ ხოლმე,“ – აცხადებს რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და დიდი მარჩიელობა არ სჭირდება იმას, თუ ვის გულისხმობს ისეთ ფეხბურთელებში, „რომლებიც იმედებს ვერ ამართლებენ“. ფაქტია, რომ გერმანიის ნაკრების რამდენიმე წევრს ნერვიულობა მოუწევს.

უკანასკნელი ინფორმაციით, „ბაიერნი“ ტუნისელი გამთამაშებლით, **იასინ ჩიგაავით** (იწერება Chikhaoui, გამოითქმის ჩიგაავი) დაინტერესდა. ეს უკანასკნელი 21 წლისაა, „ციურიხის“ ღირსებას იცავს და უდიდეს ტალანტად მიიჩნევა. „ბილდის“ ცნობით, ბავარიელები ამ ფეხბურთელის გადაბირებას მაქსიმალურად ცდილობენ და ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ ბრძოლას მოიგებენ. და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ **ბასტიან შვაინშტაიგერის, იან შლაუდრაფისა** და **ლუკას პოდოლსკის** მდგომარეობა აშკარად დამძიმდება. ხსენებული ტრიო გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებს – ეს განსაკუთრებით პოდოლსკიზე და შლაუდრაფზე ითქმის, თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სახელდობრ შლაუდრაფს თავის გამოჩენის შანსი ფაქტობრივად არ მისცემია. ჩიგაავის ფასი 10 მილიონი ევროა, ის ტექნიკური და სწრაფი შემტევი ნახევარმცველია, რომელიც ჩინებულად ხმარობს ორივე ფეხს. შესაბამისად, შეუძლია როგორც ცენტრში, ასევე ფლანგებზე თამაშიც, რის გამოც უნივერსალი ფეხბურთელის სახელი აქვს. მისი ტრანსფერი პოდოლსკისთვის ორმაგი დარტყმა იქნება, რადგან ლუკასი, როგორც თავდამსხმელი, ტონისა და კლოზეს კომპანიაში ისედაც თითთქმის უშანსოდაა და რაკი გერმანიის ნაკრებში მარცხენა ნახევარმცველად გამოსცადეს და ამ პოზიციაზე გაამართლა, შეიძლებოდა, რომ „ბაიერნშიც“ ამ ახალ პოზიციაზე დაემკვიდრებინა ადგილი.

ბავარიელები გაძლიერებას დაცვაშიც ფიქრობენ, რადგან FCB-ს ყველაზე მეტად სწორედ უკანა ხაზში უჭირს. „ბაიერნმა“ უკვე იპოვა 18 წლის ბრაზილიელი მცველი **ბრენო**, რომელიც „სან პაულოს“ საკუთრებაა და რომელიც ბრაზილიაში უდიდეს ტალანტად მიიჩნევა. ფეხბურთელის მამამ უკვე თქვა, ჩემი შვილის მომავალი გაჩერევება მიუნხენიაო. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და „სან პაულოს“ პრეზიდენტ **ჟუვენალ ჟუვენსიოს** თქმით, თუ რეკორდმაისტერს ბრენოს ყიდვა სურს, 15 მილიონი უნდა გადაიხადოს. ასე რომ, ურთიერთობა მხოლოდ კლუბებს შორისღაა გასარკვევი, თორემ ფეხბურთელს ბავარიელები უკვე მოურიგდნენ.

ბრენოს ტრანსფერი იმის მაუწყებელი იქნება, რომ **დანიელ ვან ბუიტენს** სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდება. მართალია, 29 წლის აყლაყუდა მცველმა ბოლო დროს კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ბრენოს ყიდვის შემთხვევაში ცხადი გახდება, რომ ვან ბუიტენი უნდა წავიდეს. როგორც იცით, **ვილი სანიოლისა** და **ვალერიან ისმაელის** წასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია. ვილიმ „ბაიერნის“ დატოვება თვითონ მოისურვა. ვალერიანმა კი, გუშინ „ჰანოვერში“ სამედიცინო შემოწმება გაიარა და ახლა კლუბები სატრანსფერო თანხაზე უნდა შეთანხმდნენ.

გოტფრიდ ლენცი



მიშელ პლატინის ალბანურ სკანდალზე კომენტარი არ გაუკეთებია, ის ჯერ სხვა მატჩების ამბავს იძიებს...

სკანდალი

ალბანეთის თამაშების გაყიდვა დაგვიანდა

უეფა დუმს და სხვა მატჩების გარშემო ინტერპოლის გამოძიების დასრულებას ელოდება. ლივერპული და ბეშიქთაში არაფერ შუაში არიანო...

ალბანეთში უპრეცედენტო მასშტაბის სკანდალი აგორდა. ქვეყნის ხელისუფლებამ ფეხბურთის ფედერაცია ღიად დაადანაშაულა შესარჩევი მატჩების გაყიდვაში და უეფას გამოძიების ჩატარება სთხოვა. საუბარია ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო ტურნირის ბოლო ორ შეხვედრაზე. ალბანელებმა ჯერ ბელორუსთან წააგეს 2:4, შემდეგ კი რუმინეთთან განადგურდნენ - 1:6. ქვეყნის კულტურისა და სპორტის მინისტრმა **ილი პანგომ** უეფას აუწყა, რომ არსებობს საფუძვლიანი ეჭვები, თითქოს ფედერაციამ ორივე თამაში გაყიდა.

ალბანეთის პრემიერ-მინისტრმა **სალი ბერიშამ** ფედერაციის სათავეში მყოფ პირებს მაფიოზები უწოდა. მისი სიტყვებით, ალბანური ფეხბურთის სადავეები ორგანიზებულ კრიმინალურ დაჯგუფებას უპყრია ხელთ. ისინი ეროვნულ გუნდს საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ, შეურაცხყოფენ ქვეყანას, მის დროშას და გულშემატკივრებს. ბერიშამ განცხადებას ნაკრების ფეხბურთელები გამოეხმაურნენ. ბრალდება თამაშების გაყიდვასთან დაკავშირებით მათ პატიოსნებასაც ჩრდილს აყენება. მათ ხელისუფალს კორექტულობისაკენ მოუწოდეს. ზოგიერთი მოთამაშე პრემიერს სასამართლოში ჩივილითაც კი დაემუქრა, თუ ის ბრალდებების დამადასტურებელ საბუთებს არ წარმოადგენს, ან საჯაროდ ბოდიშს არ მოიხდის. აწდასრულებულ კამპანიაში ალბანელთა გუნდს ხორვატი სპეციალისტი **ოტო ბარიჩი** ავარჯიშებდა. მან პოსტი რუმინეთთან წაგების შემდეგ დატოვა. ალბანელი მიმომხილველების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ კონფლიქტს ფედერაციასა და მთავრობას შორის პოლიტიკური მოტივი უდევს საფუძვლად. ფედერაციის პრეზიდენტი ოპოზიციონელი პოლიტიკური მოღვაწის ძმაა. უეფას დაადასტურა, რომ ალბანეთის სპორტის მინისტრის წერილი მიიღო, თუმცა მასზე კომენტარების გაკეთება არ ისურვა.

განვაგრძოთ ჩაწყობილი მატჩების თემა. სანამ ალბანეთში ერთი ამბავი ატყდებოდა, უეფამ სხვა ფრონტზე დაიწყო მასშტაბური გამოძიება. მან ეჭვი მიიტანა ალმოსავლეთ ევროპაში გამართულ რამდენიმე შეხვედრაზე და საკუთარი მონაცემები ინტერპოლს გადაუგზავნა. ეჭვის საბაბი გახდა სხვადასხვა ტოტალიზატორებში ამ თამაშებზე დადებული საეჭვოდ დიდი თანხები. უეფას 15 მატჩის დეტალები აინტერესებს. ინგლისელი მიმომხილველები წერენ, რომ 15-დან სამ თამაშზე დადებული ფსონებით უცნობმა პირებმა 4.5 მილიონი გირვანქა მოიხვეჭეს. გთავაზობთ ინგლისელი მიმომხილველების მიერ საკუთარი არხებით მოპოვებულ ცნობებს. მაშასე, ვინაა გარეული სკანდალში. უეფა ინფორმაციის გავრცელებისაგან თავს იკავებს. ასე რომ მასალები, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით, არაოფიციალურია.

ერთი საეჭვო მატჩი ამ ზაფხულს ინტერტოტოს თასზე გაიმართა. ესტონური ტვმკ ფინურ „ჰონკას“ შეხვდა. ტვმკ-ს უპირობო ფავორიტად მიიჩნევდნენ, მაგრამ ის დამარცხდა. მათ, ვინც ესტონელთა მარცხი გამოიცნო, 2.4 მილიონი გირვანქა გაინაწილეს.

ინგლისელი მიმომხილველების მტკიცებით, საეჭვოა კიდევ ერთი ესტონური კლუბის მატჩის შედეგი. უეფას თასზე „ტრანსი“ შვედურ „ჰელსინგბორგს“ შეხვდა. ტოტალიზატორებში განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხას დებდნენ იმაზე, რომ შვედები სამ და მეტ ბურთს გაიტანდნენ. ამ ფსონის მიმართ ინტერესი იმის მიუხედავადაც არ ნელდებოდა, რომ 25-ე წუთისათვის ანგარიში 0:0. საბოლოოდ „ტრანსმა“ 0:6 დათმო.

მიმომხილველთა მტკიცებით, მესამე ეჭვმიტანილი სერბული „ბეჟანიისა“ და ალბანური „ბესის“ შეხვედრა უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე. თამაშში ფავორიტად სერბებს ასახელებდნენ, მაგრამ მატჩის დაწყებამდე 25 წუთით ადრე ერთ-ერთ აზიურ ტოტალიზატორში „ბესის“ ფრეზე ან გამარჯვებაზე ძალიან დიდი თანხა დაიდო. მატჩი 2:2 დასრულდა. ალბანელებმა ანგარიში საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე გაათანაბრეს. ამ შედეგში დარწმუნებულმა მოქალაქეებმა კი 1.5 მილიონი გირვანქა მოიხვეჭეს. უეფა „ინტერპოლის“ გამოძიების დასრულებამდე კომენტარების გაკეთებას არ ჩქარობს. ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანომ განმარტა, რომ საეჭვო მატჩების სიაში არ არის ევროპის ჩემპიონატის არცერთი საკვალიფიკაციო შეხვედრა. უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინმ** საგანგებო განცხადება გააკეთა „ლივერპული“-„ბეშიქთაშის“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაზეც. მისი თქმით, ამ თამაშში საეჭვო არაფერი ყოფილი. უეფა შედეგს უსიტყვოდ აღიარებს. ამ[illegible] ის საკით[illegible] შეგვიძლია დახურულ[illegible] [illegible]ვაცხ[illegible]თ. დანარჩენი მატჩების ბედ[illegible] ხლოეს მომავალში შევიტყობთ.

პინკელი სანიოლის ნაცვლად?

„ბაიერნს“ „სევილიის“ მარჯვენა მცველის, **ანდრეას ჰინკელის** შეძენა უნდა. მიუნხენელები მას **ვილი სანიოლის** შემცვლელად მოიაზრებენ. ჰინკელი „შტუტგარტის“ ყოფილი ფეხბურთელია. ის ესპანეთში მეორე სეზონს ატარებს. ანდრეასზე პრეტენზიას აცხადებს „ვოლფსბურგიც“. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია. აქვე გეტყვით, რომ „ბაიერნის“ ნახევარმცველ **ჰამით ალთინთოფს** მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. 24 წლის თურქ ლეგიონერს ოთხი კვირა გაუცდება. ამ ხნის განმავლობაში ბავარიელები ბუნდესლიგაში „დუისბურგსა“ და „ჰერტას“ შეხვდებიან, უეფას თასის ჯგუფურ ტურნირში კი - ბერძნულ „არისს“ მიმდინარე სეზონში ალთინთოფმა 22-ვე მატჩი შეუცვლელად ჩაატარა. ის მინდორს საშობაო არდადეგების შემდეგ დაუბრუნდება.

მილანური ტრანსფერები

„მილანმა“ „ლიონის“ საყრდენ ნახევარმცველ **ჟერემი ტულალანს** დაადგა თვალი. ამ ბიჭს ახალ ლემპარდს უნოდებენ. ტულალანი 24 წლისაა და საფრანგეთის ჩემპიონთა შემადგენლობაში რეგულარულად თამაშობს. „მილანს“ ლიონიდან კიდევ ერთი ფეხბურთელის შეძენა უნდა. მისი ყურადღება საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელმა **ქარიმ ბენზემამ** მიიპყრო. ლიონი მინიმუმ სეზონის დასრულებამდე წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვას არ აპირებს. მოსალოდნელ გარიგებებთა ფინანსური დეტალები უცნობია.

ჩელსის შვედური სამიზნე

„ჩელსიმ“ 16 წლის შვედი თავდამსხმელი **მარკო მიტროვიჩი** ამოიღო მიზანში. ის „მალმიოში“ თამაშობს. ამავე დროს, შვედეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრია. მიტროვიჩი ტანმაღალი ფეხბურთელია. მას **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ადარებენ. მიტროვიჩსაც ბალკანური ფესვები აქვს. ამ ბიჭის შეძენა სხვა კლუბებსაც სურთ. რიგში დგანან „არსენალი“, „ბლექბერნი“, „ფეიენოორდი“ და „ეინდჰოვენი“. ფეხბურთელის ფასი უცნობია. არც შესაძლო კონტრაქტის სხვა დეტალები გაუხმაურებიათ.

მარფკოიშვილი დრაგონზის წინააღმდეგ

ქართველები ევროთასებზე

ულებზე გაიელვა, დაიქუხებს დრაფტზე?

მანუჩარ მარკოიშვილის „კიევმა“ ულების თასზე მეხუთე მატჩი გამართა და მეოთხე გამარჯვება ჩაიწერა. უკრაინელებმა შინ გერმანული „არტლანდ დრაგონსი“ 87:66 გაანადგურეს.

როგორც წესი კიეველთა წარმატებაში დიდი წილი შეიტანა **მანუჩარ მარკოიშვილმა**, რომელიც მოედანზე ყველაზე ნაყოფიერი იყო. მისი მონაგარი ნათამაშები წუთების რაოდენობასთან რომ შევაფარდოთ, მანუ სხვებზე ორი თავით მაღლა აღმოჩნდება. მან 16 წუთში 12 ქულა და 3 მოხსნა ჩაიწერა. სროლის სიზუსტე ამჯერადაც შესაშური ჰქონდა: 1-დან 1 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო. როგორც ხედავთ, ბოლო მატჩებში მარკოიშვილი შორეული ტყორცნების ნახევარზე მეტს იყენებს. სამქულიანების რეალიზების პროცენტული მაჩვენებლით იგი ულების თასზე მეორე კალათბურთელია. პირველზეა ვენტსპილსელი ჯიმი ბაქსტერი (59.1 პროცენტი), მეორე-მესამე - ზადარელი შამელ სტალვორსი (58.3) და კიეველი მანუ მარკოიშვილი (58.3).

მატჩის შემდეგ გაოცებული იყო „არტლანდის“ თავკაცი **კრისტოფერ ფლემინგი**: *„ასეთი ძლიერი კლუბის წინააღმდეგ ამ სეზონში არ გვითამაშია. კიეველების დაცვა შეუველ კედელს ჰგავდა, რის გამოც ჩვენს შეტევებში პანიკის მარცვალი გაერია და სამართლიანად დავმარცხდით.“*

„კიევის“ დამრიგებელი **ტომო მაჰორიჩი** მომავალზე ალაპარაკდა: *„კმაყოფილი ვარ, რადგან ჩვენს ჯგუფში ყველაზე შეთამაშებული გუნდი გავშალეთ. შეიძლება ვინმემ ბოლო მეოთხედის არასათანადო დონეზე ჩატარების გამო დაგვძრახოს, მაგრამ უკვე მომდევნო ორ მატჩზე ვფიქრობთ. ჯგუფიდან გასასვლელად კიდევ ორ შეხვედრაში გამარჯვება გვჭირდება. თითოეულმა კალათბურთელმა კარგად ითამაშა. შეიძლება მაკედონელი რაიან სტეკი ჩვეულ ფორმაში არ არის, მაგრამ ტრავმა ახალი მოშუშებული აქვს და კონდიციებს ნელ-ნელა იუმჯობესებს“.*

მკითხველს შევახსენებთ, რომ კიეველები მორიგ მატჩს უკრაინის პირველობაზე ჩაატარებენ - 8 დეკემბერს ჩერკასში „მავპის“ დაუპირისპირდებიან, 11 დეკემბერს კი ულების თასზე იტალიურ „ბენეტონს“ უმასპინძლებენ.

V ტური

კიევი (უკრაინა)-არტლანდი (გერმ.) 87:66
ბენეტონი (იტალია)-რიგა (ლატვია) 73:63

H ჯგუფი	თ	მ	ნ	ქ
1. კიევი	5	4	1	9
2. არტლანდი	5	3	2	8
3. აკადემიკი	4	2	2	6
4. რიგა	5	2	3	7
5. ბენეტონი	5	2	3	7
6. პო ორტეზი	4	1	3	5

საბოლოოდ, ამ ეტაპზე, ულებზე ბოლო ადგილზე ბოლონიელ „ბენეტონ“ ტოვებს. ეს ნიშნავს, რომ ულების ბოლო ოთხეულ ეროვნულ ნაკრებებს ერთ-ერთ ადგილზე ბალტიისპირეთის ერთ-ერთ ეროვნული ნაკრებ ერეკვა. ეს ალბათ ბალტიისპირეთის ეროვნული ნაკრებებისთვ

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუნივერსიტეტო სპორტი

ნიკა ამაშუკელი

ამა წლის 20 ივნისს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტს ხელმძღვანელი გამოეცვალა - ადრინდელი პრეზიდენტი - მერაბ მეტრეველი ნიკა ამაშუკელმა შეცვალა. მეტრეველმა პოსტი საკუთარი ნებით, ჯანმრთელობის გაუარესების გამო დატოვა. შედგა ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა და ამაშუკელმაც უახლოეს ყრილობამდე, 2008 წლამდე დაიკავა აღნიშნული თანამდებობა.

ნიკა ამაშუკელი 29 წლის გახლავთ, არც ენერგიულობა აკლია და არც იდეების ნაკლებობა აწუხებს. რამდენიმე დღის წინ მისი ინიციატივით მინი ფეხბურთში შეეჯიბრნენ სტუდენტები და საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა გაიმარჯვა.

ამ მოკლე ხანში, რაც ამაშუკელი ჩაუდგა საუნივერსიტეტო სპორტს სათავეში, ბევრის გაკეთება ვერ მოესწრო, მაგრამ სათქმელი მაინც არის და რაც მთავარია, მომავალი წლის გეგმაა საკმაოდ მიმზიდველი. რა შეეძლო გაეკეთებინა ამაშუკელს და მის გუნდს და რას აპირებს მომავალ წელს, „ლელოს“ მკითხველი მასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.

დავიძრათ მკვდარი ნერტილიდან!

- ბატონო ნიკა, ექვსი თვე დიდი დრო არ არის, რომ ძირეული გარდაქმნები მოგეხდინათ. კმაყოფილი ხართ იმით, რაც შეძელით ამ დროში?

- მოგეხსენებათ, საუნივერსიტეტო სპორტს სახელმწიფო დაფინანსება არ ჰქონდა და შეუძლებელი იყო სერიოზული ღონისძიებების გამართვა. ჩემი მოსვლა, ფაქტობრივად, ცარილ ადგილზე მოხდა და უპირველეს ამოცანად ფინანსების მოზიდვა დავისახე. საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ადამიანები ვინც თანადგომა გამომიხატეს და რეალურადაც დამიდგნენ მხარში. უპირველესად ეს კომპანია „ნატახტარია“, რომლის მეშვეობითაც ზაფხულში მინი ფეხბურთის ტურნირი ჩავატარეთ. ამას მოჰყვა ახლახან დასრულებული ტურნირი მინი ფეხბურთში - ამ შემთხვევაში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის კეთილი ნება იყო ტურნირის ჩატარების წინაპირობა. წლის უმთავრესი შეჯიბრი კი აგვისტოს თვეში ტაილანდში, ქალაქ ბანკოგში გამართული მსოფლიო უნივერსიადა იყო, სადაც ქართველმა სტუდენტებმაც მიიღეს მონაწილეობა. სამწუხაროდ, მხოლოდ სამ სახეობაში გამოვედით, მაგრამ მაღალ შედეგებს მაინც მივაღწიეთ: მხატვრულად ტანმოვარჯიშეებმა, ქეთი ხატიაშვილმა და თათია დონაძემ საქართველოს ნაკრები გუნდურ მეთორმეტე ადგილზე გაიყვანეს. ეს კი 38 გუნდს შორის ნამდვილად არ არის ცუდი შედეგი. მოფარიკაკე ანზორ ალბრეხტმა წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ სამაგიეროდ გაგვახარეს ძიუდოისტებმა: გრიგოლ შინჯიკაშვილმა ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო ადამ ოქრუაშვილმა - ბრინჯაო. აღსანიშნავია, რომ ძიუდოში მსოფლიო უნივერსიადის გამარჯვებული 1984 წლის შემდეგ არ გვყოლია.

ცხადია, ფინანსების ნაკლებობა რომ არა, უფრო მეტს მივაღწევდით, მაგრამ მომავალი წლიდან უკვე ასეთი დაბრკოლება ნაკლებად გვექნება: სპორტის დეპარტამენტი დეკემბრის თვეში ბიუჯეტს დაგვიმტკიცებს, რის შემდეგაც ზუსტად გვეცოდინება რამდენი და რაზე უნდა დავხარჯოთ.

- თუ საიდუმლო არ არის, რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი?

- ჩვენი მოთხოვნა 200-250 ათასი ლარია. იმედი გვაქვს, რომ დეპარტამენტი ჩვენს პროექტს მიიღებს. თუმცა მხოლოდ ამ თანხაზე არ ვიქნებით დამოკიდებული: სპონსორებთან თანამშრომლობა გაგრძელდება და კიდევ უფრო გაფართოვდება - სპონსორული თანხის მოძიება უმნიშვნელოვანესი იქნება, თორემ სხვა შემთხვევაში იმ გეგმებს, რომელიც 2008 წელს გვაქვს შემუშავებული, განხორციელება არ უწერია.

- რა გეგმები გაქვთ შემუშავებული? წლის ღონისძიებათა ნუსხა გაგაჩნიათ?

- რა თქმა უნდა, დაფინანსებას ისე ვერ მოვითხოვდით. კონკრეტულად თუ ვიტყვით, უპირველესი მიზანი სტუდენტური საკალათბურთო ლიგის ჩამოყალიბებაა, რომელშიც თამაშები მთელი წლის განმავლობაში ჩატარდება; ასევე გვსურს გავამრავალფეროვნოთ შეჯიბრებები და სტუდენტები ერთმანეთს სხვადასხვა სახეობაში გაეჯიბრონ: იქნება ეს ფეხბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი თუ სხვა. ერთი სიტყვით, სტუდენტური სპორტული ცხოვრება უნდა ავაღორძინოთ, შევქმნათ ისეთი გარემო, როგორც ადრე, ჩვენი მამების თაობის სტუდენტურ ცხოვრებაში რომ იყო. ამას გარდა, აუცილებელია მონაწილეობა მივიღოთ საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით გამართულ ტურნირებსა თუ ჩემპიონატებში.

- ხომ არ ფიქრობთ უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის განსაკუთრებულ ფორმებზე გადასვლას, სადაც მათი ფინანსური ვალდებულებაც იქნება რიგ შემთხვევაში გათვალისწინებული?

- მსგავსი თანამშრომლობის პრეცედენტი უკვე გვქონდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ტაილანდში ერთი სპორტსმენი, რომელიც თსუ-ს სტუდენტია, დააფინანსა; ასევე აპირებდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც, მაგრამ ის სპორტსმენი ნაკრებში ვერ მოხვდა. ასეთი მზადყოფნა იმედიანად განგვაწყობს და მჯერა, უფრო ინტენსიური და საინტერესო ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდება ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებელთან.

მოკლედ, თანდათანობით ყველა საკითხს მოევლება. მთავარია, ენთუზიაზმი არსებობს, სახელმწიფოსგანაც არის მხარდაჭერა და სტუდენტებიც სულმოუთქმელად ელიან სპორტულ ღონისძიებებს. ჩვენ მათ ამ მხრივ არ მოვაწყენთ - ქართულ საუნივერსიტეტო სპორტს დიდი მომავალი აქვს!

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

მეორედაც დამარცხდა

ჩეხეთის ქალაქ პრეროვში ქართველ ჩოგბურთელთა გარეშე გრძელდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი). ძირითად ბადეში „იღბლიანი დამარცხებულის“ სტატუსით გასულმა **სოფიო შაფათავამ** დიდი ბრძოლა კი გაუმართა მეშვიდე ნომრად განთესილ ჩეხ **ლუსი ჰრადეცკას** (243), მაგრამ მაინც დამარცხდა - 4:6, 6:7. მატჩის ბედი ტაი-ბრეიკში გადაწყდა, რომელიც 22 წლის ჩეხმა 7:2 მოიგო და მერვედფინალშიც ის გავიდა. მომავალ კვირაში ჩეხეთშივე, ვალასკე მეჟირიჩიში ასევე 25-ათასიანი ტურნირი გაიმართება, სადაც კვლავ საკვალიფიკაციო ბადეში ცდიან ბედს სოფიო შაფათავა და **თინათინ ყავლაშვილი**.

ორანჯ ბოულზეც ყოჩაღობს

ნიკოლოზ ბასილაშვილი

15 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილი** შესანიშნავად თამაშობს ამერიკულ კორტებზე, ჩვენმა თანამემამულემ ედი ჰერის საერთაშორისო ტურნირში (16 წლამდელთა შორის) ნახევარფინალში გააღწია, ამის მერე კი „ორანჯ ბოულის“ 61-ე გათამაშებაზე გადაერთო. პირველ წრეში განუთესავ ქართველს მე-15 ნომრად განთესილი იაპონელი **იასუკაცა უჩიამა** დაუპირისპირდა, ბასილაშვილმა ორ სეტში მოიგო - 7:5, 6:2. ქართველმა მეორე წრეშიც იმარჯვა, ამჯერად მან ამერიკელ **მაქს სტივენსს** მოუგო - 2:6, 6:3, 6:4. მესამე წრეში ბასილაშვილს ძლიერი მეტოქე ელის - მე-3 ნომრად განთესილი **დენის კუდლა** (აშშ). ნიკა ბასილაშვილმა წყვილთა თანრიგის ერთი ეტაპიც დაძლია, ამერიკელ მეწყვილე **ფილიპ პოგოსტკინთან** ერთად. 16 წლამდელ გოგონათა შორის **ეკა გორგოძემ** პირველ ეტაპზე ამერიკელ **ესტერ გოლდფილდთან** წააგო - 6:3, 3:6, 4:6. ეკა წყვილთა თანრიგის პირველი ეტაპიდანაც გამოვარდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ხელბურთი

ლეგიონერი

ლიუბეკი თასზეც მაჩანჩალაა

საქართველოს ნაკრების ხელბურთელ **სერგო დათუკაშვილის** გერმანული "ლიუბეკი" რომ ბუნდესლიგის მაჩანჩალაა, ამაზე არაერთხელ გვითქვამს. სამწუხაროდ, დათუკაშვილის გუნდი ვერც გერმანიის თასზე ყოჩაღობს და დიდი შანსია, ამ ტურნირს გამოეთიშოს.

გერმანიის თასის მეოთხედფინალში, ლიუბეკელები სტუმრად ეთამაშნენ "დიუსელდორფს" და 20:27 წააგეს. როგორც ყოველთვის, სერგო ამჯერადაც გამორჩეული იყო თანაგუნდელთა შორის და ყველაზე მეტი, 6 გოლი გაიტანა. თუმცა, მხოლოდ მისი დამაჯერებელი თამაში საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის.

აღსანიშნავია, რომ "დიუსელდორფი" მეორე ბუნდესლიგის გუნდია, მესამე ადგილზე იმყოფება და ელიტაში აღზევებაზე აცხადებს პრეტენზიას. "ლიუბეკი" კი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების კანდიდატია. ვიმედოვნებთ, რაინისპირელებთან განმეორებით მატჩში, დათუკაშვილი და კამპანია სასურველი სხვაობით მოგებას შეძლებენ და თასზე მაინც მიაღწევენ წარმატებას.



სერგო დათუკაშვილი

სერგო დათუკაშვილის სათასო უქმობით ისარგებლა ბუნდესლიგის რამდენიმე ტოპ-მეგოლემ და ჩვენებურს გადაუსწრო. ამჟამად, 14 მატჩში 87 გოლით, სერგო 11-ე ადგილამდეა დაშვებული. თუმცა, მის ნინ მყოფ ხელბურთელთა უმეტესობას ქართველზე ერთი მატჩით მეტი აქვს ჩატარებული. მაგალითად, მეხუთეადგილოსანი დრაგოშ ოპრეა ("გოპინგენი") 15 მატჩში გატანილი 91 გოლით ინონებს თავს და თუკი სერგო გამოტოვებული ტურის მატჩში 5 გოლს გაიტანს, მეხუთე ადგილამდე აღზევდება. პირველადგილოსან არნე ნეიმაიერამდე ("მინდენი") კი ასევე ერთი მატჩით ნაკლები და 21 გოლია.

კობა ხატისაშვილი

სროლა

თბილისი-ბაქო, ბაქო-თბილისი

10 დეკემბერს ბაქოში ამ ქალაქის ღია პირველობა ტარდება პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, რომელშიც საქართველოდან ქალთა ნაკრებიც გამოვა და ვაჟებისაც. ქალთა ნაკრებში ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე, თამილა ასათიანი** და **თეონა იაშვილი** გამოვლენ, ვაჟებში - ბექა გოგინაშვილი და ლევან ქადაგიძე. ჩვენები ბაქოში 9-ში გაემგზავრებიან - ფული გამოძებნილია, მოწვევაც - მოსული და გამგზავრების მეტი არაფერია დარჩენილი.

ეს ტურნირი ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპია 24 თებერვლიდან 2 მარტამდე შვეიცარიულ ვინტერტურში გასამართი ევროპირველობისთვის. ტურნირში მონაწილე გუნდების ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ თავად მასპინძელთა ნაკრებიც ძალიან ძლიერია - ამ ნაკრებიდან თუნდაც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონისა და ოლიმპიურ პრიზიორ **ირადა აშუმოვას** დასახელებაც კმარა. ცხადია, მათთან პაექრობა ევროპირველობისთვის მზადებაში ჩვენებს სახეიროდ წაადგებათ, მზადების მომდევნო ეტაპი კი გერმანიაში იგეგმება, მიუნხენის ტრადიციულ ტურნირზე. იმედია, ჩვენებს არც იქ წასვლაში შეექმნებათ პრობლემები.

მოგეხსენებათ, რამდენიმედღის წინ ნინო სალუქვაძის ტორში საქართველოს თასის ღია გათამაშება ჩატარდა, რომელშიც აზერბაიჯანელებიც უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ქვეყანაში შექმნილი არასახარბიელო ვითარების გამო, ჩამოსვლა გადაიფიქრეს. თუმცა უახლოეს ხანებში ისინი მაინც გვენვევიან - 18-20 დეკემბერს იგივე სასროლეთი ამჯერად თბილისის ღია პირველობას უმასპინძლებს და მასში აზერბაიჯანელებიც გამოვლენ. არადა, ეს ტურნირი თავიდან მხოლოდ მასპინძლებისთვის იყო ჩაფიქრებული, რომელშიც დედაქალაქელებთან ერთად ქუთაისელი და ბათუმელი მსროლელებიც გამოვიდოდნენ, მაგრამ ჩვენებმა მაშინდელი დანაკლისი ახლა აინაზღაურეს და მეზობლები ჩამოსვლაზე დაითანხმეს. ფედერაციები ამაზე უკვე შეთანხმდნენ. ასევე გადაწყვეტილია, რომ თბილისში აშუმოვაც გვენვევა.

ირაკლი თავაძე

სამბო

წლის რჩეულნი

ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და საქართველოს სპორტული ფედერაციებიდან პირველმა, კვლავაც სამბოს ეროვნულმა ფედერაციამ დაასახელა წლის საუკეთესო 3 სპორტსმენი და ამდენივე მწვრთნელი.

ფედერაციის წევრთა და სამბოს სპეციალისტთა გამოკითხვის შედეგები ასეთია:

წლის საუკეთესო სპორტსმენები
1. უშანგი კუზანაშვილი (საგარეჯო) - 55 ქულა
2. მირიან პავლიაშვილი (მცხეთა) - 42 ქულა
3. ზვიად ჩიგრალაძე (რუსთავი) - 26 ქულა

წლის საუკეთესო მწვრთნელები
1. ზაურ პავლიაშვილი (მცხეთა)
2. მიმი სარდანაძე (ქუთაისი)
3. ვასილ ჩიხრაძე (რუსთავი)



უშანგი კუზანაშვილი

თეჯირი

აკოფ კერსელიანი. 06.12.1918, სოხუმი - 22.12.2004, იქვე. მძლეოსნობა, მწვრთნელი. სსრკ დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს საუკეთესო მწვრთნელი. მისი აღზრდილია ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი ვიქტორ სანეევი.

რეგბი

LOYALCAPITAL group

ᲙᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE

BTA Silk Road Bank

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

აჟენში, ანრი ბრონკანთან

ლევან მაისაშვილი

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ მწვრთნელები ლევან მაისაშვილი, დიმიტრი ობოლაძე და ნიკო ჭავჭავაძე ერთი კვირაა საფრანგეთში, საქართველოს ნაკრების ყოფილ კონსულტანტ ანრი ბრონკანის „აენში“ გადიან სტაჟირებას. საფრანგეთში „ლელოს“ მწვრთნელ ლევან მაისაშვილს დავუკავშირდით, რომელმაც იქაური ამბების შესახებ გვიამბო.

- „ᲐᲞᲔᲜᲘ“ საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია თავისი წარსულით, ტრადიციებით და ინფრასტრუქტურით. ჩვენთვის აქ იდეალური პირობებია შექმნილი. დილიდან საღამომდე კლუბის საწვრთნელ ბაზაზე ვართ, ვარჯიშებს ვესწრებით, თამაშის ანალიზში ვიღებთ მონაწილეობას. ანრი ბრონკანი გვერდიდან არ გვიცილებს, ყველა პროცესში ჩართულნი ვართ.

- „აჟენის“ რომელიმე შეხვედრას თუ დაესწარით?

- დიახ, ირაკლი მაჩხანელის „მონ დე მარსანთან“ ითამაშეს და წააგეს. „აჟენის“ გუნდში ფიჯელი რუპენი კაუკაუ თამაშობს, რომლის ნლიური ხელფასი ლამის „აჟენის“ ბიუჯეტის ნახევარია, თუმცა არაფერს აკეთებს. ბრონკანი მისით ძალიან უკმაყოფილია.

- ირაკლი მაჩხანელს ამ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია. რატომ?

- ირაკლის მუხლის ტრავმა აქვს. სერიოზული არაფერია. ვნახეთ, ვესაუბრეთ. გუნდში ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, ყურადღების ცენტრშია. მისით ყველა კმაყოფილია.

- „აჟენში“ ახალგაზრდულ გუნდებში სამი ქართველი თამაშობს - გურამ კავთიძე, ანტონ ფეიქრიშვილი და დავით ჩიჩუა. კმაყოფილნი არიან თუ არა კლუბის ხელმძღვანელები მათით?

- ანტონ ფეიქრიშვილი ძირითადად სათადარიგო გუნდში თამაშობს. სამწუხაროდ, მას მამა გარდაეცვალა და ამჟამად საქართველოშია. რამდენადაც ვიცით, მალე უნდა ჩამოვიდეს და შაბათს ალბათ ძირითად გუნდში დააყენებენ. „აჟენს“ სამი ნომერი ტრავმირებული ჰყავს და ანტონიც ამ პოზიციაზე თამაშობს. რაც შეეხება კავთიძეს და ჩიჩუას, ისინი სხვადასხვა ასაკის გუნდების ჩემპიონატში თამაშობენ და ხანდახან სათადარიგო გუნდშიც უწევთ თამაში. მთავარია, რომ ბიჭებს აშკარად მომატებული აქვთ და კმაყოფილნი არიან. მათი სახით ნაკრებს კარგი ცვლა მოსდის.

- რა გეგმები გაქვთ მომავალში?

- ჩვენ ძირითადად „აჟენის“ შეხვედრებს დავესწრებით, როგორც შინ ისე გასვლით მატჩებში. დაგეგმილი გვქონდა „ოშში“ ბრონკანის ვაჟთანაც გაგვევლო პრაქტიკული მეცადინეობა ერთი კვირით, მაგრამ სამწუხაროდ ეს გამოირიცხა. ასე რომ, სტაჟირება „აჟენში“ დავიწყეთ და იქვე დავამთავრებთ.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲚᲕᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ

ხერხემლის ოპერაცია და დაბრუნების მოლოდინი

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ სარაგბო ჩემპიონატის მე-2 დივიზიონის „გრენობლის“ კვაჭი ლევან ღვაბერიძე თითქმის ერთი წელია, მოედანზე არ გამოჩენილა. ლევანმა მძიმე ოპერაცია გადაიტანა და ახლა რაგბიში დასაბრუნებლად ემზადება.

- კისერზე ხერხემლის მალებს შორის მანძილი გამეზარდა - გვიამბობს **ლევან ღვაბერიძე** - ერთ-ერთმა მალამ ადგილი იცვალა და ნერვს დაანვა. ასეთ ტრავმას პირველხაზლთა 20-30 პროცენტი იღებს, თუმცა მკურნალობის შემდეგ ყველა მაინც მოედანს უბრუნდება. მეც ასევე ვაპირებ.

- ამ ტრავმის გამო დიდი დრო გაგიცდათ. არადა, ოპერაცია რამდენიმე თვის წინ გაიკეთეთ.

- ოპერაცია საკმაოდ რთული იყო, კისრის მალა ამოშიღეს და მის ნაცვლად ხელოვნური ჩასვეს. რეაბილიტაციას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა, ამასთან კლუბის ექიმი თამაშის უფლებას არ მაძლევდა. მივმართე იმ ქირურგს, რომელმაც ოპერაცია გამიკეთა. მან სხვა კოლეგა სპეციალისტებთან ერთად კვლევა ჩამიტარა, რომლის შემდეგაც დაასკვნა, რომ თამაში შემიძლია. ამის შემდეგ საფრანგეთის რაგბის ფედერაციასთან არსებულმა სამედიცინო კომისიამ ჩამიტარა კვლევა. ამათაც დადებითი პასუხი მომცეს. ყოველივე ამან სამი თვე წაიღო.

- ტრავმის სერიოზულობიდან გამომდინარე, ხომ შესაძლებელია კისერი ისევ დაიზიანოთ, რასაც გამოუსწორებელი შედეგი შეიძლება მოჰყვეს?

- ცხადია, რაღაც დოზით რისკი არსებობს, მაგრამ არა იმდენად, რომ შევუშინდე. თანაც მორიგი ტრავმისგან რომ თავი დავიზღვიო, კისრის კუნთები კარგად უნდა ვავარჯიშო. აქამდე ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. უკვე ერთი კვირაა, გუნდთან ერთად ვემზადები და ყველაფერი რიგზეა.

- ესე-იგი მალე თამაშსაც დაიწყებ.

- მალე იქნება თუ არა არ ვიცი. ჯერ

ლევან ღვაბერიძე

არ ვარ სათანადო ფორმაში. კიდევ მჭირდება გარკვეული დრო მოსამზადებლად. თანაც ჩვენმა გუნდმა ჩემპიონატი კარგად დაიწყო და ამჟამად მესამე ადგილზე ვართ. ბიჭებს თამაში მისდით და ფორმაში რომ ვიყო კიდეც, მწვრთნელი მოერიდება შემადგენლობაში რამის შეცვლას. მორიგ ტურში შინ „ტულონს“ ვიღებთ, რომელიც ძალიან ძლიერი გუნდი და პირველობის უმთავრესი ფავორიტია. ლაბაძის გუნდთან თამაშისას გამოჩნდება, რამდენად სერიოზულია ჩვენი ამბიციები.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ქართული ჭიდაობა

შიდაქართლელები პრეზიდენტის თასით

ქართულის ქართლელი პრეზიდენტები

1-2 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ვერის ბაღში ქართულ ჭიდაობაში გამართულ ორივე ტურნირზე (საქართველოს ფალავნობა და რეგიონის გუნდებს შორის პრეზიდენტის თასი) საუკეთესოდგამოვიდნენ შიდაქართლელი მოჭიდავეები, რომლებმაც თითქმის ყველა მეტოქეს აშკარა უპირატესობით აჯობეს და პრეზიდენტის თასი დაისაკუთრეს, ფალავნობისათვის ბრძოლაში კი მათმა ჯილამ იოსებ მსხალაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართლელები გამარჯვებისთვის **გივი ზაუტაშვილმა** და **ქართლოს პავლიაშვილმა** მოამზადეს.

საკუთარი გუნდის ასპარეზობის შეფასება ერთ-ერთ მათგანს, არაერთი სახელოვანი მოჭიდავეების აღმზრდელს **გივი ზაუტაშვილს** ვთხოვეთ.

- ბატონო გივი თქვენ რამდენიმე თვის წინ გვითხარით, რომ გორი მალე თავის ძველ სახელს დაიბრუნებდა. საქმე ისე მიდის, როგორც ვარაუდობდით?

- საქმე რიგინად, თავის კალაპოტში და რაც მთავარია, წინ მიდის. ჩვენ, მოგეხსენებათ, ჩოხიანი ჭიდაობის სამ სახეობაში - ძიუდოში, სამბოსა და ქართულში ვავარჯიშებთ სპორტსმენებს და წარმატებებიც სამივე სახეობაში გვაქვს. ძიუდოში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი ზვიად ბაზანდარაშვილმა მოიპოვა, ევროპის ჩემპიონატზეევე, ოლონდ სამბოში ჩემპიონები გახდნენ ზურაბ დილებაშვილი (ჭაბუკები) და დავით კარბელაშვილი (ახალგაზრდები), ხოლო მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე კიდევ ორმა გორელმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ქართულ ჭიდაობაში ამჟამად ნაჩვენები შედეგიც ბევრის მეტყველია.

- აბსოლუტურ ფალავნობაზე თქვენი შეგირდების გამოსვლით დავიწყოთ...

- სოსო ჩილინდრიშვილის მინიმალური უპირატესობით მარცხი დიმიტრი ტურაშვილთან მთავარი მსაჯის მიერ ნაჩვენებმა, თუმცა მაგიდის მსაჯის მიერ თვალთახედვიდან გამორჩენილმა ქულამ გამოინვია. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა აბსოლუტურის ფინალში გვენახა ჩილინდრიშვილი. არადა, იგი 80 კილოსაც არ იწონის. მხოლოდ გაფრთხილებით წაგო ლაშა გუჯეჯიანთან 20 წლის იოსებ მსხალაძემაც, რომლისგანაც მუდამ გამარჯვებებს ველით, იგი შარშანდელ ფალავნობაზეც კარგად გამოვიდა, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონია სამბოში, ანგარიშგასანევი გახლავთ ძიუდოშიც...

- მის დიდ პერსპექტივაზე საუბარი ახლა არ დაწყებულა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც და მაინც სერიოზული შედეგები არ უჩვენებია.

- მსხალაძეს სათანადო გამოცდილება აკლია სერიოზული მიღწევების საჩვენებლად. დამიჯერეთ, მას ბევრი რამ შეუძლია. საერთოდ, მაღალ წონებში გვიან მწიფდებიან მოჭიდავეები და ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ იგი ჭიდაობს 90 კგ წონით კატეგორიაში, სადაც დღესდღეობით ორი ლიდერი გვყავს ცირეკიძისა და ზვიადაურის სახით.

- რაც შეეხება პრეზიდენტის თასზე ქართლელეთა გამარჯვებას.

- მოხდა ისე, რომ შარშან ოთხეულს მილმა დავრჩით, რაც გვარიანი ხელმოცარვის ტოლფასი იყო. პირველივე მეტოქედ შეჯიბრების გამოკვეთილი ფავორიტი, თბილისის გუნდი გვერგო, რომლის დამარცხებაც ყველაზე უფრო გაგვიძნელდა. თბილისელები თავდაპირველად 2:0, ბოლო ორთაბრძოლების წინ კი 3:2 გვიგებდნენ. საბედნიეროდ, ჯერ პაატა ღვინიაშვილმა ძიუდოში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულ ვალერი ლიპარტელიანის ძლევით გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ დავით ჭაბუკაშვილმა შემდეგი ეტაპისკენ გაგვიხსნა გზა. მომდევნო მონინააღმდეგე ძირითადად თბილისელი ფალავნებით დაკომპლექტებული აფხაზეთის გუნდი გახლდათ. იგი 4:0 დავამარცხეთ. ფინალში გადასასვლელ პაექრობისას იოლად ვძლიეთ გორში, ჩვენს დარბაზშივე მომზადებულ ცხინვალის რეგიონის კოლექტივს, რომლებიც ლიახვის ხეობის წარმომადგენელებისაგან იყო დაკომპლექტებული. ჩემთვის გასაკვირი იყო გადამწყვეტ მატჩში მცხეთამთიანეთთანაც 4:0 გამარჯვება.

- შიდა ქართლის ნაკრები გორელ ფალავნებს ეყრდნობოდა, თუ გუნდში რეგიონის სხვა რაიონების წარმომადგენლებიც ირიცხებოდნენ?

- ძირითადი ბირთვს გორელები წარმოადგენენ, თუმცა არიან შიდა ქართლის სხვა ქალაქების მოჭიდავეებიც.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ
ᲒᲝᲠᲘᲓᲐᲜ

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲜᲘᲙᲝᲚᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲒᲩᲘᲗ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲮᲐ

ᲛᲙᲐᲪᲠᲘ აღმოჩნდა NHL-ის სადისციპლინო კომიტეტი „ნეშვილ პრედატორზის“ ფორვარდ **სკოტ ნიკოლის** მიმართ. ამ ჰოკეისტს „კოლორადო ეველანშთან“ გამოჩენილი უხეშობისთვის 5 მატჩის გამოტოვება მოუნევს.

ნიკოლმა ყვანჯით კინალამ უმძიმესი ტრავმა მიაყენა კოლორადოელ **პატრის ბრისბუას.** *„ნიკოლის დარტყმას ტრავმა არ გამოუწვევია, მაგრამ ამის საშიშროება არსებობდა“*, - განმარტავს დისკვალიფიკაციის მიზეზს NHL-ის სადისციპლინო კომიტეტის შეფი **კოლინ კემბელი**.

სხვათა შორის, ნიკოლისთვის ეს პირველი დისკვალიფიკაცია არ არის. მან უხეშობისთვის 2006 წლის დეკემბერშიც გამოტოვა რამდენიმე მატჩი.

ᲤᲚᲐᲔᲘᲠᲖᲘ ᲣᲮᲔᲨᲝᲑᲐᲡ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ

რᲝᲑᲝᲠᲪ გუშინ ვიტყობინებოდით, ჰოკეის ეროვნული ლიგის დისციპლინარულმა კომიტეტმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა „ფილადელფია ფლაიერზის“ ფორვარდი **რაილი კოტი**. ეს უკანასკნელი ამ გუნდის მეექვსე მოთამაშეა, ვისაც უხეშობისთვის დისკვალიფიკაცია მისცეს. ამის გამო, „ფლაიერზის“ ხელმძღვანელობამ ჰოკეისტებს მკაცრი გაფრთხილება მისცა.

„ლიგის კომისარ გერი ბეტმენს ვესაუბრე. ორივენი ვთვლით, რომ ყოველი შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა იყოს განხილული, მაგრამ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ასეთი ფაქტები აღარ განმეორდეს. მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენი გუნდი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იმყოფება“, - აცხადებს „ფილადელფიას“ გენერალური მენეჯერი **პოლ ჰოლმგრენი**.

ᲙᲠᲝᲡᲑᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ

ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ გულშემატკივართა გამოკითხვა „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ მონაწილეების გამოსავლენად. NHL-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უკვე 6.48 მილიონმა ადამიანმა მისცა ხმა და კვლავინდებურად, ძალიან დიდი უპირატესობით ლიდერობს „პიტსბურგ პინგვინზის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი **სიდნი კროსბი**. შარშანდელი რეგულარულის საუკეთესო მოთამაშემ 268 045 ხმა მიიღო.

მეორე ადგილზეა „მონრეალ კანადიენსის“ რუსი მცველი **ანდრეი მარკოვი** - 182 686, ხოლო სამეულში შედის კიდევ ერთი მცველი - „ბოსტონ ბრუინზის“ კაპიტანი **ზდენო ხარა** - 132 077.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲚᲔᲑᲠᲝᲜᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲓᲘᲓᲐᲠᲘᲐ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ჟურნალმა „ფორბსმა“ ტრადიციულად წლის ბოლოს გამოაქვეყნა ყველაზე მდიდარი სპორტსმენების სია, რომლებიც 25 წლამდე ასაკისანი არიან.

სიის სათავეში მოექცა NBA-ის კლუბ „კლივლენდის“ ვარსკვლავი **ლებრონ ჯეიმსი** - 22 წლის კალათბურთელის შემოსავალმა წელს 27 მილიონი დოლარი შეადგინა.

მეორე ადგილზე გავიდა ნიუორლეანელი ფეხბურთელი **რეგი ბუში**, რომელიც ლებრონს 3 მილიონით ჩამორჩა. და ბოლოს, სამეულში მოხვდა რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა**. მან 2007 წელს 23 მილიონი გამოიმუშავა.

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐᲛ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲕᲐᲚᲐ

„ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ ᲡᲘᲫᲚᲔᲠᲖᲘᲡ“ შეფობა მდგომარეობის გამოსასწორებლად რადიკალურ ზომებზე წავიდა და თანამდებობიდან დაითხოვა კლუბის პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი **ბილი კინგი**.

კინგი „ფილადელფიას“ 1997 წელს შეუერთდა და საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა, ერთი წლის შემდეგ კი, მას გენერალური მენეჯერის პოსტი ჩააბარეს. კინგის მოღვაწეობის პერიოდში, „სიქსერზი“ ორჯერ გავიდა აღმოსავლეთი კონფერენციის ნახევარფინალში, ხოლო 2001 წელს, სუპერფინალში ითამაშა და იქ „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“ დამარცხდა.

უკვე ცნობილია „ფილადელფიას“ ახალი გენერალური მენეჯერის ვინაობა. ეს გახლავთ **ედ სტაფანოვსკი**, რომელსაც თავის დროზე იგივე პოსტი „ნიუ ჯერსი ნეტსში“ ეკავა და მის სახელს უკავშირებდება ამ გუნდში **ვინს კარტერისა** და **რიჩარდ ჯეფერსონის** ტრანსფერი.

ᲕᲐᲠᲔᲣᲐᲝ ᲨᲐᲠᲚᲢᲒᲛᲐ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲐ

რᲝᲑᲝᲠᲪ ჩანს, **ანდერსონ ვარეუაოს** პრობლემები წარსულს ჩაბარდა. „შარლოტ ბობკეტსმა“ შეზღუდული უფლებების მქონე თავისუფალ აგენტს სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. ახლა, NBA-ის წესების თანახმად, თუ ბრაზილიელი კალათბურთელის ამჟამინდელი კლუბი „კლივლენდ კავალიერზი“ იგივე პირობებს არ შესთავაზებს ვარეუაოს, მაშინ ეს ფორვარდი „შარლოტის“ კუთვნილება გახდება.

ამ სეზონის წინ, 25 წლის ბრაზილიელმა უარი თქვა „კლივლენდის“ მიერ შეთავაზებულ ერთწლიან კონტრაქტზე, რომლის მიხედვითაც მას 1.2 მილიონი უნდა მიეღო. ვარეუაო კლუბისგან 6-წლიან და 62-მილიონიან კონტრაქტს ითხოვდა. ჯერჯერობით უცნობია, რა თანხა შესთავაზა „შარლტომა“ კალათბურთელს.

ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲔᲑᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ ნომერში გაგაცანით ნოემბრის თვის ლაურეატები - **დუაიტ ჰოვარდი** და **კარლოს ბუზერი**. ასევე ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გამოაცხადა გასული თვის საუკეთესო მწვრთნელები და დებიუტანტები.

მწვრთნელების ნომინაციაში გაიმარჯვეს: აღმოსავლეთიდან **დოკ რივერსმა** („ბოსტონ სელტიქსი“) და დასავლეთიდან - **გრეგ პოპოვიჩმა** („სან ანტონიო სპურსი“).

გასულ თვეში, „ბოსტონმა“ 15-დან 13 მატჩი მოიგო (ზედიზედ 8 თამაში სეზონის სტარტზე) და მეტოქეებზე საშუალოდ 21.6 ქულაზე მეტს აგროვებდა. „სპურსმა“ 17-დან 14 გამარჯვებით გამოიჩინა თავი (საშინაო სერია - 9:0). ორივე გუნდი საკუთარი კონფერენციის ლიდერია.

■ ■ ■

რაც შეეხებათ დებიუტანტებს, აქ ლაურეატებად „ატლანტა ჰოქსის“ ფორვარდი **ელ ჰორფორდი** და „სიეტლ სუპერსონიქსის“ თავდამსხმელი **კევინ დიურანი** დასახელდნენ.

აღმოსავლეთის რჩეული ჰორფორდი, დებიუტანტებს შორის ლიდერობს მოედანზე გატარებული წუთებისა (31.5) და მოხსნების (10.2) რაოდენობით. რაც შეეხება დიურანს, ის საუკეთესოა ქულების (20.4) და შედეგიანი გადაცემების (2.1) რაოდენობით.

თვის საუკეთესო დებიუტანტის ტიტულზე პრეტენზიას აცხადებდნენ **ლუის სკოლა** („ჰიუსტონი“), **შონ უილიამსი** („ნიუ ჯერსი“), **ჯამარიო მუნი** („ტორონტო“), **ნიკ იანგი** („ვაშინგტონი“) და **იი ტიანლიანი** („მილუოკი“).

ᲐᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘ

ᲞᲔᲠᲡᲝᲜᲘ ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐ

შვედეთში წლის საუკეთესო სპორტსმენების გამოვლენა დაიწყეს.

ქვეყნის ნამყვანი გამოცემის, Svenska Dagbladet-ის ვერსიით, 2007 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული მთის თხილამურებში სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა, **ანია პერსონმა** მოიპოვა.

26 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა წელს ერთბაშად სამ დისციპლინაში მოიპოვა მსოფლიო თასი - სუპერგიგანტში, სწრაფდაშვებაში და სუპერკომბინაციაში. გარდა ამისა, ვერცხლი აიღო სლალომში.

„უბედნიერესი ადამიანი ვარ. ვფიქრობ, ეს არის ჩემს კარიერაში ყველაზე დიდი მიღწევაა“, - განაცხადა პერსონმა.

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 1:4

0:1, 1:2, 0:1

გოლები: 0:1 დაციუკი-10, 1:1 ჰიგინსი-11 (ს. კოიუ-16, შტრაიტი-12), 1:2 დაციუკი-11, 1:3 კრონვალი-2 (სამუელსონი-11, ზეტერბერგი-19), 1:4 ზეტერბერგი-18 (დაციუკი-20, რაფალსკი-20).

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ-ᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ 3:1

1:0, 1:0, 1:1

გოლები: 1:0 ანტროპოვი-11 (გილი-8, სუნდინი-21), 2:0 სტაიანი-6 (დეევერო-3, ტ. კაბერლე-13), 3:0 ბელაკი-1 (კილგერი-3, ტ. კაბერლე-14), 3:1 შ. უებერი-1.

ᲢᲐᲛᲞᲐ ᲑᲘᲐ-ᲝᲢᲐᲕᲐ 4:3 (Რ)

2:0, 0:0, 1:3, 0:0

გოლები: 1:0 დარში-4 (ჰლავაჩი-6), 2:0 გრეტონი-4 (სენტ ლუისი-24, ლეკავალიე-24), 2:1 ალფრედსონი-18 (კორვო-8, სპეცა-23), 3:1 კუბა-3 (სენტ ლუისი-25, პროსპალი-14), 3:2 ალფრედსონი-19 (ჰიტლი-18, შუბერტი-6), 3:3 რედენი-4 (ალფრედსონი-18, ჰიტლი-19).

ᲑᲣᲚᲘᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ: ბ. რიჩარდსი (ტამპა ბეი), სპეცა (ოტავა), პროსპალი (ტამპა ბეი).

ᲙᲐᲚᲒᲐᲠᲘ-ᲡᲔᲜᲢ ᲚᲣᲘᲡᲘ 3:1

0:1 2:0, 1:0

გოლები: 0:1 სტემპნიაკი-4 (მაიერსი-4, ჯეკმენი-3), 1:1 მ. ნილსონი-2 (ლენგკოუ-14, ტანგეი-17), 2:1 ბოიდი-1 (ტანგეი-18, რეგერი-4), 3:1 ჰუსელიუსი-9.

ᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲚᲔᲜᲔᲑᲘ

- „დეტროიტ რედ უინგზმა“ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო.

- სტუმრებმა „მონრეალზე“ ორჯერ მეტი დარტყმა შეასრულეს. „დეტროიტის“ მეკარე **დომინიკ ჰაშეკს** მხოლოდ 15 დარტყმის მოგერიება მოუხდა.

- „მონრეალ კანადიენსმა“ ზედიზედ მესამედ წააგო, ხოლო ბოლო ექვს მატჩში მეხუთედ დამარცხდა.

■ ■ ■

- „ტორონტო მეიპლ ლივზმა“ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო.

- კანადელმა ფორვარმა **უეიდ ბელაკმა** ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირველად შეძლო გოლის გატანა. უკანასკნელად ამ ჰოკეისტმა თავი 2003 წლის 20 დეკემბერს გამოიჩინა. 31 წლის ფორვარდს 407 შეხვედრაში რვა გოლი დაუგროვდა.

- „ტორონტომ“ მეტოქის კარში მხოლოდ 15 ზუსტი დარტყმა შეასრულა, მაგრამ მაინც გაიმარჯვა. გაცილებით მეტი სამუშაო ჰქონდა ტორონტოელთა ფინელ მეკარე **ვესა ტოსკალას**, რომელსაც 34 დარტყმის მოგერიება შეძლო.

- „ტორონტომ“ ამ სეზონში 16 მატჩი ჩაატარა საკუთარ მოედანზე და ყოველ მათგანში, მინიმუმ ერთ ქულას აგროვებდა შვედი ვეტერანი **მატს სუნდინი**.

■ ■ ■

- „ოტავა სენატორზმა“ ზედიზედ მეშვიდე მატჩი წააგო. უკანასკნელად ასეთი სერია ამ გუნდს 1996 წელს ჰქონდა.

- „ტამპა ბეის“ ფორვარდმა **მატიო დარშმა** ზედიზედ მესამე მატჩში შეძლო გოლის გატანა. ამ ვეტერანს კარიერის ძირითადი ნაწილი დაბალ ლიგებში აქვს გატარებული. მის ანგარიშზე NHL-ში 48 მატჩი და 5 გოლი მოდის.

- „ოტავას“ ლიდერები - **დენი ჰიტლი** და **ჯეისონ სპეცა** ზედიზედ რვა მატჩია ქულის გარეშე არ ტოვებენ ყინულს.

■ ■ ■

- „სენტ ლუისმა“ ბოლო 11 შეხვედრაში მხოლოდ მეორედ წააგო ძირითად დროში.

- ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარეს, „კალგარის“ კარის დარაჯ **მიკა კიპრუსოფს** 32 მატჩია არ შეუსრულებია შათაუთი.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲕᲣᲔᲚᲢᲐ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ტურის ორგანიზატორებმა საზოგადოებას მომავალი სეზონის რბოლის მარშრუტი წარუდგინეს. მარშრუტი არნახულად რთულია – ის რვა სამთო ეტაპს და ერთ სამთო დროზე ინდივიდუალურ რბოლას შეიცავს. ასეთი მონაცემებით კი ესპანური ველოსამართონი ფრანგულსა და იტალიურ ველოსამართონებს აშკარად ჩრდილში აქცევს.

"ჩვენი სურვილია, ველოსპორტი ძველ, სუფთა, ჰეროიკულ, სანახაობრივ გზას დავუბრუნოთ, როგორიც ის ადრე იყო. ვიმედოვნებთ, რომ მერმის, რბოლის დროს და მის შემდეგაც, დოპინგსკანდალები არავის გაახსენდება და პრესას მხოლოდ ველოსამრბოლთა გმირობაზე მოუწევს ლაპარაკი", - განაცხადა რბოლის დირექტორმა **ვიქტორ კორდერომ**.

მომავალი სეზონის ბოლო ველოსამართონი სტარტს 30 აგვისტოს აიღებს შვიდკილომეტრიანი დროზე გუნდური რბოლით. რბოლა ზედიზედ მეორედ, გრანადაში დაიწყება. მომდევნო სამი ეტაპი სპრინტერებისაა, თუმცა მათზე თავის გამოჩენა ისეთებსაც შეეძლებათ, რომლებსაც შუა რბოლაში დანინაურება და ბედის ეულად ძიება სჩვევიათ. მეხუთე ეტაპზე კი დროზე ინდივიდუალური რბოლაა (40 კმ), რომელიც აღბათ ერთპიროვნულ ლიდერს გამოავლენს.

დროზე რბოლას ერთი სპრინტერული ეტაპი მოსდევს, რის შემდეგაც ველოსამრბოლებს დასვენების საშუალება მიეცემათ. დასვენება კი მათ ძალიან გამოადგებათ, რადგან მომდევნო დღეს მათ პირენეის მთიანეთი ელის. მეშვიდე ეტაპი ყველაზე გრძელია სამერმისო რბოლაში და ის ჯუჯა სახელმწიფო ანდორაში დასრულდება. ანდორამდე, პელოტონს რამდენიმე სამთო მონაკვეთის გავლა მოუწევს, ფინიში კი პირველი კატეგორიის აღმართზე (ალდო დე ნატურლანდია) მოელის.

პელოტონს მერვე და მეცხრე ეტაპებიც პირენეის მთიანეთში ელის. ამათგან მერვე ეტაპზე კვლავ სამთო ფინიშია, რომელზეც უმაღლესი კატეგორიის პლა დე ბერეტის სამთო მონაკვეთი იქნება გასავლელი. ეს მთა იმითაა გამორჩეული, რომ ის შარშანდელი ფრანგული ტურის მარშრუტში შედიოდა.

მომდევნო სამი ეტაპი სპრინტერულია და ისინი სარაგოსაში, ბურგოსსა და სუანსესში დასრულდება. მერე კი ველოსამრბოლები მეორედ დაისვენებენ, რის შემდეგაც ლეგენდარული მთა ანგლირუა გასავლელი, რომელიც 2002 წლის შემდეგ არავის გამოუყენებია. ანგლირუზე ველოსამრბოლებს 23-პროცენტიანი მონაკვეთის გავლა მოუწევთ. ცნობისათვის, ეს ყველაზე მკვეთრი აღმართია მათ შორის, რომლებიც კი ოდესმე პროფესიულ ველოსპორტში გამოუყენებიათ.

შედარებით იოლია მომდევნო ეტაპი, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მასზე ველოსამრბოლებს იოლი გასეირნება ელით. ფინიში კვლავ აღმართზეა, რომელიც პირველი კატეგორიისაა. ეტაპი სამთო კურორტ ინვეირნოს შემოგარენში დასრულდება.

ამის შემდეგ, მომდევნო ორი ეტაპიც სამთოა, მაგრამ თუ მე-15 ეტაპზე პელოტონს ორი საშუალო დონის სამთო მონაკვეთი ელის, მომდევნო ეტაპზე ერთადერთი აღმართია, ოღონდ ის პირველი კატეგორიისაა და ბუნებრივია, წინა ეტაპებზე დაღლილი ველოსამრბოლებისთვის სერიოზული გამოცდა იქნება.

მომდევნო ორი ეტაპი სპრინტერულია, რის შემდეგაც პელოტონს ისევ სამთო ეტაპი (მე-19) ელის. ოღონდ, ამ ეტაპს ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ორი პირველი კატეგორიის მთა ეტაპის საწყის მონაკვეთზეა, შემდეგ კი დაღმართი და შედარებით სწორი გზაა გასავლელი.

სამაგიეროდ, ბოლოსწინა ეტაპზე ველოსამრბოლებს სერიოზული გამოცდა ელით – დროზე ინდივიდუალური რბოლა და თანაც, პირველი კატეგორიის აღმართიან გზაზე, ნებისმიერისთვის ძნელი გასავლელი იქნება. სავარაუდოა, რომ საბოლოო გამარვჯებულს სწორედ ეს ეტაპი გამოავლენს.

ესპანეთის ტური 21 სექტემბერს, ტრადიციულად მადრიდში დასრულდება. ეს ეტაპი ვუელტას ისტორიაში პირველად აიღებს სტარტს სან სებასტიან დე ლოს რეიესში და მადრიდის ქუჩებში დასრულდება.

მერაბ ლორთქიფანიძე

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ



ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚᲘ რეგულარულს თუ არ ჩავთვლით, ბოლო წლებში "საკრამენტო კინგზი" ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საშიანო გუნდად ითვლება. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც **რიკ ადელმანს** (რომელიც დღეს "ჰიუსტონს" უდგას სათავეში) გუნდში **კრის უებერი, პეჯა სტოიაკოვიჩი, ვლადე დივაცი, ბობი ჯექსონი** და **დაგ კრისტი** ჰყავდა, "საკრამენტო" არაჩვეულებრივად თამაშობდა საკუთარ "არკო არენაზე" და მუდმივად დასავლეთის პირველ ოთხ გუნდს შორის იყო.

დღეს "მეფეებს" მაშინდელთან ახლოს მყოფი გუნდიც კი არ ჰყავს, მაგრამ საკუთარ მოედანზე "კინგზი" მაინც სახიფათოა. კალიფორნიელებმა მოუგეს "სან ანტონიოსა" და "ჰიუსტონს" და მორიგ შეხვედრაში ძლიერი "იუტაც" არ დაინდეს.

დღევანდელი "საკრამენტოს" ლიდერი **კევინ მარტინია**, რომელსაც "ჯაზთან" მატჩში არ გაუმართლა - ამ ვერცხლისწყალივით მოძრავმა ბიჭმა ბოლო მეოთხედში ტრავმა მიიღო და გუნდს სადღაც, ერთი თვე ველარ დაეხმარება. მის არყოფნაში ლიდერობა და ბომბარდირობაც, წლეულს საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფმა **ჯონ სალმონსმა** იტვირთა.

"კევინის გარეშე გაგვიჭირდება, რადგან იგი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს და ბევრი კომბინაცია სწორედ მასზე გვაქვს აწყობილი. და მაინც, დანარჩენი მოთამაშეების ასი პროცენტით მჯერა და ვთვლი, რომ დარჩენილი ხალხითაც შეგვიძლია ბევრი თამაშის მოგება", - განაცხადა "კინგზის" მთავარმა მწვრთნელმა **რეჯი ტეუსმა**, რომლის გუნდს მარტინამდე დასავებულთა სიაში **მაიკ ბიბი** და **შარიფ აბდურ-რაჰიმი** ჰყავდა შეყვანილი.

სალმონსმა კი უკანაკნელ მეოთხედში ზედიზედ 13 ქულა მოიმკო და "საკრამენტომ" ოპონენტის ნაქები დაცვა 43 ქულით გააბრუა.

ბოლო 12-წუთეულში მასპინძლებმა თამაშიდან 14-დან 11 სროლა შეასრულეს ზუსტად და 22 საჯარიმოდან მხოლოდ 3 ვერ გამოიყენეს.

სალმონსმა ძირითადის დასრულებას 4 წუთი და 10 წამი რომ უკლდა, **დერონ უილიამსს** ბურთი მოპარა და სწრაფი გარღვევა ჩატენვით დაასრულა, "კინგზი" 98:96 დაანინაურა და ამის მერე, მასპინძლები სულ წინ იყვნენ.

სალმონსი იყო ერთადერთი, ვინც ბოლო პერიოდში თავისი გუნდის ქულათა მარაგს ავსებდა, თუმცა მისი ცუნამის დასრულებისთანავე, მნიშვნელოვანი სროლები სხვებმაც გამოიყენეს.

ფრედი გარსიამ კარლოს ბუზერის აცილებულის შემდეგ წამოიღო ბურთი და სამიანით "საკრამენტო" 107:101 დაანინაურა. Mანვე დააჭედა შორიდან ბოლოშიც და რაკიღა საფინალო სირენას 13.5 წამი უკლდა და "მეფეები" 113:105 იგებდნენ, "ჯაზს" მატჩის გადარჩენის ყველანაირი იმედი გადაეწურა.

"ჯონი შეუდარებელი იყო, თუმცა ბოლოს ფრედის რომ არ აემუშავებინა შორეული არტილერია, მოგება გაგვიჭირდებოდა. "იუტა" ძალიან ძლიერი, ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობის მქონე გუნდია და დღევანდელი მოგება ორმაგად მნიშვნელოვანია", - ამბობს **რონ არტესტი**, რომელმაც შეხვედრა ბოლომდე ვერ დაასრულა, რადგან სულ ბოლოს მეექვსე პერსონალური მიიღო.

ნორმალური გუნდია "კლიპერსი", მაგრამ შესანიშნავი სტარტის (4:0) მერე, კალიფორნიელები მატჩს მატჩზე აგებენ და ბოლო 12 შეხვედრიდან მხოლოდ ორის მოგება შეძლეს.

როგორც იცით, **მაიკ დანლივის** გუნდს მთელი ნახევარი სეზონი არ ეყოლება დაშავებული ვარსკვლავი **ელტონ ბრენდი** და ასევე ძირითადი ფლეიმეიქერი **შონ ლივინგსტონი**, რომელთა შემცვლელებიც სათანადოდ ვერ ბურთაობენ და ეს გუნდის გამოსვლასაც დაეტყო.

"მილუოკი ბაქსის" ბოლო მატჩში "სტეიპლ სენტრში" "ხარირმებს" არ ჰყოლიათ დამტვრეული **მაიკლ რედი**, ხოლო ბრენდი და ლივინგსტონი კი ჯანზე იყვნენ და "კლიპერსმაც" იმარჯვა. ამჯერად, სიტუაცია შეიცვალა და უკვე "კლიპერსმა" იზარალა ულიდერებოდ.

რედმა ბოლო 3 წუთში 10 ქულა გააკეთა, ორი სამიანი და ამდენივე საშუალო ტყორცნა გამოიყენა, **ენდრიუ ბოგუტმა** ფარქვეშეთი ამოკეტა და "ბაქსმაც" მნიშვნელოვანი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში.

მასპინძლები ბოლოს ძირითადის ჩამთავრებამდე 4 წუთით ადრე, **ტიმ ტომასის** სამიანით 74:73 გავიდნენ წინ, მერე კი აიწყვიტა რედმა და "ბაქსმაც" 14:4 გაქცევით დაასრულა შეხვედრა.

"ბოლო მატჩებში ბევრ შეცდომას ვუშვებთ, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. მთელი სეზონი იმაზე ვერ ვიფიქრებთ, რომ ელტონის გარეშე გვინევს გამოსვლა", - მიაჩნია მაიკ დანლივის, რომლის გუნდშიც ამ სეზონის თექვსმეტივე შეხვედრა მხოლოდ ტომასმა, **კრის კამანმა, კვინტონ როსმა** და **რუბენ პატერსონმა** ჩაატარეს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ-ᲘᲣᲢᲐ 117:107

27:35, 26:21, 21:21, 43:30

საკრამენტო: კევინ მარტინი (25 ქ), არტესტი (23 ქ. 8 მ. 5 პ), სალმონსი (21 ქ. 6 მ), ბ. მილერი (13 ქ. 11 მ. 4 პ. 2 დ), მური (11 ქ. 7 მ), უდრიხი (10 ქ. 4 ჩ), გარსია (10 ქ).

იუტა: დ. უილიამსი (30 ქ. 7 პ), ბუზერი (19 ქ. 11 მ. 4 პ. 2 ჩ), რ. ბრიუერი (18 ქ), ოქური (17 ქ. 6 მ).

ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ-ᲤᲘᲜᲘᲥᲡᲘ 117:121

29:38, 35:31, 26:27, 27:25

ინდიანა: ჯ. ონილი (30 ქ. 11 მ. 2 დ), მ. დანლივი-უმცროსი (22 ქ. 7 მ. 4 პ), ტინსლი (19 ქ. 14 პ. 2 ჩ), მ. დენიელსი (13 ქ), ჰარისონი (10 ქ), ფოსტერი (6 ქ. 12 მ. 3 პ).

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (42 ქ. 13 მ. 4 პ), ნეში (18 ქ. 17 პ. 6 მ), რ. ბელი (17 ქ. 2 ჩ), გ. ჰილი (16 ქ. 6 პ. 5 მ. 2 ჩ), მერიონი (14 ქ. 12 მ. 3 პ. 2 დ).

ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓᲘ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 79:100

22:19, 21:28, 16:27, 20:26

კლივლენდი: ს. ბრაუნი (20 ქ. 4 პ), გიბსონი (17 ქ. 4 პ), გუდენი (14 ქ. 3 ჩ. 3 დ), დ. ჯოუნსი (9 ქ. 12 მ).

ნიუ ჯერსი: რ. ჯეფერსონი (36 ქ), ვ. კარტერი (19 ქ. 7 პ), მ. ალენი (10 ქ. 9 მ. 4 პ. 2 დ), ე. გილი (10 ქ), კიდი (7 ქ. 10 მ. 6 პ).

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 95:106

26:33, 22:24, 13:30, 34:19

ატლანტა: ჩილდრესი (18 ქ. 2 ჩ), ს. სტაუდმაიერი (15 ქ), ჯოშ სმიტი (13 ქ), ლო (11 ქ), მერვინ უილიამსი (11 ქ), პორფორდი (8 ქ. 10 მ).

დეტროიტი: პრინსი (23 ქ. 2 დ), ჯ. ჰეიესი (17 ქ), რ. ჰამილტონი (14 ქ. 7 პ. 5 მ), მაქსიელი (13 ქ. 9 მ), რ. უოლასი (11 ქ. 2 ჩ), მაკდაიესი (10 ქ. 4 ჩ), ბილაპსი (10 ქ. 10 პ).

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲚᲔᲘᲙᲠᲡᲘ 95:116

24:30, 22:32, 22:24, 27:30

მინესოტა: ტელფეირი (16 ქ), მაკკენტსი (14 ქ), კ. სმიტი (13 ქ), ვ. ჯეფერსონი (12 ქ. 12 მ. 3 პ), გომესი (11 ქ. 6 მ), ა. უოკერი (10 ქ).

ლეიკერსი: ბრაიანტი (20 ქ. 5 პ. 4 ჩ), ვუიაჩიჩი (16 ქ), არიზა (15 ქ), ფარმარი (13 ქ. 4 პ), მიმი (11 ქ. 7 მ), უოლტონი (10 ქ).

ᲚᲘᲙᲠᲡᲘ-ᲛᲘᲚᲣᲝᲙᲘ 78:87

26:18, 23:18, 15:28, 14:23

კლიპერსი: მაგეტი (20 ქ. 6 მ), ტიმ ტომასი (16 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), კამანი (13 ქ. 11 მ. 6 დ).

მილუოკი: რედი (25 ქ. 8 მ. 3 პ), ბოგუტი (19 ქ. 12 მ. 4 დ), მო უილიამსი (8 ქ. 9 პ. 7 მ).

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲐᲒᲘᲝ ᲕᲘᲚᲐᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲐ

ᲤᲠᲐᲜᲒ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲡ **ᲰᲝᲚ-ᲐᲜᲠᲘ ᲛᲐᲢᲘᲝᲡ** მომავალი სეზონიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება. კრემლის თასის წლევანდელი გათამაშების ფინალისტი **მატს ვილანდერის** ხელმძღვანელობით ივარჯიშებს.

„მატიოსთან მუშაობა დიდი პატივია ჩემთვის. ის დღევანდელი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია და ჩემი მეცადინეობით მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდება", - ამბობს ლეგენდარული შვედი, რომელიც წლეანდელ სეზონში კიდევ ერთ ფრანგს, **ტატიანა გოლოვინს** ავარჯიშებდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ ეს კავშირი ჩოგბურთელის ინიციატივით შეწყდა.

ᲕᲔᲜᲣᲡᲛᲐ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ ᲛᲘᲘᲚᲝ

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ვენუს უილიამსმა** თავის უამრავ მიღწევას კიდევ ერთი დაუმატა, ოღონდ ამჯერად, ამერიკელის წარმატება ჩოგბურთს არ უკავშირდება. ორი დღის წინ, უფროსმა უილიამსმა ფორტლოდერდეილში ხელოვნების ინსტიტუტის დიპლომი მიიღო.

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, უილიამსმა თავისი ტანსაცმლის ახალი კოლექცია გამოუშვა, რომლის სახელწოდებაა - EleVen.

„მოდა ძალიან მიყვარს და ბედნიერი ვარ, რომ ამიერიდან ჩემი განათლება უკეთესი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოშვების საშუალებას მომცემს", - აცხადებს უილიამსი.

ᲕᲔᲚᲝᲡᲐᲠᲒᲝ

ᲠᲐᲡᲛᲣᲡᲔᲜᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ

წლევანდელი ტურ დე ფრანსის მთავარი სკანდალის ავტორმა, დანიელმა ველომრბოლმა **მიკაელ რასმუსენმა** ინტერვიუ მისცა სააგენტო „როიტერს", სადაც აღიარა, რომ რბოლიდან მისი მოხსნის შემდეგ, ის თვითმკვლელობაზე ფიქრობდა.

„როცა ჩვენმა სპორტულმა დირექტორმა ერიკ დერეკმა სასტუმროში მიმიყვანა, დახლოებით ნახევარი საათი უხმოდ ვიჯექით ნომერში და კედელს ვუყურებდით. შემდეგ ის წავიდა, მე კი მარტო დავრჩი. საბედნიეროდ, ნომერში თოკი ვერ ვიპოვნე, თორემ ყველაფერი თვითმკვლელობით დასრულდებოდა", - ამბობს რასმუსენი.

შეგახსენებთ, რომ დანიელი „რაბობანკის" რიგებში ასპარეზობდა და ტურ დე ფრანსის ლიდერი იყო, როცა გუნდმა მისი შეჯიბრებიდან მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო.

TV სპორტი

6 დეკემბერი. ხუთშაბათი

I არხი

22:45 არენა - სპორტული ტოქ-შოუ.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. ევერტონი-ზენიტი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-არსენალი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:25 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
21:00 ტოქ-შოუ - 2:1.
21:45 ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-სევილია.
23:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:50 პირდაპირი ხაზი.
00:50 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (უკრაინა)

08:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-ინტერი.
09:52 ფეხბურთი. Barca TV.
10:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი.
11:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-კალიარი.
13:42 ფეხბურთი. Barca TV.
13:50 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. ცსკა-ვირტუსი.
15:27 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
15:54 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო.
18:01 ფეხბურთი. Barca TV.
18:09 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-არსენალი.
20:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
20:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:45 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. ფინალი. არსენალი-ამერიკა.
22:40 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:53 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-ფილადელფია.
00:40 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:53 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:26 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
02:06 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი.
03:44 სპორტკლუბი.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. რეინჯერსი-ტორონტო (LIVE).
06:39 სპორტდოსიე. ფეხბურთი.
07:04 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. ცსკა-ვირტუსი.

EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. მამაკაცები. გერმანია.
14:00 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. ფინალი. პერტი.
15:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვილიარეალი (ესპანეთი)-ელფსბორგი (შვედეთი).
16:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ნიურნბერგი (გერმანია)-ალკმაარი (ჰოლანდია).
17:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. კონტიოლაჰტი. ფინეთი.
17:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. კონტიოლაჰტი. ფინეთი.
18:00 სუმო.
19:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი.
20:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ნიურნბერგი (გერმანია)-ალკმაარი (ჰოლანდია).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვილიარეალი (ესპანეთი)-ელფსბორგი (შვედეთი).
22:00 სნუკერი.
00:00 პროფესიული კრივი. WBC-ის ვერსია. ლას ვეგასი (აშშ).
02:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
03:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-სელტიკი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ისთანბული (თურქეთი)-მურსია (ესპანეთი).
14:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რიეკა (ხორვატია)-პილა (პოლონეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთის რალი.
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ნიურნბერგი (გერმანია)-ალკმაარი (ჰოლანდია).
18:45 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ისთანბული (თურქეთი)-მურსია (ესპანეთი).
20:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. რიეკა (ხორვატია)-პილა (პოლონეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი. შვეიცარია.
22:00 სუპერკროსი. ავსტრია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 პული. ევროპის ტური. შვეიცარია.
00:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლიტვის გრან-პრი.
01:00 სნოუბორდი. გერმანია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ავტოსპორტი. ჩემპკარის სერია. სეზონის მიმოხილვა.
03:15 ახალი ამბები.

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

I ᲚᲘ�გᲐ

ᲡᲐᲣᲗᲔᲜᲓᲘ-ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ	4:1
ᲠᲝᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ-ᲩᲔᲚᲖᲘᲜᲓᲘ	გადაიდო

II ᲚᲘᲗᲐ

ᲩᲔᲡᲢᲔᲠᲤᲘᲚᲓᲘ-ᲠᲝᲗᲠᲐᲛᲘ	0:2
ᲐᲠᲘᲜᲒᲐᲜᲘ-ᲠᲝᲩᲓᲐᲚᲘ	1:2
ᲛᲔᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ-ᲑᲠᲔᲛᲔᲜᲘ	0:0

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲒᲣᲚᲣᲖᲐ-ᲜᲐᲜᲪᲘ	1:1

ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲘᲡᲢ ᲣᲐᲘᲢᲘ-ᲑᲠᲔᲩᲘᲜᲘ	1:2

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ

ᲩᲔᲚᲘᲜᲯᲚᲘᲒᲐ

ᲙᲐᲠᲘᲜᲘ-ᲕᲘᲚᲘ	0:0

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲜᲘᲪᲠᲐ-ᲥᲘᲚᲘᲜᲐ	2:2 პენ. 3:4

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲡᲝᲡᲜᲝᲕᲔᲪᲘ-ᲒᲣᲠᲜᲘᲐᲠᲘ	3:2
ᲕᲘᲡᲚᲐ-ᲑᲔᲚᲮᲐᲢᲝᲕᲘ	2:1

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ (Დ)-ᲜᲐᲤᲢᲝᲒᲘᲐᲜᲘ	1:0
ᲒᲐᲕᲠᲘᲚ-ᲓᲘᲜᲐᲛᲝ	2:0

ᲐᲛᲮᲡᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲠᲔᲐᲚᲘ-ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ	2:0

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘ�გᲐ

ᲪᲡᲙᲐ-ᲕᲘᲠᲢᲣᲡᲘ	79:53
Ლ. ᲠᲘᲒᲐᲜᲘ-ᲪᲘᲒᲝᲜᲐ	93:59
ᲔᲤᲔᲡᲘ-ᲣᲜᲘᲙᲐᲮᲐ	91:75
ᲛᲝᲜᲢᲔᲞᲐᲡᲙᲘ-ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲙᲝᲡᲘ	86:84
ᲠᲣᲜᲘ-ᲠᲝᲛᲐ	104:85
ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ-ᲑᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ	80:58
ᲞᲐᲠᲒᲘᲖᲐᲜᲘ-ᲣᲚᲙᲔᲠᲘ	72:76

ULEB-ᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲚᲣᲓᲕᲘᲒᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲞᲐᲜᲘᲝᲜᲘᲝᲡᲘ	77:85
ᲞᲝ ᲝᲠᲒᲔᲖᲘ-ᲚᲣᲙᲘᲚᲘ	73:78

ᲞᲝᲚᲝ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲘ-ᲡᲘᲑᲘᲠᲘ	6:2
ᲡᲐᲕᲐᲠᲚᲐᲚᲘ-ᲛᲔᲒᲐᲚᲣᲠᲒᲘ (მ)	1:1 ᲝᲚ. 0:1
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-ᲕᲘᲢᲘᲐᲖᲘ	1:8
ᲚᲣᲙᲝᲛᲝᲠᲘᲢᲘ-ᲨᲐᲥᲐᲠᲘ	3:6
ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘ-ᲛᲔᲒᲐᲚᲣᲠᲒᲘ (ნ)	1:2
ᲛᲘᲯ-ᲐᲛᲘᲠᲘ	4:2

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ᲘᲝᲙᲔᲠᲘᲜᲒᲘ-ᲐᲘᲤᲯ	3:1
ᲙᲐᲠᲐᲯᲐ-ᲘᲣᲕᲘᲐᲜᲐᲡᲯᲘᲚᲐ	2:3
ᲙᲘᲠᲐᲯᲔᲜᲘ-ᲙᲘᲠᲯᲘ	1:1 პენ. 0:1
ᲡᲐᲠᲯᲐ-ᲯᲔᲚᲘᲙᲐᲜᲘ	1:4
ᲒᲐᲯᲐᲠᲐ-ᲘᲚᲕᲔᲡᲘ	3:0
ᲯᲯᲘ-ᲒᲯᲡ	1:1 პენ. 0:1
ᲔᲡᲯᲘ-ᲚᲣᲯᲘ	1:3

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

ᲚᲘᲒᲘᲠᲔᲪᲘ-ᲕᲘᲪᲙᲝᲕᲘᲪᲔ	6:1

უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

A ჯგუფი

ევერტონი–ზენიტი 1:0

ევერტონი: ჰოვარდი, ბაინესი, ლესკოტი, ფ. ნევილი, არტეტა, კაპილი, კარსლი, ჟაგიელკა, პიენაარი, ჯონსონი (81. ვოგანი), მაკფადენი (64. ანიჩებე).

ზენიტი: მალაფეევი, ანოუკოვი (78. ლი), კიმი, ლომბერტსი, შკოტელი, დომინგესი (46. გორშკოვი), შირლი, ტიმოშჩუკი, ზურიანოვი, არშავინი, პოგრებნიაკი (61. ჰაგენი).

გოლი: 1:0 კაპილი (85)

31-ე წთ-ზე არტეტამ ვერ გაიტანა პენალტი

გაძევება: ლომბერტსი (30. ზენიტი)

მაყურებელი: 38 407

ნიურნბერგი–ალკმაარი 2:1

ნიურნბერგი: ბლაუეკი, ბოშამი, რაინჰარდტი, ვოლფი, ენგელჰარდტი, გალაშეკი, კლუგე, ადლერი (61. საენკო), ბენკო (38. მინტალი), ხარისტეასი, მისიმოვიჩი (90. კრისტიანსენი).

ალკმაარი: ვატერმანი, იალიესი, ოპდამი (73. კუნდერსი), პოკონოლი, სტეინსონი, აგუსტიენი, კ.ჩიომერი (79. იენერი), დე ზეეუვი, მენდესი, დემბელე, პელე.

გოლები: 0:1 დე ზეეუვი (29), 1:1 მინტალი (83), 2:1 მინტალი (85)

მაყურებელი: 35 020

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ევერტონი	3	3	0	0	6-1	9
2. ზენიტი	4	1	2	1	6-6	5
3. ალკმაარი	3	1	1	1	3-3	4
4. ნიურნბერგი	3	1	1	1	4-5	4
5. ლარისა	3	0	0	3	3-7	0

B ჯგუფი

კოპენჰაგენი–ათლეტიკო 0:2

კოპენჰაგენი: კრისტენსენი, გრავგაარდი, პანგელანდი, იენსენი; ვენდტი, ჰალფინსონი (83. ორვენსენი), კვისტი, ნორეგაარდი, ვიუტტეი (54. ზიონკო), ოლბაკი, ნორდსტრანდი (53. ალმეიდა).

ათლეტიკო: აბიატი, ანტონიო ლოპესი, ელერი, პაბლო, პერნია, კლებერი (73. მანიშე), ლუის გარსია, მოტა, სიმაო (67. მაქსი როდრიგესი), აგუერო, ფოლანი (72. რაულ გარსია).

გოლები: 0:1 სიმაო (21), 0:2 აგუერო (62)

მაყურებელი: 33 034

პანათინაიკოსი–ლოკომოტივი 2:0

პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, ფისასი, მორისი, სარიეგი, ვინტრა, დიმუკოსი (66. კარაგუნისი), ფუნიორი, რომერო (82. ნინსი), ციოლისი, ნდოიე (63. სალპინგიდისი), პაპადოპულოსი.

ლოკომოტივი: პელიკოლი, ასათიანი, გურენკო, ივანოვიჩი, სენკოვი, ინანბაევი, ბილიალეტდინოვი, მამინოვი (82. ფომინი), სამედოვი (64. კუზნეცოვი), კოზიში, ტროორე (86. კორშაგინი).

გოლები: 1:0 სალპინგიდისი (70), 2:0 სალპინგიდისი (74)

მაყურებელი: 7 013

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პანათინაიკოსი	3	3	0	0	6-0	9
2. ათლეტიკო	3	2	1	0	7-3	7
3. კოპენჰაგენი	3	1	0	2	1-3	3
4. ლოკომოტივი	4	0	2	2	4-7	2
5. აბერდინი	3	0	1	2	1-6	1

C ჯგუფი

მლადა–აეკ 0:1

მლადა: პიზანოვსკი, კოპიჩი, პროპაზკა, ჰრდლიჩკა, მატეიოვსკი, რაინოხი, ვორიშეკი, კისელა (63. ვანეჩეკი), მენდი, რეზნიჩეკი (53. ტაბორსკი), სედლაჩეკი (76. ჰოლუბი).

აეკ: მორეტო, არუაბარენა, დელასი, ჟერალდო, რამოსი, ნსალიკა, რივალდო (89. პაცაკოპულოსი), ტომერი, ბლანკო (46. მანდუკა), ლიბეროპულოსი, მანუ (75. ჟულიო სეზარი).

გოლი: 0:1 ნსალიკა (46)

მაყურებელი: 4 670

ვილიარეალი–ელფსბორგი 2:0

ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, ანხელი, კაბდევილია (75. ხავი ვენტა), სიგანი, გოდინი, ფერნანდესი, მავუბა, კასორლა, სენა (78. ბრუნო), ნიპათი (69. ფრანკო), ტომასონი.

ელფსბორგი: ვილანდი, ანდერსონი, აუგუსტსონი, ფლორენი, მობეკი, ბახრამი, ოშიზაკი, ა. სვენსონი, ავდიჩი (90. კარლსონი), კინი (90. ბერგლუნდი), მ. სვენსონი (85. ოლანდერი).

გოლები: 1:0 ტომასონი (2), 2:0 ტომასონი (51)

88-ე წუთზე ტომასონმა ვერ გაიტანა პენალტი

მაყურებელი: 10 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ვილიარეალი	3	2	1	0	5-2	7
2. ფიორენტინა	3	1	2	0	8-3	5
3. აეკ	3	1	2	0	3-2	5
4. მლადა	3	1	0	2	4-4	3
5. ელფსბორგი	4	0	1	3	3-12	1

D ჯგუფი

ბაზელი–ბრანი 1:0

ბაზელი: კოსტანცო, მაისტროვიჩი, მარკე, კ. ნაკატა, ზანი, კაისედო (68. დეგენი), კარლტუში, ერგიჩი, ჰუგელი, დერდოიკი, ედუარდო და სილვა.

ბრანი: ოდალი, ბიორნასონი, კორალესი (46. ბიორნსონი), დალი, ჰანსტეეტი, გუნტვეტი (51. სიოჰაგე), ჯუსეკლეპი, მუნი, სოლი, ჰელსტადი, კარადაში.

გოლი: 1:0 კარლიტუში (40)

მაყურებელი: 13 731

დინამო (ზ)–ჰამბურგი 0:2

დინამო: კოხი, კალე, კარლოსი, დრპიჩი, ეტო, სამირი (76. ვრდოლიაკი), მოდრიჩი, პოკრივაცი (90. სოკოტა), ვუკოიევიჩი, ბალაბანი (58. ტადიჩი), მანძუკიჩი.

ჰამბურგი: როსტი, ატუბა, ბოატენგი, კომპანი, მატისენი, რაინჰარდტი, დე იონგი, იაროლიმი, ვან დერ ვაარტი (89. ტროხოვსკი), კასტელენი (76. დემელი), ოლიჩი (84. ჩუპო-მოტინგი).

გოლები: 0:1 დე იონგი (88), 0:2 ტროხოვსკი (90-პენ)

მაყურებელი: 27 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჰამბურგი	3	3	0	0	6-0	9
2. ბაზელი	3	2	1	0	2-0	7
3. ბრანი	4	1	1	2	3-4	4
4. დინამო	3	0	1	2	1-4	1
5. რენი	3	0	1	2	1-5	1

იტალია. სერია A. გამოტოვებული მატჩები

ინტერი–ლაციო 3:0

ინტერი: ჟულიო სეზარი, ბურდისო, მაქსველი, სამუელი, მაიკონი, ხ. ძანეტი, კამბიასო, ვიტორი (86. მატერაცი), ხიმენესი (75. სოლარი), იბრაჰიმოვიჩი, სუასო (61. კრესპო).

ლაციო: ბალოტა, კრიბარი, დე სილვესტრი, სტენდარდო (46. კოლაროვი), ძაური, ლედესმა, კ. მანფრედინი, მაური (64. მეგნი), მუდინგაი, პანდევი (75. მაკინვა), როკი.

გოლები: 1:0 იბრაჰიმოვიჩი (22-პენ), 2:0 მაიკონი (33), 3:0 სუასო (55)

გაფრთხილება: 1-3; **კუთხური**: 10-4; **ჯარიმა**: 14-15; **თამაშგარე**: 4-2; **კარში დარტყმა**: 14-13 (10-7); **ბურთის ფლობა**: 57%-43%.

მაყურებელი: 48 578

რომა–კალიარი 2:0

რომა: ა. დონი, მექსე, პანუჩი, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, მანსინი, პისარო, ტადეი (77. სისინიო), ტოტი (63. ფიული), ვუჩინიჩი (87. ბრიგი).

კალიარი: მარუოკო, აგოსტინი, ბიანკო, ბისერა, ფერი, ფ. პიზანო (46. მატრი), ბუდელი, კონტი, ფოჯა, მანკოზუ (62. ფინი), აკვაფრესკა (73. ლარივეი).

გოლები: 1:0 ტადეი (28), 2:0 ტადეი (36)

გაფრთხილება: 1-2; **კუთხური**: 3-7; **ჯარიმა**: 16-17; **თამაშგარე**: 4-3; **კარში დარტყმა**: 12-18 (6-4); **ბურთის ფლობა**: 58%-42%.

მაყურებელი: 29 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ინტერი	14	10	4	0	29-8	34
2. რომა	14	9	4	1	30-17	31
3. იუვენტუსი	14	7	4	2	29-13	26
4. უდინეზე	14	7	4	3	17-15	25
5. ფიორენტინა	14	6	6	2	19-11	24
6. ატალანტა	13	5	6	2	21-16	21
7. სამპდორია	14	6	2	6	18-17	20
8. მილანი	13	4	6	3	20-10	18
9. ნაპოლი	14	5	3	6	22-20	18
10. კატანია	14	4	6	4	14-14	18
11. პალერმო	14	4	6	4	18-24	18
12. ტორინო	14	2	9	3	14-15	15
13. პარმა	14	3	6	5	16-22	15
14. ჯენოა	14	3	6	5	13-19	15
15. ლაციო	14	4	5	5	13-20	14
16. ლივორნო	14	3	4	7	17-25	13
17. სიენა	14	1	7	6	13-21	10
18. კალიარი	14	2	4	8	11-22	10
19 რეჯინა	14	1	7	6	9-21	10
20. ემპოლი	14	2	4	8	7-20	10

ინგლისი. პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი

ნიუკასლი–არსენალი 1:1

ნიუკასლი: გივენი, ბეიე, როზენალი, ტეილორი, ბარტონი, ბატი, ჟერემი (77. ვიდუკა), მილნერი, ნ'ზოგბია, მარტინსი, სმიტი.

არსენალი: ალმუნია, კლიში, ებუე, გალასი, სანია, კოლო ტურე, ჟილბერტო სილვა, დიარა, როსიცკი, ადებაიორი, ედუარდო (68. ბენდტნერი).

გოლები: 0:1 ადებაიორი (4), 1:1 ტეილორი (60)

გაფრთხილება: 3-2; **კუთხური**: 6-6; **ჯარიმა**: 9-10; **თამაშგარე**: 2-2; **კარში დარტყმა**: 13-6 (11-7); **ბურთის ფლობა**: 45%-55%.

მაყურებელი: 50 305

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. არსენალი	15	11	4	0	32-12	37
2. მანჩესტ. იუნ	15	10	3	2	25-7	33
3. ჩელსი	15	9	4	2	22-9	31
4. ლივერპული	14	8	6	0	26-6	30
5. მანჩესტ. სიტი	15	9	3	3	19-15	30
6. პორტსმუთი	15	7	6	2	25-13	27
7. ასტონ ვილა	15	8	3	4	26-16	27
8. ბლეკბერნი	15	7	5	3	20-18	26
9. ევერტონი	15	7	3	5	26-16	24
10. ვესტ ჰემი	14	5	4	5	19-12	19
11. ნიუკასლი	15	5	4	6	21-25	19
12. ბირმინგჰემი	15	4	2	9	16-24	14
13. რედინგი	15	4	2	9	18-32	14
14. ფულჰემი	15	2	7	6	18-24	13
15. სანდერლ.	15	3	4	8	15-29	13
16. ტოტენჰემი	15	2	6	7	26-28	12
17. ბოლტონი	15	2	5	8	12-22	11
18. მიდლსბრო	15	2	5	8	13-27	11
19. ვიგანი	15	2	3	10	11-26	9
20. დერბი	15	1	3	11	5-34	6

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. გამოტოვებული მატჩი

ოსასუნა–სევილია 1:1

ოსასუნა: რიკარდო, კრუჩაგა, ფლანო, მონრეალი, ტანკო, ფონტი (90. ხუან გარსია), ხუანფრანი, მარგაირასი (65. ველა), პლაშილი (81. პანდიანი), პუნიალი, დადი.

სევილია: პალოპი, ფასიო, მოსკერა, რინკონი, კორეია (31. ხესუს ნავასი), დე მული (46. დუდა), კეიტა, მარტი, პოულსენი (68. მარესკა), კონე, ლუიმ ფაბიანო.

გოლები: 1:0 პლაშილი (19), 1:1 ხესუს ნავასი (47)

31-ე წუთზე პუნიალმა ვერ გაიტანა პენალტი

გაფრთხილება: 3-2; **კუთხური**: 7-6; **ჯარიმა**: 21-14; **თამაშგარე**: 2-4; **კარში დარტყმა**: 10-14 (7-7); **ბურთის ფლობა**: 50%-50%.

მაყურებელი: 19 000

ოლიმპიური ჩემპიონი

დენერია სპორტიდან მიდის

ოლიმპიურმა ჩემპიონმა დაშვებაში, ფრანგმა სამთო მოთხილამურე **ანტუან დენერიამ** სპორტიდან თავისი წასვლის შესახებ გამოაცხადა, რის მიზეზადაც მან ხშირი ტრავმები დაასახელა.

"გადავწყვიტე, დავასრულო ჩემი კარიერა. ტრავმების გამო, მოწინააღმდეგეთა შორის დაბრუნების იმედი გადამეწურა. სტატისტიკა კი არ მსურს. ასე რომ, საუკეთესო გამოსავალად წასვლა მიმაჩნია", - ამბობს დენერია, ვინც ტურინის შარშანდელ ოლიმპიადაზე, ყველასათვის მოულოდნელად, ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინაში, დაშვებაში მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება.



ანტუან დენერია

ოლიმპიადაზე გამარჯვების გარდა, მას მსოფლიოს თასის სამი ეტაპიც აქვს მოგებული. 2003 და 2004 წლებში იტალიის ვალ გარდენაში, 2003 წელს კი ნორვეგიის ლილეჰამერში. მუხლების ხშირი ტრავმების გარდა, ფრანგ მოთხილამურეს მუდმივად აწუხებს ტკივილები წელის არეში, რის გამოც ნორმალურად ვარჯიშსაც ვერ ახერხებს, ასე კი დაბრუნება წარმოუდგენელია.

სხვათა შორის, ტურინის ოლიმპიადაზე ტრიუმფის შემდეგ, მსოფლიო თასის პირველივე ეტაპზე, რომელიც შვედეთის ორეში ჩატარდა, დენერია მძიმე ინციდენტში მოყვა და მისთვის ის სეზონი ამით დასრულდა. იმ ინციდენტის დროს მას მარჯვენა მუხლი დაუზიანდა, რაზეც ოპერაციის გაკეთება დასჭრდა.

გასული სეზონის დენერიასთვის ერთთავად წარუმატებელი გამოდგა. მსოფლიო თასზე მისი საუკეთესო შედეგი მეხუთე ადგილი იყო, სულ კი მოწინავე ათეულში ორჯერ შევიდა. ბოლოს მან რამდენიმე დღის წინ, კანადის სამთო კურორტ ლეიკ ლუისში, სუპერგიგანტის რბოლაში იასპარეზა 48-ე ადგილი დაიკავა.

ავტოსპორტი — ფორმულა 1

ალონსო არ ჩქარობს

ხვალ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მოტორ სპორტის საბჭო კიდევ ერთ სკანდალურ ისტორიას განიხილავს, რომლის შემდეგაც, გაირკვევა, თუ რა გზას დაადგება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო**, რომელმაც ორმხრივი შეთანხმებით, "მაკლარენთან" კონტრაქტი გაწყვიტა და ახლა "რენოში" გადასვლისთვის ემზადება.

საბჭო განიხილავს "მაკლარენის" საჩივარს, რომელშიც ინგლისური გუნდი "რენოს" თავისი ტექნიკური ინფორმაციის არალეგალურად მოპოვებასა და გამოყენებაში ადანაშაულებს. "მაკლარენის" მონაცემებით, ფრანგულ გუნდში აღნიშნული ინფორმაცია ინგლისური საჯინიბოს ყოფილმა ინჟინერმა **ფილ მაკერეტმა** წაიღო, რომელიც, ამ ამბის გახმაურების შემდეგ, "რენოს" შეფმა **ფლავიო ბრიატორემ** სამსახურიდან დაითხოვა. თუმცა, "მაკლარენს" ეს არ აკმაყოფილებს და ამტკიცებს, რომ კონკურენტმა გუნდმა არალეგალურად მოპოვებული ინფორმაციით სერიოზულად იხეირა და ამის გამო დასჯას იმსახურებს.

გავრცელებული ინფორმაციით, "რენოს" საინჟინრო შტაბის განკარგულებაში აღმოჩნდა "მაკლარენის" 2006 და 2007 წლების ბოლიდების ნახაზები (780 ცალი) და ტექნიკური განმარტებები. "მაკლარენის" მონაცემებით, მისგან არალეგალურად მოპოვებული ინფორმაციის გადამუშავებაში მონაწილეობა მიიღო "რენოს" არანაკლებ 18-მა ინჟინერმა, რომელთა შორისაც შვიდი მაღალი თანამდებობის პირია.

"რენოს", რომელმაც გასულ ჩემპიონატში ერთი რბოლაც კი ვერ მოიგო, იგივე სახის სანქცია ელის, როგორიც რამდენიმე თვით ადრე, "მაკლარენმა" იწვნია. ეს კი 100-მილიონდოლარიანი ჯარიმა და კონსტრუქტორთა პირველობიდან მოხსნაა.

უფრო მეტიც, თუ სპეციალური ტექნიკური კომისია დაადგენს, რომ მომავალი სეზონის ბოლიდში "მაკლარენი" "ფერარისგან" არალეგალურად მოპოვებულ ინფორმაციას იყენებს, მაშინ ინგლისური გუნდი ახალ სეზონს მინუს ქულებით დაიწყებს.

ეს კი ნიშნავს, რომ ფრანგული გუნდი ალონსოსთვის ნაკლებად მიმზიდველი გახდება – ასი მილიონი დოლარის დანაკლისი ნებისმიერი გუნდის განვითარებას შეაფერხებს (რაც ნაკლებად ითქმის მაკლარენზე). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ესპანელ პილოტს ამ გუნდში დაბრუნების შემთხვევაში, საჩემპიონო პერსპექტივა ნაკლებად ექნება.

ალონსოს სხვა ალტერნატივებიც აქვს. ერთია "რედ ბული", რომელიც "რენოს" ძრავს იყენებს. მართალია, ამ გუნდს ორივე პილოტი (ბრიტანელი **დევიდ კულტჰარდი** და ავსტრალიელი **მარკ უებერი**) კონტრაქტირებული ჰყავს, მაგრამ თუ საჭირო გახდა, გუნდის ხელმძღვანელობა ამ ორი პილოტიდან ერთ-ერთს ფარმ გუნდ "ტორო როსოში" მიავლენს.

არის კიდევ ერთი გამოსავალი – "ტოიოტა", თუმცა ამ ეტაპზე, ალონსო პირველ რიგში "რენოზე" ფიქრობს, რომელთან ერთადაც, ორჯერ (2005 და 2006 წლებში) გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

სხვათა შორის, იყო ლაპარაკი იმაზეც, რომ თითქოს, ალონსოსთან მოლაპარაკებას "მაკლარენიც" აწარმოებს. თუმცა, ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ალონსოს ნათქვამი აქვს, სანამ "მაკლარენის" შეფი **რონ დენისი** იქნება, მაგ გუნდთან არაფერი მესაქმებაო. თანაც, ესპანელს პირველი პილოტის სტატუსი სურს, რაც "მაკლარენისთვის" მიუღებელია.

მერაბ ლორთქიფანიძე

ფერნანდო ალონსო

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
ბივი ვეფაკიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონოსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა